

პიტიპი შიშვილი



სამგანალი



ეს პიესა შესაძლებელია და უნდა ვითამაშოთ კიდევ სხვადასხვა სცენა-გრაფიით. ტექსტის რეჟისორული რემარკები ემყარება მხატვარ ჯონ ბურის მხარე შესანიშნავად ნაპოვნ გაფორმებას. ამ გაფორმებაში რეჟისორ პიტერ პოლსაც უღვევს წილი. მე, რა თქმა უნდა, საეხებით ვეთანხმები საპეტაკლის ამგვარ გადაწყვეტას და დაწვრილებითაც იმიტომ აღწევრ, მისი ღირსებები რომ დავანახოთ.

დეკორაცია, ძირითადად, სტილიზებული ფიგურებით აგებული მკვეთრად გამოხატული მართკუთხედი, რომლის წაგრძელებული, სცენის სიღრმეში გაწვდილი მხარე, ცისფერი პლასტიკატი არის დაფარული. ეს ზედაპირი განათების მიხედვით იცვლება ფოლადივით ნაცრისფერიდან — ფირუზისფრამდე, ანდა ზურმუხტისფრამდე. ასეთი დეკორაცია, თუმცა, უდაოდ, თანამედროვეა, მაგრამ ყოველგვარი წიაღების გარეშე იქცევა „როკოკოს“ საუკუნედ. ტანსაცმელი და რეკვიზიტი კი, მიუხედავად პიესის რეჟისორული გადაწყვეტისა, ზუსტად უნდა შეესატყვისებოდეს ეპოქას.

მართკუთხედი მოხაზავს შემდეგ ინტერიერს: სალიერის სალონს, მოცარტის უკანასკნელ ბინას, საზეიმო და მისაღებ აპარტამენტებს, საოპერო თეატრების დარბაზებს. სცენის სიღრმეში დიდი პროსცენიუმი, რომელსაც საყვირებიანი, ლოყებდაბერილი მოჭრაცილი ქერუბიმები ამშვენებენ; მათვე „უჭირავთ“ დიდებული ცისფერი ფარდა, რომელიც იხსნება კიდევაც და ზევითაც აიწევა. ამ ფარდის უკან თათქმის იმდენივე ადგილია, რამდენიც ავანსცენაზე. სულ უკანა კედელზე ეშვება სხვადასხვა ფარდა; ამ ფარდებზე აღიბეჭდება შემდეგი დიამონტივები: თეატრალური დარბაზები, გამოავნებელი თეთრი მასონური ლოყა, მეთვრამეტე საუკუნის საღამოს ქუჩა (რომელიც გადაიღეს და გაადიდეს მოცარტის სათუთუნედან) და შიონბრუნის სასახლის სიმბოლო — უზარმაზარ-ბუხრიანი ოქროს სარკიანი კედელი. პროსცენიუმის ფიცარნაზე გამოჩნდებიან ვენის ავეჯი, ენაპარტალია მოქალაქენი ან იმპერატორ იოსებ მეორისა და კარის გამოპრანჭული დიდებულების გაბლენძილი ფიგურები. ადგილი სცენის სიღრმეში, სადაც ვათამაშდება როკოკოს ეპოქის ეს უდიდესი საპეტაკლო, ტექსტში მცირე სცენად იწოდება.

ვიდრე სინათლე ჩაქრება, მაყურებელი, სცენაზე ოთხ საგანს ხედავს. მარცხნივ, ხის მართკუთხედზე პატარა მაგიდაა, რომელზეც ტაბილელოთი სავსე ლარნაკი დგას. შუაში, მაყურებლისაგან მოშორებით, მაგრამ მაინც ხის პანელზე მეთვრამეტე საუკუნის საინვალიდო სავარძელია, ჩვენსკენ ზურგმუქცევით; მარჯვნივ, გამჭვირვალე პლასტიკატზე მშვენიერი ინკრუსტირებული პიანინო დგას. სცენაზე დიდი ჭალი ჰკიდია.

დრო და მოქმედების ადგილი სხვადასხვა განათებით იცვლება.

ტექსტის კითხვისას გახსოვდეთ, რომ მოქმედება უწყვეტია.

უწყვეტ მდინარებას ქმნის მეთვრამეტე საუკუნის ლივრებში გამოწყობილ მსახურთა გაუთავებელი მოძრაობა; ისინი კონტად და მსუბუქად გადაადგილებენ ავეჯს; შემოაქვთ ან გააქვთ რეკვიზიტი სცენის მსვლელობისას. ასეთია თეატრალური პარადოქსი: მუდმივი ყოფნა სცენაზე უჩინარს ხდის მათ. ეს გვიშველის გავითამაშოთ პიესა ისე, როგორც ჩავიფიქრეთ: იმ სიმსუბუქით, სიფაქიზით და ენერგიით, მოცარტის გენიალურ ქმნილებებს რომ შეეფერება.

**მოქმედი პირნი:**  
ანტონიო სალიერი.  
ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი  
კონსტანცია ვებერი — ამისი  
ცოლი  
იოსებ მეორე — ავსტრიის იმპე-  
რატორი.

**გრადი იოჰან კლიან ფონ  
შტრეკი** — ხელმწიფის პოფმაისტერი.  
**გრადი ფრანც ორსინი-როზენ-  
ბერგი** — იმპერატორის საოპერო თე-  
ატრის დირექტორი.

**ბარონი გოტფრიდ ვან სვი-  
ტენი** — იმპერატორის ბიბლიოთეკის  
პრეფექტი.

**სასახლის მათორდომი** (მსა-  
ხურთუხუცესი).

**ორი თავქარიანი** (პირველი და  
მეორე) — ჭორებისა და ახალი ამბების  
მაცნენი. პირველი მოქმედების მეჯლის-  
ში ორი კავალერის როლსაც შეასრულე-  
ბენ.

**უსიტყვო როლები:**

კაპელმაისტერი ბონო.

სალიერის ღაქია.

სალიერის მზარეული.

**ტერეზა სალიერი** — სალიერის  
ცოლი.

**კატარინა კავალიერი** — სალი-  
ერის მოწაფე.

**მღვდელი.**

**ვენის მოქალაქენი** — ესენი შეა-  
სრულებენ იმ მსახურთა როლებსაც, რე-  
კვიზიტი რომ შემოაქვთ და ავეჯს გადა-  
ადგილებენ.

მოქმედების ადგილი — ვენა.

მოქმედების დრო — 1823 წლის ნოემ-  
ბერი. მოგონებები ეხება 1781—1791  
წლებს.

**პირველი მოქმედება**

1. ვენა

სრული სიბნელეა. თეატრი თანდათან  
ივსება მძაფრი, გააფთრებული ჩურჩუ-  
ლით, თითქოს გველები სისინებენ. თავ-  
დაპირველად ვერაფერს გარჩევენ, გარ-

და ერთი სიტყვისა — „სალიერი! ეს  
სიტყვა ყოველი კუთხიდან მოისმო-  
რე, თუ სმენას დაძაბავთ, „მეკვლედი!“ —  
გაიგონებთ. ჩურჩული ძლიერდება, საუბ-  
რუფრო მძინვარდება და დაძაბულ, ღვა-  
რძლიან ატმოსფეროს ქმნის. თანდათან  
ნათდება მცირე სცენა, რომელზედაც  
მეცხრამეტე საუკუნის გრინოლინებში  
გამოწყობილი ქალები და ცილინ-  
დრიანი კაცები გამოჩნდებიან. ესე-  
ნი ვენის მოქალაქენი არიან; ერთმა-  
ნეთს ლაპარაკსა და ახალთახალი ჭორე-  
ბის თქმას არ აცლიან.

**ჩურჩული** — სალიერი!.. სალიერი!..  
სალიერი!..

(ავანსცენაზე ინვალიდის სავარძელში  
მყოფებისაყენ ზურგით ზის მოხუ-  
ცი. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მის თავს,  
ჩაჩი რომ წამოუდგია და წამოსასხამის  
ნაწილს, მხრებზე რომ მოუხურავს)

**ჩურჩული** — სალიერი!.. სალიერი!..  
სალიერი!..

(მოპირდაპირე კულისებიდან გამოდის  
და ჩვენკენ მოემართება ორი ხან-  
ში შესული მამაკაცი. ამათაც  
იმდროინდელი გრძელი მისასხამი წა-  
მოუსხამთ და ცილინდრები დაღზურავთ.  
სწორედ ესენი არიან „თავქარიანები“ —  
ჭორების, ახალი ამბებისა და ათასგვარი  
ხმების მაცნენი, რომლებიც მთელს სპექ-  
ტაკლში მონაწილეობენ თავიდან ბოლო-  
მდე. ისინი, განსაკუთრებით, პირველად  
გამოჩენისას, ისე ჩქარა და სხაპასხუ-  
პით ლაპარაკობენ, რომ ეს ეპიზოდი  
ავისმომსწავლებელ უკერძოურად იქცე-  
ვა. კაცები ხან ერთმანეთს ესაუბრები-  
ან, ხან კი — ჩვენ, მაგრამ სახიდან არა-  
სოდეს სცილდებათ აღტაცება იმ ჭორი-  
კანებისა, რომლებმაც ახალთახალი ამბა-  
ვი პირველგმა შეიტყვეს.

**პირველი** — რა ვქნა, ამას ვერ და-  
ვიჯერებ!

**მეორე** — ვერც მე!

**პირველი** — არ მჯერა, არა!

**ჩურჩული** — სალიერი!



პირველი — მაგრამ ხომ გესმის?  
 მეორე — მესმის, მესმის!  
 პირველი — მეც მესმის!  
 მეორე — ასე ხმამაღლა ჩურჩულებენ  
 და გაიგონებ, აბა რა!  
 ორივე — მაგრამ არ მჭერა!  
 ჩურჩული — სალიერი!  
 პირველი — მთელი ქალაქი ამაზე  
 ლაპარაკობს!  
 მეორე — სადაც უნდა წახვიდე, მხო-  
 ლოდ ამაზეა მითქმა-მოთქმა.  
 პირველი — კაფეში.  
 მეორე — ოპერაში.  
 პირველი — პრატერის პარქშიც.  
 მეორე — ჭურღმულებშიც.  
 პირველი — ამბობენ, მეტერნისიც  
 ამასვე ამბობსო.  
 მეორე — ბეთშოვენიც, ბეთშოვენიც,  
 იმისი უძველესი მოწაფე!  
 პირველი — კი, მაგრამ... ყველას ახ-  
 ლა მოუნდა?..  
 მეორე — როცა ამდენი წელი გავიდა!  
 პირველი — ოცდათორმეტი წლის  
 შემდეგ გაიღვიძეს?  
 ორივე — მე არა მჭერა!  
 ჩურჩული — სალიერი!  
 პირველი — ამბობენ, მთელი დღე  
 ამას გააყვირისო.  
 მეორე — ღამითაც, ღამითაც.  
 პირველი — სულ შინ შის.  
 მეორე — გარეთ აღარ გამოდის.  
 პირველი — უკვე ერთი წელიწადია.  
 მეორე — მერტი იქნება!  
 პირველი — საცაა სამოცდაათისა  
 გახდება!  
 მეორე — არა, უფრო მეტის!  
 პირველი — ანტონიო სალიერი!  
 მეორე — გამოჩენილი მანქანო...  
 პირველი — სულ ამას ღრიალებს!  
 მეორე — ხმის ჩახლეჩამდე!  
 პირველი — არა, შეუძლებელია, შე-  
 უძლებელი!  
 მეორე — დაუჭერებელიც!  
 პირველი — და არცა მჭერა!  
 მეორე — არც მე!

ჩურჩული — სალიერი!  
 პირველი — გავიგე, ვინც დაყარა ეს  
 ხმები!  
 მეორე — შენი არ ვიცი და შეკი  
 ნამდვილად მითხრეს, ვისაც წამოსცდა.  
 (მოქალაქეებს გამოუყოფა და სხვადა-  
 სხვა მხრიდან მცირე ავანსცენაზე გამო-  
 დის ორი მოხუცი — მსუქანი და  
 გამბდარი, მსუქანი სალიერის მზარეუ-  
 ლია, გამბდარი — ლაქია)  
 პირველი — (გამბდარზე უთითებს)  
 ეს სალიერის ლაქია!  
 მეორე — (მსუქანზე) ეს კი — სა-  
 ლიერის მზარეული!  
 პირველი — ლაქიას ესმის მისი კი-  
 ვილი.  
 მეორე — მზარეულსაც ესმის ტირი-  
 ლი!  
 პირველი — ამას რას გადავეყარეთ!  
 მეორე — ვაი, სირცხვილო!  
 (თაქარიანები სწრაფად უახლოვდე-  
 ბიან მოხუცებს. პარველს ლაქია გამო-  
 ჰყავს დიდ ავანსცენაზე, მეორეს — მზა-  
 რეული)  
 პირველი — (ლაქიას) რაო, რას ამ-  
 ბობს შენი პატრონი?  
 მეორე — (მზარეულს) რას ღრიალებს  
 კაპელმანისტერი?  
 პირველი — იმ დიდ სახლში მარტოდ-  
 მარტო გამომწყვდეული...  
 მეორე — დღე და ღამე, დღე და ღა-  
 მე, განუწყვეტლივ...  
 პირველი — რომელ ცოდვებს ინა-  
 ნიებს?  
 მეორე — ეგ მოხუცი...  
 პირველი — ეგ განდევნილი...  
 მეორე — რა გაიგონეთ კიდეც ამაზე  
 უფრო საშინელი და საზარელი?  
 ორივე — გვითხარით! გვითხარით! ახ-  
 ლავე გვიამბეთ! რას ყვირის? რას ღრი-  
 ალებს? ვინ ახსენდება? (ლაქია და მზა-  
 რეული სალიერისკენ იშვებენ ხელებს)  
 სალიერი — (ხმამაღლა ყვირის) მო-  
 ცარტი! (პაუზა)  
 პირველი — (ჩურჩულით) მოცარტი?

მეორე — (ჩურჩულით) მოცარტი  
სალიერი — პერდონამი, მოცარტი!  
ილ ტუო ასსახინო — ტი კიულე პერ-  
დინო! (მაპატიე, მოცარტი! შენდობასა  
გთხოვს შენი მკვლელი)

პირველი — (გაკვირვებული) მაპა-  
ტიეო?

მეორე — (გაკვირვებით) შენს მკვ-  
ლელს მაპატიეო?

ორივე — ო, ღმერთო, შეგვიწყალო  
ჩვენ!

სალიერი — პიტა, მოცარტი მო-  
ცარტ, პიტა! (შემიბრალებ, მოცარტი!  
მოცარტ, შემიბრალებ!)  
პირველი — შემიბრალებ, მოცარტი!

მეორე — მოცარტ, შემიბრალებ!

პირველი — როცა ნერვიულობს ან  
ღელავს, იტალიურად ლაპარაკობს!

მეორე — დამშვიდებული — გერმა-  
ნულად.

პირველი — პერდონამი, მოცარტი  
(მაპატიე, მოცარტი)

მეორე — შენი მკვლელი შენდობასა  
გთხოვს.

(ლაქია და მზარეული მოპირდაპირე  
მხარის კულისებთან მივლენ და გაჩერ-  
დებიან. პაუზა. ზარდაცემული თავქარი-  
ანები პირჯვარს გარდისახავენ.)

პირველი — იცო, ამაზე აღრცე ლა-  
პარაკობდნენ.

მეორე — ოცდათორმეტი წლის წი-  
ნათ.

პირველი — მოცარტი რომ კვდებო-  
და.

მეორე — თურმე ამბობდა, მომწამ-  
ლესო!

პირველი — მკვლელსაც ასახელებ-  
და!

მეორე — ყბედობდნენ, სალიერის  
საქმეაო!

პირველი — მაგრამ არავის სჭერო-  
და!

მეორე — ყველამ იცოდა, რისგანაც  
კვდებოდა.

პირველი — ძალიან ცუდი სენი სჭი-  
რდა.

მეორე — ვის არ მოსწყენს შენდობა...  
ხდება... (პაუზა)

პირველი — (ეშმაკურად) მოცარტი  
თუ სიმართლეს ამბობდა, მაშინ?

მეორე — თუ მართლა ვიღაცამ მოკ-  
ლა?

პირველი — და თუ ეს ვიღაც ზე-  
ნი პირველი კაპელმაისტერია?

მეორე — ანტონიო სალიერი!

პირველი — შეუძლებელია!

მეორე — და სახეებით დაუჭერებელი!

პირველი — რატომ უნდა ექნა ეს?

მეორე — რისთვის? რა მიზნით?

ორივე — რამ აიძულა?

პირველი — ახლა რატომღა აღი-  
არებს?

მეორე — ოცდათორმეტი წლის შემ-  
დგე?

ჩურჩული — სალიერი! (პაუზა)

სალიერი — მოცარტი! მოცარტი! პერ-  
დონამი, ილ ტუო ასსახინო — ტი კიულე  
პერდინო!

(პაუზა. თავქარიანები ჯერ სალიერის  
უცქერენ, მერე — ერთმანეთს)

პირველი — შენ რა გგონია?

მეორე — შენ რაღას ფიქრობ?

პირველი — მე არა მჭერა!

მეორე — არც მე.

პირველი — თუმცა... რა იცო...

მეორე — ეგებ, ყველაფერი სიმართ-  
ლეა?

ორივე — (ჩურჩულით) ნუთუ, ეს მარ-  
თლა მკვლელია?

ჩურჩული — სალიერი!

(თავქარიანები გავლენ. ლაქია და  
მზარეული ადგილზე რჩებიან. სალიერი  
სხარტად შემოაბრუნებს სავარძელს და  
დაყინებით შემოგვცქერის. ეს ყოფილა  
სამოცდაათიოდე წლის მოხუცი. ჭუჭყი-  
ანი ხალათი აცვია. სალიერი დგება, იჭ-  
მუნება, თითქოს ვიღაცას ეძებს მაყუ-  
რებელთა შორის).

2. სალოერის აპარტამენტი, 1923 წლის ნოემბერი. ღამე განთიადის წინ.

სალიერი — (მაყურებელს) ვი სალი-  
უტო! ომბრე დელ ფუტურო! ანტონიო  
სალიერი ა ვოსტრო სერვიციო! (მოგე-  
სალმებით, მომავლის აჩრდილნო! თქვენი  
მონა-მორჩილი ანტონიო სალიერი!) ქუ-  
ჩას საათი სამჯერ ჩამოკრავს) ძალიან  
მიჭირს, მაგრამ მაინც გზედავთ... თითქ-  
მისს.. უამრავი სახე მოჩანს! რამდენი  
ქვებით? რიგს ეღიოთ, არა, ქვეყნად რომ  
იმავთ? მომავლის-აჩრდილნო ჩემო შო-  
რეულო შთამომავლობაე! დაშენახეთ! და-  
მენახეთ, ვთხოვთ! გაიმეტეთ თქვენი ხილ-  
ვას ბედნიერება! მეწვიეთ ანტონიო ძვე-  
ლებურ ოთახში ახლავთ, ახლა, 1828 წლის  
ნოემბრის ბნელ ღამეს, განთიადის წინ..  
და გახდით ჩემი აღმსარებელნი! შემო-  
ბრძანდით და დარჩით ჩემთან გარიჟრა-  
ჟამდე. მხოლოდ გარიჟრაჟამდე.. დი-  
ლის ექვსამდე მაინც!

ჩუჩიული — სალიერი!.. სალიერი!..  
(მცირე სცენაზე ნელ-ნელა ეშვება ფარ-  
და და ვენის მოქალაქეთ ფარავს. ახლა  
ფართაზე გრძელი და ვიწრო ფანჯრების  
მკრთალი ჩრდილი მოჩანს)

სალიერი — ხომ გეხმით? ვენა ავ-  
ყოათა ქალაქია. ყველა ცილისმწამებე-  
ლია, ჩემი ლექიებაც კი, ეს ორდა შე-  
მჩრა (უთითებს) ორმოცდაათი წელია  
მემსახურებიან; იმ დღიდანვე, აქ სა-  
ცხოვრებლად რომ გადმოვედი. ერთს  
სამართებელი აბარია, მეორეს — კონ-  
დიტერ-კულინარია. ეს ჩემს სილამაზეზე  
წარუწავს, ეს კი — კუჭზე! (ლაქიებს)  
წადით, მომშორდით! დაძინებას არ ვა-  
ბირებ. (მსახურებს უკვირთ) მაგრამ ზუს-  
ტად დილის ექვსზე გამოცხადდებით!  
ჭერ გავიპარსავ, მერე კი თქვენს ჭირ-  
ვეულ პატრონს ასაუზმებთ. (იღიმება და  
ტაშს შემოკრავს, მსახურები რომ გაყა-  
როს) ვია, ვია, ვია, ვია! გრაციე! (წა-  
დით, წადით, წადით, წადით! გმად-  
ლობით!) მომშორდით-მეთქი! გმადლობთ!  
(მსახურები ქედს მოიხრიან და, ფრიად

დაფიქრებულნი, გავლენ). გაუკვირდარქ?  
დიდი ამბავი.. გაკვირვება მაგათ სხედ  
ნახონ! (თვალებს მოქუტავს, დევერებულს  
უცქერს-მაყურებელს) რაო, არა, ვინაა  
ჩემთან სტუმრობა? მე კი საშინლად  
მჭირდებათ სწორედ ახლა, ამ წუთასს  
ამას ხომ.. სახეკვდილოდ განწირული  
გემუღარებათ! მაინც რა ვიღონო, რომ  
დაგინახოთ? ხორცი შეგახსნათ და ჩემს  
უკანასკნელ მსმენელზედად გაქვითოთ? თუ  
ჯადო-თილისმას მოვუზღო? ეგებ შეგი-  
ლოცოთ? ახალ ოპერებში ხომ ამის მე-  
ტი აღარაფერია. რა თქმა უნდა, სხვა  
გზა არა სჩანს. სხვა გზა არც არის.  
(აღდება) შევეცდები, შელოცვებით ხორ-  
ცი შეგახსნათ აქვე, ახლავე! შორეული  
ნომადელს სულნო.. მაშინ ხომ კარგად  
დაგინახავთ... და კარგადაც დაგათვლიე-  
რებთ. (სავარძლიდან გადმოვა, პიანი-  
ნოს მიუჯდება და მღერის გამკივანი;  
ჩახლეჩილი ხმით. თვადვე უკრავს ყო-  
ველი კუბლეტის ბოლოს. დარბაზში  
თანდათან მატულობს შუქი).

პე, მომავალნი!  
აჩრდილებო, ახალთა დროთა!  
თქვენგან თავსხნა უფრო ძნელია,  
ვიდრე წარსულის ცდუნებათგან.  
თქვენგან თავი ვის დაუხსნია?  
გამომეცხადეთ თანაგრძნობით,  
ვისაც რა ზომით მოგმადლათ ღმერთთა!  
გამომეცხადეთ ახლავე, აქვე...  
დეღისგან ჭერარშობილნი!  
ვის სიძულელი ჭერ არ გიხილავთ!  
და არც კაც გიკლავთ!

გამოცხადდით მარადისობიდან!  
(დარბაზი უკიდურესად ნათდება და  
განათება აღარ იცვლება) ესეც ასე! ჭა-  
ლომ გასჭრა! ახლა კარგად გზედავთ!  
რაც ვიცო, ვიცის! შელოცვით სულთა  
ხორცშესხმა კავალერმა გლიუჟმა მახ-  
წავლა. აი, ვინ იყო შელოცვების დი-  
დოსტატი. იმ დროს ხალხი ოპერაში  
მხოლოდ იმიტომ დადიოდა, გამოხზობი-  
ლი სულელები და, რაც მთავარია, ღმერ-  
თები რომ ეხილა. ეხლა კი, როცა სცე-

ნაწე როსინი მეფობს, მასურებელს  
ყველაფერს დალაქების თავგადასავალი  
ურჩევნია. (პაუზა). სკულატე. (მამატიეთ)  
მამატიეთ, დაგიღალე. შელოცვით სულ-  
თა გამოძახება გამასავათებელი საქმეა.  
უნდა მოვმავრდე. (ნამცხვრებიან ლარ-  
ნაკთან მიეა) ძალიან მეუხერხულდება,  
მაგრამ უნდა გამოვტყუდეთ: ჩემი პირ-  
ველი ცოლვა ღორმუცელიობაა. ძალიან  
მიყვარს ტბილეული. ეს იტალიური  
მუცელმერთობა ბავშვობიდან გამომ-  
ყვა. რა არ ვცადე, რა არ ვიღონე, მაგ-  
რამ ჩემი უძლიერესი სიყვარული ჩრდი-  
ლოეთ იტალიის (მე იქ დაეიზაღე) კონ-  
დიტერული ნაწარმისადმი, ვერა და ვერ  
დავთრგუნე. სამი წლიდან სამოცდაცა-  
მეტამდე ჩემი ცხოვრების აკომპონემენ-  
ტი მოხალეული თაფლიანი თხილის ხრა-  
მუნია. (ავსორტულად) მილანური ნამ-  
ცხვრები: ნიგვზიანი ბეზე! ბუსტულიან  
ცომში შემწვარი ვაშლი! მკაცრად ნუ  
განმსჯით! ჩვენ ყველას გულში გვაქვს  
ჩამარხული რაღაც პატრიოტული გრძნო-  
ბები. ჩემი მშობლები ავსტრიის იმპერი-  
ის ქვეშევრდომები კი არიან, მაგრამ  
ორივე ლომბარდიელია. მამჩემს სავაქრო  
ჰქონდა ლენიაგოში, სადაც ვცხოვრობ-  
დით. ჩემი მშობლებისათვის ამ პატარა  
ქალაქით ისაზღვრებოდა მთელი სამყა-  
რო. მე კი ერთი სული მქონდა, იქიდან  
თავი დამეღწია. იმათთვის ღმერთი ვე-  
ნის სამოთხისდარ გარეუბანში მაცხოვ-  
რებელი მისი უდიდებულესობა იმპერა-  
ტორი იყო. და სულ იმას ნატრობდნენ,  
ოღონდ მონარქი ჩვენს მეწიანურ მყუდ-  
როებას ნუ დაარღვევს და ვიცხოვრებთ  
ასე, ყველასგან მივიწყებულდებო. მე კი  
სულ სხვა რამ მსურდა. (პაუზა) მე მიწ-  
დოდა სახელი და დიდება. არ დაგიმა-  
ლავთ: მსურდა ცეცხლმოადებულ კომე-  
ტასავით გადამეარა მთელს ევროპაზე!  
ოღონდ, მუსიკის ფრთებით, მხოლოდ და  
მხოლოდ ღვთაებრივი მუსიკის შემწე-  
ობით! მუსიკალური ბგერა ან სწორად  
ქლერს, ან ყალბად. დროც კი ვერაფერს

დააკლებს ამას, რადგანაც მუსიკა ღმერთი  
თმა გვაბოძა! (მოგონებებით ატყულებუ-  
ლი) უკვე ათი წლისას მუსიკალური აკო-  
რდი თავბრუს მახვევდა. ლამისს იყო  
გული წამსვლოდა. თორმეტისა კი დავე-  
ხეტებოდი ტყე-ღრეებში და ვმღეროდი  
ღვთისადმი მიძღვნილ არიებსა და ჰიმ-  
ნებს, ოღონდ, საკუთარს! ყველაზე უფ-  
რო, იცით, რა მინდოდა: გავმხდარიყავი  
ერთ-ერთი ისეთივე იტალიელი კომპო-  
ზიტორი, გარდასულ ეპოქებში დემეტოს  
რომ ადიდებდნენ და უგალობდნენ. ყო-  
ველ კვირადღეს ეკლესიაში ბათქაშჩა-  
მოსშილი კადელზე მის ხატებას შევცქე-  
როდი და ცხადად ვგრძნობდი საპასუხო  
ცხოველ შემოხედვას. ქრისტეზე არ გე-  
უბნებით. ქრისტე ლომბარდიაში გულში  
ბატკანჩახუტებულ მიამიტ კაცსა შგავს;  
არა. მე ღმერთის გაქვრტლულ ხატება-  
ზე მოგახსენებთ, მეწამული ტანსაცმელი  
რომ აცვია და მაღლიდან ექვნიანი კაცის  
თვალებით დაგვცქერის. ის იქ ვაქრებმა  
აამაღლეს. მისი თვალები რეალურ,  
მტკიცე გარიგებას გთავაზობენ: „შენ  
მომცემ ამას — მე მოგცემ იმას!“ გა-  
თავდა და მორჩა! (აღეღვებულია და  
ამიტომ დაუფიქრებლად, ხარბად მიძღა  
ნამცხვარს) ლენიაგოს საბოლოოდ დატო-  
ვებას რომ ვაპირებდი, იმ დამით გამო-  
სამშვიდობებლად ვეახლე და თავად გა-  
ვურჩივდი. მაშინ უკვე თქვენსმეტისა ვი-  
ყავი. ჩემი სითავხედე სასოწარკვეთის  
შედეგი იყო. ჩემი ვნებიანი სულის მთე-  
ლი მგზნებარებით ვლოცულობდი კო-  
მერციის შეთხუანული ღმერთის წინა-  
შე მუხლმოდრეცილი. (დაიჩოქებს, დარ-  
ბაზუსი სინათლე ნელ-ნელა ქრება). „ხო-  
ნორე, ღირსმყავ გავხდე კომპოზიტო-  
რი! მომივიღინე იმღენი დიდება, რომ  
გავძდე და დავთრე. მე კი გპირდები,  
რომ უბიწოდ ვიცხოვრებ. უმწიკვლობის  
მაგალითი გავხდები. მარადეამს ვეც-  
დები, მოყვარეს ჩემსას ხვედრი შევუმ-  
სუბუქო. სიცოცხლის უკანასკნელ დღე-  
მდე მუსიკით ვადიდებ თქვენს სახელს!

კენი“ ეს სიტყვა ვთქვი თუ არა, უზე-  
ნაგის თვალნი აღენთო. (ღმერთის მავი-  
ცნი) „ბენე (გმადლობთ). შევთანხმდით, —  
მითხრა უმაღლესმა, — წადი, ანტონო.  
გვემსახურე მე და ხალხს და კურთხე-  
ულ იყავ“. „გრაფი, — შევევარე, —  
მთელ სიცოცხლეს შენ შემოგწირავი“  
(აღგებდა). მეორე დღეს მოულოდნელად  
გვეწვია ჩვენი ოჯახის მფლობელი, წამი-  
ყვანა ვენაში და ჩემი მუსიკალური აღ-  
წრლის მთელი ხაფასური წინასწარ გა-  
დაიხადა. მალე იმპერატორთან წარმად-  
გინეს. და როცა იმპერატორი ჩემდამი  
კეთილგანწყობილად მივიხედო, გარ-  
იღებდა აღსრულდა. (პაუზა) მაგრამ იმა-  
ვე წელს, იტალია რომ მივატოვე, ევ-  
როპაში გამოჩნდა ბრწყინვალე მუსიკა-  
ლური გენია, ათი წლის ჯადოქარ-ვირ-  
ტუოზი: ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი.  
(პაუზა, მკაყრებელს უღიმის) ასლა კი  
დროა, დავიწყეთო! მოწყალო ქალბატო-  
ნებო! ძალიან პატივსაცემო ბატონებო!  
ნება მიბოძეთ, წარმოვიდგინოთ ჩემი  
ბოლო თხზულება, უნიკალური სპექტაკ-  
ლი — „მოცარტის სიკვდილი“ ანუ „გა-  
ნა დამნაშავე ვარ?“ სიცოცხლის უკანა-  
სკნელ ღამეს ამ სპექტაკლს თქვენ გი-  
ძღვნი, ჩემო შორეულო შთამომავლო-  
ბავს! (ქედს უმაღლესად იხრის. გაიხს-  
ნის ჭეჭყუან ხალათს. როცა გაიმართება  
და ძველ ტანსაცმელსა და ჩაჩს მოიშო-  
რებს. ჩვენ წინაშე ახალგაზრდა კაცი,  
მვთვრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლე-  
ბის ცნობილი კომპოზიტორი. მას ელე-  
განტური ტანსაცმელი და ცისფერი კამ-  
ზოლი აცვია).

3. დაბრუნება მეთვრამეტე საუკუნეში.  
ჩემი მუსიკა — სალიერის სიმებიანი  
კვარტეტი. შემოდიან მსახურნი. ერთს  
ძველი ხალათი და ჩაჩი გააქვს, მეორე  
მაგიდაზე შეპუდრულპარკიან სადგარს  
დადებს, მესამეს შემოაქვს სკამი და სცე-  
ნის სიღრმეში მარცხენა მხარეს და-  
დგამს.

მეორე სცენაზე იწევა და იხსნება

ცისფერი ფარდა. უდიდესი ოქროს ბუ-  
რისა და ოქროსავე სარკეების ფონზე,  
ოქროსფერ სხივებში მოჩანს იმპერა-  
ტორი იოსებ მეორე: უკან უნდა იდგოდეს  
რისკაცები. მისი უდიდებულსა-  
ბა სავარძელში ჩასვენებულია, ხელთ  
გრაგნილი უჭირავს და მუსიკას ისმენს.  
აქვე არიან და მუსიკას ისმენენ გრაფი  
ფონ შტრეკი, გრაფი ორსი-  
ნი — როზენბერგი, ბარონი  
ვან სვიტენი. აგრეთვე, უსახელო  
მღვდელი, სუტანა რომ ჩაუტყვამს.  
შემოდის სასახლის უხუცესი კაპელ-  
მაისტერი ბონო. სალიერი  
სადგარიდან პარკს აიღებს.

სალიერი — (ახალგაზრდული, გულ-  
დაჭერებული ხმით) მოქმედების აღი-  
ლი — ვენა. 1781 წელი. ჯერ ისევ გან-  
მანათლებელთა უღრუბლო დროებაა,  
თუმცა, მალე პარიზში გილიოტინა აზ-  
რიალდება და ჩვენს ცხოვრებას შუაზე  
გაჩეხს. ოცდათერთმეტი წლის გახლა-  
ვართ. მახსებურების კარზე უკვე აღი-  
რეს ჩემი მუსიკა. მაქვს ფრიალ საპატიო  
სახელი და მყავს ფრიალ პატივცემული  
მეუღლე ტერეზა. (შემოდის ტერეზა,  
მსუქანი, უმეტყველო, მაგრამ წელგა-  
მართული ქალი და სცენის სიღრმეში  
სკამზე ჩამოჯდება). ვარწმუნებთ, ამას  
ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობ,  
რადგანაც ერთადერთი, რასაც შინაუ-  
რებში ვაფასებ — სიმშვიდეა. ეს თვი-  
სება ტერეზას ფრიალ ჰქონდა განვითა-  
რებული (პარკს ცერემონიულად იხუ-  
რავს.) მყავდა, აგრეთვე ფრიალ შენაშ-  
ნავი მოწაფე — კატარინა კავალიერი.

(მოპირდაპირე მხრიდან შემობრბის ოც-  
ოდე წლის ლამაზი გოგონა — კატა-  
რინა. ჩუმიდ ქედრს ვოკალური მუ-  
სიკა. საკონცერტო არიას მღერის სოპ-  
რანო. ტერეზას და კატარინას როლები  
უსიტყვოა. კატარინა ფორტეპიანოსთან  
გაჩერდება და მიმიკით იწყებს „შთაგო-  
ნებულ სიმღერას“, უხუცესი ბონოს აღ-  
ფრთვანებული „თანსლებით“).



ეს იყო კობტა, ყოჩაღი, სანდომიანი გოგონა. მოცინარი თვალები და მაცდური ტურნები მქონდა. კატარინა ძალიან მიყვარდა, ყოველ შემთხვევაში, მალეღვებდა. მაგრამ ცოლის ერთგული გახლდით, რადგანაც ღმერთს აღუთქვი. კატარინას არც მივყარებოვარ, თუ მიყარებაში არ ჩამითვლით სიმღერის გაკვეთლის დროს, მუცლის დიაფრაგმაზე დაწოლას, აი, ასე, ხმას რომ უკეთ ეძღერა. ჩემი პატივმოყვარეობა მარადიული ცეცხლით იწვოდა: სასახლის პირველი კაპელმასიტერის თანამდებობა სასულიერო ოცნებად გადამექცა. იმ დროს ეს აღმაღლი ჯიუხეზე ბონოს ეჭირა. (უთითებს) უკვე სამოცდაათის იყო, მაგრამ, მგონი, უკვდავების ნიჭით დაეჯილდოვებინა მაცხოვარს. (სალიერის გარდა, ყველა სცენაზე მყოფი შეშდება. მაყურებელს) ქვეყანას რომ მოეგლინებოთ, გეტყვიან, თითქოს, მეთვრამეტე საუკუნეში მუსიკოსები ღაჭივად მყავდათ. თითქოს ისინი ღაჭივით ემსახურებოდნენ არისტოკრატებს. ეს სრული სიმაართლეა. მაგრამ მტკნარი სიცრუეც განსაკუთრებით, დიას, მდიდრებს ემსახურებოდათ, მაგრამ ჩვენ ნახვადი მსახურნი ვიყავით. და ეს გვაძლევდა უნარს მათი უფერული ცხოვრება გვექო და გვედიდებინა. (ქღერს საზეიმო მუსიკა, იმპერატორი აღვიღებზე ზის. შტრეკი, როზენბერგი, ვან სვიტენი და მღვდელი ნელ-ნელა, მედიდურად ჩამოდიან ძირითად სცენაზე და თავის ადგილებს მიაშურებენ. მღვდელი, ტრეზუ და კატარინა გავლენ. ჩვენ ვემსახურებოდით უღირს ადამიანებს: ბანკის სქელსაჯლომიან პატრონებს, უსახურ მღვდელმსახურებს, უნიჭო მხედართუფროსებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს და მათ სიჩლუნგეს უკვდავყოფდით; სიმებინი მუსიკით ვულგარობით სიცოცხლის დღეებს, ღამეებს კი — კითარაზე დაკრით ვუმშვიდებდით; მათი ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან ნაბიჯს ბრწყინვალე პროცესიებს ვუძღვნი-

დით და სიავბორცეს სერენადებში ვუჩქმალავდით; ნადირობის დღესასწაულს უღერადი ბუკის ცემით ვამცურებდით; ვხელას; მათ სამხედრო სიმამაცის დღესასწაულების გრიალით ვადიდებდით! ფანფარები ვვაუწყებდნენ მათ დაბადებას, ტრომბონების გოდება კი — მათ გარდაცვალებას! სიკვდილის შემდეგ მათ მხოლოდ იმიტომ არ ივიწყებდნენ, რომ ვარსებობდით ჩვენ. ჩვენი მუსიკა დიდხანს ინახავდა ხსოვნას, თუმცა, უკვე აღარავის ახსოვდა არც ისინი, არც მათი პოლიტიკური ღოჭტრინები.

(იმპერატორი გრაზინოს შტრეკს გადასცემს და გადის. მცირე სცენაზე სამი ხატით რჩებიან 60 წლის მსუქანი და მედიდური ორსინი-როზენბერგი, 55 წლის ზრდილი, მეტისმეტად თავდაქერილი და ცივი ფონ შტრეკი და 50 წლის განათლებული და სერიოზული ვან სვიტენი. შუქი ოდნავ იკლებს) აბა, ახლა მითხარით, ვიდრე ისევ გახდევით და ღაჭიებს გვიწოდებთ, ვინ ვის მსახურებდა? ისიც გამაგონეთ, თუ შეიძლება, თქვენს დროში ვინ შეძლებს უკვდავყოფ? (მოპირდაპირე კულისებიდან გამორბიან თავქარიანები. ახლა ისინიც ახალგაზრდები არიან, პარიკები ახურავთ და მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის ყინულის ტანსაცმელი აცვიან. მათი ქცევა ახლა უფრო კონფიდენციალურია.)  
 პირველი — (სალიერის) ბატონო!  
 მეორე — (სალიერის) ბატონო!  
 პირველი — ბატონო! ბატონო!  
 მეორე — ბატონო! ბატონო! ბატონო!  
 (სალიერი ანიშნებს, მოიკადვით.)  
 სალიერი — ამასობაში მე გავხდი ყველაზე წარმატებული ახალგაზრდა მაცხოვრებელი ჩვენ მუსიკალურ ქალაქში. და უცებ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე... (თავქარიანები ორივე მხრიდან ამოუღებებიან.)  
 პირველი — მოცარტი!  
 მეორე — მოცარტი!  
 ორივე — მოცარტი ჩამოვიდა!

სალიერი — ესენი ჩემი „პატარა მაც-  
ნენი“ არიან, ნიაფივით სწრაფნი, ამი-  
ტომ თავქარიანებს ვეძახი (თითოეულს  
თითო მონეტას აძლევს). თუ დიდ ქა-  
ლაქში ცხოვრობ და წარმატებულე ოცნე-  
ბობ, ყოველთვის უნდა იცოდე, რაც  
შენს ზურგს უკან ხდება.

პირველი — ზალცბურგი დაუტოვებია.  
მეორე — კონცერტები ექნებაო.

სალიერი — რასაკვირველია, უკვე  
გამეგონა ეს სახელი, ვირტუოზოაო, დი-  
დი ხანია მოედო ევროპას.

პირველი — პირველი სიმფონია ხუ-  
თი წლისას დაუწერიაო.

მეორე — პირველი კონჩერტო —  
ოთხისას!

პირველი — პირველი ოპერა — თო-  
თხმეტისამ დაწერია!

მეორე — „მონტოს მეფე მითრიდა-  
ტე“ — ასე ჰქვია იმ ოპერას.

სალიერი — (თავქარიანებს) ახლა  
რამდენი წლისაა?

მეორე — ოცდახუთის.

სალიერი — (შემბარადად) რამდენ  
ხანს ყოვნდება აქ, ჩვენს ქალაქში?

პირველი — წასვლას არ აპირებს.

მეორე — სამუდამოდ ჩამოვიდა. (თავ-  
ქარიანები გადაიან).

4. შიონბრუნის სასახლე

მცირე სცენაზე ნათდება სამი მედი-  
დური ფაგურა — როზენბერგისა,  
შტრეკისა და ვან სვიტენისა.  
ჰოფმაისტერი ოპერის დი-  
რექტორს გადასცემს იმ გრაგნილს,  
იმპერატორისგან რომ მიიღო. სალიე-  
რი ავანსცენაზეა.

შტრეკი — (როზენბერგს) თქვენ და-  
გვივალათ ზერ მოცარტს კომიკური ოპე-  
რა შეუკვეთოთ, ოდონდ გერმანულ ენა-  
ზე.

სალიერი — (მაყურებელს) ეს იოჰან  
კლიან ფონ შტრეკია, ხელმწიფის ჰოფ-  
მაისტერი, წმინდა წყლის კეშმარიტი დი-  
დებულნი!

როზენბერგი — (ამაყად.) რატომ  
გერმანულად? ოპერებს მხოლოდ იტა-  
ლიურად მღერიან.

სალიერი — გრაფი ფრანც როზენბერ-  
გისგან, ოპერის დირექტორი, იტა-  
ლიურს ყველაფერს ეთაყვანება. მე გან-  
საკუთრებით მწყალობს.

შტრეკი — (დაძაბულად) მისი უდი-  
დებულესობისათვის მთავარია ნაციონა-  
ლური ოპერის შექმნის იდეა. მან ისურ-  
ვა ნაწარმოები წმინდა გერმანულ ენაზე  
მოისმინოს.

ვან სვიტენი — რატომ მაინცდა-  
მაინც კომიკური? განა მუსიკას შვენი  
სიცილი?

სალიერი — ეს ბარონი ვან სვიტენი  
გახლავთ, იმპერატორის ბიბლიოთეკის  
პრეფექტი. თავისუფალ მასონთა მიმდევ-  
არია. იუმორს ახლოს არ გაპკარებია.  
ძველმოღუბო მუსიკის ერთგულებისთვის  
ლორდი ფუგა შეარქვეს.

ვან სვიტენი — გახულ კვირას მო-  
ცარტის „კრეტას მეფე — ილომენე“ მო-  
ვისმინე. სერიოზული, ყურადსაღები ოპე-  
რაა.

როზენბერგი — მეც მოვისმინე.  
ახალგაზრდობით მოუვიდა: ისეთ თემას  
შესჭიდებია, ნამდვილად ვერ დაძლედა.  
ზედმეტად მწვავე ნაწარმოებია! მეტის-  
მეტად დაწვრილებით დაუწერია: ბევრი  
ნოტებია!

შტრეკი — (როზენბერგს, დაბეჯითე-  
ბით) მიუხედავად ამისა, კეთილ ინებათ  
და დაკვეთა დღესვე გადაეცით.

როზენბერგი — (ხელშეკრულებას  
უნდობლად გამოართმევს) გული მეუბ-  
ნება, ეს ახალგაზრდა დიდ საზრუნავს  
გაგვიჩენს. (მცირე სცენიდან სალიერის-  
თან ჩავა) ბავშვობაში ვუნდერკინდი ყო-  
ფილა. ეს კარგს არაფერს მოასწავებს.  
მამამისი ლეოპოლდ მოცარტი, ზალც-  
ბურგის ცნობილი მუსიკოსია, ებისკო-  
პოსთან მუშაობს. ამბობენ, ფრიად პე-  
დანტიაო; გაუთავებლად დაათრევდა



ბავშვს ევროპაში და აიძულებდა ხან თვალახვეულს, ხანაც ცალი თითით ეკრა კლავინისზე. (სალიერის) ყველა ვუნდერკინდი საზოგადოება — ნონ ე ვერო, კომპოზიტორი? (ასე არ არის, კომპოზიტორი?)

სალიერი — დივენგენო სემპრე სტერილი კონ გლი ანნი. (დროთა განმავლობაში ტალანტი უცვდებათ და უნაყოფონი ხდებიან).

როზენბერგი — პრეჩინგენტი, პრეჩინგენტი (ნამდვილად, ნამდვილად!)

შტრეკი — (იქვით) რაო, რა ბრძანეთ?

როზენბერგი — (უღარდელად) არაფერი, პერ პოფმაისტერი ნიენტი, სინიორე პომპოზო (არაფერი, სინიორ პომპოზო!) (გახარებული ვადის. მას ნიჰყევა გაბრუნებული შტრეკი. ავანსცენაზე გამოდის ვან სვიტენი).

ვან სვიტენი — როგორც შეეთანხმით, ხვალ მოვალ მოხუცებულ მუსიკოსთათვის პენსიის დამწესებულ კომიტეტში!

სალიერი — (პირმოთენობით) დიდად დაგვაფლებთ, ბარონ.

ვან სვიტენი — (მოწყალედ) სალიერი, თქვენ ღირსეული ადამიანი ხართ. მასონურ სამოში უნდა შემოხვიდეთ. სიხარულით მიგიღებთ.

სალიერი — დიდად გამახარეთ, ბარონ.

ვან სვიტენი — თუ გინდათ, გიშუამოგომლებთ და ჩემს ღოყაში გაამწესებენ.

სალიერი — არც კი ვიცი, ასეთი პატივის ღირსი ვარ?

ვან სვიტენი — რას ბრძანებთ?! ჩვენ ყველა ფენის ნიჭიერი წარმომადგენელი გვყავს. მოცარტის გადაბირებასაც ვეცდებით, თუ, რასაკვირველია, ღირსია.

სალიერი — (თავს დაუკრავს) ცხადია, ბარონ. მაქვს პატივი, გამოგეთხოვოთ. (ვან სვიტენი გავა. მაყურებელს) მაგრამ ეს პატივი, უნდა ითქვას, ფრიად მცირეა. იმ დროს ყველა გავლენიანი

პირი მასონობდა. ბარონის ღოყა კი ყველაზე მოდური იყო. ესეა. მოცარტზეც მოგახსენებთ. გამოგიტყდებით: მისმა ჩამოსვლამ ამაფორიაქა მადლიან ქვებენს. პირდაპირ ხოტბას ასხამენ (შემობიან თავქარიანები).

პირველი — მხიარული, დაუოკებელი სული ჰქონია!

მეორე — მსუბუქი და ელემენტური მისრა-მოსრა!

პირველი — მომხიბვლელია ბომბეროს დაუნათლებია!

სალიერი — (ორივეს). ნუთუ? სად ჩამოსტა, ბინა სად დაიდო?

პირველი — პეტერ-პლაცზე.

მეორე — სახლი ნომერი თერთმეტი.

პირველი — პანსიონის დიასახლისი მალამ ვებერია.

მეორე — კაბიანი სატანა!

პირველი — მდგმურებად მხოლოდ კაცებს ირჩევს, რადგან გაუთხოვარი ქალიშვილების ჯოჯი ჰყოლია.

მეორე — მოცარტს ერთ-ერთი დაუნიშნავს კიდევ.

პირველი — ალიოზა, მომდერალი.

მეორე — მაგრამ ქალს უარი უთქვამს.

პირველი — ახლა მეორე დას ჩასციებია.

მეორე — კონსტანციას.

სალიერი — როგორ? ჯერ ერთი და დანიშნა და ახლა მეორეს სთხოვს ხელს? ორივე — დიას.

პირველი — ქალის დედა ძალიან ჩქარობს.

მეორე — რასაც ვერ ვიტყვოდით ვაჟის მამაზე.

პირველი — მამას მოსვენება დაუკარგავს.

მეორე — ზალცბურგიდან წერილს წერილზე აგზავნის.

სალიერი — მისი გაცნობა მსურს.

პირველი — ხვალ ბარონესა ვალდშტატენტთან იქნება.

სალიერი — გრაცია.

მეორე — ბარონესათან მიხი მუსი-  
კა აუტორდება.

სალიერი — (ორივეს) რესტიამო ინ  
კანტატო. კვლავაც ნუ დამივიწყებთ.

ორივე — ჩერტამენტე, სინიორე!  
(თქმა არ უნდა, სინიორი) (გავლენ)

სალიერი — (მაყურებელს) და  
მეც ბარონესა ვალდშტატენთან გავეშუ-  
რე. იმ ერთმა საღამომ მთელი ჩემი ცხო-  
ვრება შეატარაღა.

5. ბიბლიოთეკა ბარონესა ვალდშტატენის  
სასახლეში

მეორე სცენის უკანა კედელზე ორი  
ელეგანტური ფარდაჩამოკიდებული ფან-  
ჯარაა, მშვიდი ფერის შპალერით მო-  
ნარჩობებული. ორ მსახურს შე-  
მოაქვს ტორტი, ნამცხვრითა და ხილე-  
ულით სავსე მაგიდა; მესამე და მე-  
ოთხე მსახურს კი — დიდი,  
ღრმა, მაღალურგაიანი სავარძელი და  
დიდის ამბით დადგამენ მარცხენა მხა-  
რეს.

სალიერი — (მაყურებელს) ბიბლიო-  
თეკაში შემოვედი, რომ მენახა, რით  
გვიმასპინძლდებიან; სულგრძელ დია-  
ხალოს აქ ყოველთვის ნუგზარი ნამ-  
ცხვარი შემოქონდა, რადგანაც იცოდა,  
უსათუოდ შემოვიდოდი. სორბეტი—კა-  
რამელი, შერბეთ კრემ-ბრულე! და გა-  
მაოვნებელი კრემა აღ მასკარპონე —  
ანუ უბრალოდ — რომიანი ხაჭოს კვე-  
რი. — შეუდარებელი ნამცხვართა შო-  
რის! (იღებს ტკბილეულით სავსე პატა-  
რა თეფშს და ჩაჯდება სავარძელში, პი-  
რით მაყურებლისკენ. ვინც სცენის სიღრ-  
მიდან შემოვა, ვერ დანახავს) ის-ის  
იყო მოკვალათი მაღალურგაიან სავარ-  
ძელში იმ იმედით, ვერავინ დამინახავდა  
და ამ ღვთიური საჭმლითაც პირს ჩავი-  
ტებარუნებდი, რომ უცებ... (კულისები-  
დან ხმაური ისმის)

კონსტანცია — (კულისიდან) პიკ!  
პიკ! პიკ! (სცენის სიღრმიდან შემორბის  
კონსტანცია. ოცი წლისა იქნება.  
ლამაზია, გემოვნებით, საზეიმოდ აცვია.

შემორბის და სიცოცხლე შემოაქვს. ეს-  
ლა ის თავად „გადაქცეულა“ სწორ-  
ფად გადაიბრუნეს სცენას და ფორტეპიანო-  
ნოს ქვეშ იმალება. მოულოდნელად ჩვენი  
მორბის საშუალო ტანის, ღიღთვალემა,  
ძალიან ფერმკრთალი ახალგაზრდა.  
ბრწყინვალე პარიკი ახურავს, ხასხასა  
ძვირფასი ტანსაცმელი აცვია. სცენის  
შუაგულში დგება, იძაბება, როგორც კა-  
ტა, თავის დასაჭერად გარინდებული.  
ეს ვოლფგანგ ამადეუს მო-  
ცარტია. შემდგომ სცენებში მას  
უფრო კარგად გავიცნობთ და მივხვდე-  
ბით, რომ ძალიან ნერვიული, დაუდგ-  
რომელი ახალგაზრდაა, რომლის ხელები  
და ფეხები განუწყვეტლივ მოძრაობენ.  
წმინდა, მაღალი ხმა აქვს. და ისე მკვეთ-  
რად, დამამახსოვრებლად იცინის, თი-  
თქოს ზბავშემა გადაიკისკისაო.

მოცარტი — მიაუ!  
კონსტანცია — (თავი ვასცა) პიკ!  
მოცარტი — მიაუ! მიაუ! მიაუ! მიაუ!  
(ოთხზე იჩოქებს, მრისხანე იერს იძენს,  
ფრუტუნებს და შიშინებს, თან ნაღავს  
კუთხეში მოიქცევს. „თაგუნა“ ხარხა-  
რებს და სიამოვნებისაგან წკმუტუნებს.  
მერე დაუსხლტება „კატას“ და სცენას  
გადაიბრუნებს, სავარძელთან — „სალიე-  
რის თავშესაფართან“ — შედგება და  
არ იცის, საით გაიქცეს. „კატა“ უახ-  
ლოვდება.) აი, ესლა, რომ დავახტებნი  
რომ დავიჭერ ჩემს წრუწუნა თაგუნას...  
რომ შევხარამ-ამ-ამ-ამ-ამუნებნი სად არის  
ჩემი სულიერი წრუწუნა? შუაზე უნდა  
გავხლიჩო და ისე შევხარამუნო, გადავ-  
ყლაპ-გადავხანსლო.

კონსტანცია — არა, არ გინდა, შე-  
მიბრაღე!

მოცარტი — დაგიჭერ-მეთქი შეგყ-  
ლაპავ-მეთქი ხედავ, რა აღესილი ბრჭყა-  
ლები მაქვს? (დაიჭერს და იატაკზე წა-  
მოაქცევს. კონსტანცია კვივის).

სალიერი — (მაყურებელს) დროზე  
წამოვმდგარიყავი სჯობდა, მაგრამ ვერ  
მოვასწარი. ესლა კი უკვე გვიან არის...

მოცარტი — ავიღებ და შუაზე გავ-  
ლერ ჩემს პატარას... ჩემს სტანცი-ვან-  
ცი-ბანცისი (ქალი სიამოვნებისაგან იცი-  
ნის. ვაჟი ზედ ეკრის) აბა, კანკალებ?  
შეგეშინდა შენი კრუტუნა კატისა? ში-  
შით გული ხომ არ გაგისკადა? (ინტიმუ-  
რად) პერანგის ამბანაგი ხომ არ დაგი-  
სველდა? (ქალი ისევ ჭყვივის, ამ სიტყ-  
ვებმა არც კი შეაბუუნეს). ჩემო თხუპ-  
ნა მწეთუნახავო, იატაკზე არ ჩაიკაკუ-  
ნო, იცოვლა!

კონსტანცია — ჩუ-ჩი-ჩი! ვინმე გაი-  
გონებს! (ვაჟი ისეთ ხმას გამოსცემს,  
თითქოს განსავლით განსვლისათვის ირ-  
ჯება) კმარა, გაჩუმდი, ვოლფერლი ჩი-  
ჩი!

მოცარტი — ისეთ სურნელებას გან-  
ვარქვევთ, გაგჟღება მყნოსველი.

კონსტანცია — გაჩუმდი-მეთქი!

მოცარტი — გესმის, უკვე დაიწყო,  
უკვე ისმის ჭუნილი და გრგვანავა და ამ  
სევდიან ბგერებთან ერთად, ჩამოიცლება  
ჩვენი ავლა-დიდებაცი! (ისევ იმ უზრდე-  
ლურ ხმას გამოსცემს, შედარებით  
ჩუმად და ნელა. კონსტანცია ხარხარებს).

კონსტანცია — გაჩუმდი ეხლავე!  
უყურე ერთი! რა სისულელეს სჩადის?!  
ვინ დაიჯერებს, რომ ამას შენ აკეთებ?  
(სალიერა ზიზლით აივსო).

მოცარტი — ეი, კონსტანცია, რა არის  
იტრაცომ?

კონსტანცია — რა?

მოცარტი — იტრაცომ! იტრაცომ!

კონსტანცია — რა ვიცი!

მოცარტი — ჩემო ჭკვიანო ანგელო-  
სო, იტრაცომ არის მოცარტი, ოღონდ,  
უკუღმა, და, თუ ინებებ და ცოლად გა-  
მომყვები, შენც კონსტანცია იტრაცო-  
მი გახდები!

კონსტანცია — არა, არ გავხდები.

მოცარტი — გახდები, გახდები და  
როცა დავქორწინდებით, ყველაფერი  
უკუღმა გვექნება და როცა კოცნა მო-  
მინდება, მხოლოდ ლოყებს კი არა, სულ  
სხვა რაღაც-რულაციებსაც დაგიკოცნი

კონსტანცია — ვერაფერსაც ვერ  
დაგიკოცნი. მამაშენი ჩემთან ვერისწერა.  
ზე დათანხმდება?  
*კონსტანცია*

მოცარტი — (სიმხიარულად გაუქრა)  
ვის რაში სჭირდება მისი თანხმობა?

კონსტანცია — ვის და, შენ! შენ  
ხომ მამაშენის დასტურის გარეშე ვერა-  
ფერს გადაწყვეტ!

მოცარტი — ვერა?

კონსტანცია — ვერა, ვერა! იმი-  
ტომ, რომ ძალიან გეშინია. იცი, მითხ-  
რებს, რასაც ჩემზე გეუბნება. (ზეიმი-  
რად) „იმ საშინელ ქალიშვილს თუ შე-  
ირთავ, უღუკმაპუროდ დარჩები! შენი  
შვილები კი მათხოვრებად იწაწალებენ“.  
მოცარტი — (იმპულსურად) გამომ-  
ყვი ცოლად!

კონსტანცია — ნუ სულელობს!

მოცარტი — ცოლად გამომყვი!

კონსტანცია — რა დაგემართა?  
ნუთუ სერიოზულად...

მოცარტი — (მგზნებარედ) დიანს..  
და ეხლავე უნდა მიპასუხო: ან — ზო,  
ან — არა! მითხარი — ზო-თქო! მითხა-  
რი ზო და შინ გავიქცევი, საწოლზე  
შევბტები, სიხარულისგან ნაალს გადა-  
ვაფხამ და შევძახებ: „ჩვენ გავიმარჯ-  
ვეთ, ბოლოსდაბოლოს!“ (აღტაცებით  
ეცემა ქალს და თავშეუყავებლად ჭიხ-  
ვინებს. სცენის სიღრმეში გამოჩნდება  
ღირსეული მეთორღომი)

მაჟორდომი — (აუღელვებლად) მის-  
მა ბრწყინვალეობამ მოიცალა კონცერ-  
ტისათვის!

მოცარტი — ოჰ, რასაკვირველია!  
კარგი! (შეცბუნებული დგება და კონ-  
სტანციასაც ეხმარება წამოდგომაში.  
ცდილობს ღირსება შეინარჩუნოს) წა-  
მობრძანდით, ჩემო ძვირფასო. მუსიკა  
ვერ მოიცდის.

კონსტანცია — (სიცილს ძლივს იხ-  
შობს) რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა..  
პერ ტრაცომი (ვაჟი ქალს ხელკავს გა-  
მოსდებს. მიდიან, წყნარად კი არა, —  
როკვით! მათი საქციელი ნამდვილად არ

მოსწონს მაყარდომს, ახალგაზრდებს უკან რომ მიჰყვება).

სალიერი — (გაოგნებული, მაყურებელს) გავიღწენ და კონცერტიც დაიწყო. კარს აქეთ დავრჩი და ვუსმენდი: რაღაც სერენადას უკრავდნენ. მუხიკა თავდაპირველად თითქოს ძალიან შორიდან მესმოდა, არც მიზიდავდა. ისე ვიყავი გაოგნებული, გულჩახურთ ვერ მოვიყრებე. მაგრამ მალე ბგერები გაძლიერდნენ და დიდებული საზეიმო ადაჟიო გადმოიღვარა (ისმის მი ბემოლ ადაჟიო სერენადიდან ცამეტი სასულე საკრავისათვის). კ. 361. სალიერი ლაპარაკობს ჩუმად და ღინჯად ამ მუსიკის ფონზე, მაღალტურგიან სავარძელში ჩამჭდარი) დასაწყისი უბრალო იყო: ფაგოტი დაბალ რეგისტრში ძვერდა, მას ჩახლენილხშიანი ძველი ორღანით ააყვა ბასეტგორნი. წესით, ეს საკმაოდ სასაცილოა, მაგრამ შენელებული ტემპი მელოდიას დიდებულიებას ანიჭებდა. და აი, უცებ, აქვე, მაღალი ხმით აუღერდა პიპი (გვესმის პობოის ხმა). მომეჩვენა, თითქოს, ამ ბგერამ, წრფელმა და დახვეწილმა, ჩემს გულში გაიარა და ზაერში ჩამოვიდა. კინაღამ სული შემეხუთა, მაგრამ კლარნეტის ხმებმა მომასულიერებს, სიცოცხლე დამიბრუნეს, ტკივილი გამიყურჩეს და ისეთი აღტაცება მომგვარებს, ნეტარებისაგან ავთრთოლდი. სანთლები ალი აკანკალდა; თვალთ დამიბნელდა... (უფრო მეტის გრძნობითა და ძალით) ორღანი უფრო ხმამაღლა აკვნენდა; ამ ხმაზე მაღალმა ინსტრუმენტებმა ტრიელებით დაიწყეს მოთქმა-გოდება და საბოლოოდ ჩამძირეს უკურნებელი სველიანი ტკივილის ბგერათა ზღვაში. ოჰ, ეს ტკივილი ოჰ, ეს დღემდე გამოუცნობი ტანჯვა! მინდოდა, გამეგო რა ხდება, სად იბადება ეს ყოვლისშემძვრელი ხმები და ჩემს ქვეშევრდამ ღმერთს მივმართე. მაგრამ ორღანი კვლავ მღეროდა და ტანჯვას მიასკეცებდა; ეს ტანჯვა აღწევდა ყვილგან და, როცა ჩემს ალგუ-

ნებულ ტვინსაც შეებო, ვეღარ მოვიტყინე, მოვსწყდი ადგილს და გავიქეცი (მოსწყდება სავარძელს, სცენას გულმოდგინედ და მარჯვენა კუთხეში მოიკუნტება. ბიბლიოთეკა გაქრება და იწყება სცენა ლამის ქუჩაში. ცაზე დახეული ღრუბლებია, ჩნდება პატარა სახლების კონტურები და სილუეტები. მუსიკის ხმა ისევ გვესმის, მაგრამ ჩუმად) უკანა კარიდან გავვარდი ევოში, თითქმის დავგორდი დამრეც კიბეზე და ლამის ქუჩას მივეც თავი. ვცდილობდი, რაღაც უნდა დამჭდომოდა, სიცოცხლის უკანასკნელი, მიმჭრალი სხივი არ ჩამჭრებოდა (საშინელ ავონიაშია, ყვირილით) რა არის ეს? რა ხდება? საიდან? რატომ? მოთხარით, ჩემო ბატონო, ჩემო სინიორ! საიდან გაჩნდა ეს ტკივილი? საიდან გაჩნდა ამ ბგერების მოთხოვნა? მოთხოვნილება განწირული, სამუდამოდ დაუწყალოვებელი, მაგრამ სულის ნეტარებით აღმატებული. შენგან ხომ არ იწყება? შენ ხომ არ ზეგარდმოავლინე? (პაუზა) სალონის ფანჯრებიდან ისევ ისმოდა ის მუსიკა, მაგრამ მოგუდუშლად... ცარიელ ქუჩას მკრთალად დანათოდა ვარსკვლავები და უცებ.. შემეშინდა! მომეჩვენა, თითქოს ღმერთის ხმა მესმის, მაგრამ ღვთისგან კი არა, იმ არსებისგან, ვისი ხმაც ამასწინათ გავიგონე... იმ უხამსი ბავშვისაგან!

(განათება იცვლება. ქუჩის გამოსახულება ქრება)

6. სალიერის აპარტამენტები  
სცენა ისევ ნახევრად ჩაბნელებულია. სალიერი — შინ გავიქეცი! შიშს მუშაობაში დავემალდე. ახალი მოწაფეები ავიყვანე. ეხლა ორმოცამდე შეგირდი მყავდა. გადავყვები მოწაფეების კომიტეტებს.. ღმერთის სადიდებლად უფრო მეტ საეკლესიო მოტეტებსა და ჰიმნებს ვწერდი! ღამღამობით კი მხოლოდ ამას ვლოცულობდი: (განწირული მუხლებზე დაემხო) ო, ღმერთო! შთაასახლე ჩემს სხეულში ხმა შენი (პაუზა. ჭდგა)

მოცარტზე აი რას გიტყვით: მასთან შეს-  
 ვედრას გავუბრძოდი. ჩემს თავქარიანებას  
 კი ხაიღუმლოდ ვაგზავნიდი პარტიტუ-  
 რების მოსაპოვებლად. რატომ? ისე, შა-  
 ინტერესებდა. (თავქარიანებს შემოაქვთ  
 ხელნაწერები. სალიერი ფორტეპიანოს  
 მიუჭდა. ახალმოსულნი რიგრიგობით  
 უჩვენებენ ნოტებს. ამასობაში სამ მოსამ-  
 ნახურეს გააქვთ მაგიდა და სავარძელი.)  
 პირველი — მიუნხენში დაწერილი  
 ექვსი სონატა ფორტეპიანოსათვის.  
 სალიერი — ჰევიანურია.  
 მეორე — ეს ორიც მანჰეიმში დაუწე-  
 რია.  
 სალიერი — ესენიც ჰევიანურად მო-  
 მერვენა.  
 პირველი — პარიზული სიმფონია.  
 სალიერი — (მაყურებელს) და ამავ  
 დროს ქარაფშუტულად!  
 პირველი — დივერტისმენტი რე-დიე-  
 ზი.  
 სალიერი — შეფასება არ შემიცვლია.  
 მეორე — კასახიონე სოლ-დიეზი.  
 სალიერი — ორიგინალურობა აკლია.  
 პირველი — უდიდესი ლიტონია მი-  
 ბეშოლი.  
 სალიერი — მოსაწყენია. (მაყურე-  
 ბელს) ყოველივე ეს ახლადგამომცხვარი  
 პრანჭია ჰაბუკის, ლეოპოლდ მოცარტის  
 შვილის ნაწარმოები იყო და მეტი არა-  
 ფერი. სერენადა, რა თქმა უნდა, გამო-  
 ნაკლისი იყო. ასეთი გამონაკლისი ერთ  
 ბედნიერ დღეს ყველა მუსიკოსს შეიძ-  
 ლება დაეშაროს. (თავქარიანები გავ-  
 ლენ) ნუთუ, მხოლოდ იმან გამოაგნა,  
 რომ ამ ჭუჭყიან ნაძირალას მუსიკის  
 შექმნა შეუძლია. თავისუფლად ამოვი-  
 სუნთქე და გადავწყვიტე, თავად მომე-  
 ძებნა და პატივიც მეცა ვენაში ჩამოხვ-  
 ლის გამო.

7. შიონბრუნის სასახლე

განათება სწრაფად იცვლება. თვა-  
 ლისმომპრელ სინათლეში ბუნრისა და  
 მოოქროვანი სარკების წინ დგას იმ-  
 პერატორი. იქვეა ჰოფმაისტერი

შტრეკი ც. მისი უდიდებულესობა  
 ორმოციოდე წლის ფრანტია, კეპოთი-  
 ლი თავისი პერსონითაც და მსუბუღე-  
 ბითაც. მისკენ მოპირდაპირედ უსმენი-  
 დან მიისწრაფიან ვან სუბიტინი და  
 როზენბერგი.

იოსები — დღესასწაული და ფეიერ-  
 ვერკი გვექნება, ბატონებო! მოცარტი  
 უკვე იქ არის. ქვემოთ გვიცდის. (ყველა  
 ქედს იხრის)

ყველა — თქვენო უდიდებულესობავ!  
 მზად ვართ გემსახუროთ, სირ!

იოსები — შე სიუი ფოლმან ამასი-  
 ან. მოთმინება აღარ მყოფნის!

სალიერი — (მაყურებელს) ავსტრიის  
 იმპერატორი იოსებ მეორე მარია ტე-  
 რეზას შვილი და მარია ანტონეტას ძმა.  
 ძალიან უყვარს მუსიკა, თუ მისი მოსმე-  
 ნა შედამეტ საზრუნავს არ უჩენს. (პა-  
 ტივისცემით, იმპერატორს) თქვენო უდი-  
 დებულესობავ, მოცარტის პატვისსაცემად  
 მარში დავწერე. ნება მომეცით, როცა  
 შემოვა, დავუკრა.

იოსები — დიდი სიამოვნებით, ჩვე-  
 ნო კარის კომპოზიტორო. საუცხოო  
 იდეაა. მოცარტს იცნობთ?

სალიერი — ჭერ არა, სირ.

იოსები — დღესასწაული და ფეიერ-  
 ვერკი გვექნება! რა კარგია, რა მშვე-  
 ნიერია! სთხოვეთ მოცარტს, შტრეკ. ახ-  
 ლავე!.. (შტრეკი გადის, იმპერა-  
 ტორი დიდ სცენაზე ჩამოვა) მონ დიო,  
 (ღმერთო ჩემო) რა კარგი იქნებოდა შე-  
 ჯიბრი მოგვეწყო: მოცარტი და ვინმე  
 სხვა ვირტუოზი. ორი ინსტრუმენტი პირ-  
 ველობას ეცილება ერთმანეთს! ხომ სა-  
 ინტერესო იქნებოდა, ბარონ?

ვან სვიტენი — (ღინჯად) გააჩნია  
 ვისთვის, თქვენო უდიდებულესობავ!  
 ჩემის აზრით, მუსიკოსები ცხენები არ  
 არიან, ერთმანეთს გაუსწრონ. (მცირე  
 პაუზა)

იოსები — კეთილი.. კეთილი საერ-  
 თოდ კი... დიახ... მაშ, ასე.. (შტრეკი  
 ბრუნდება)

შტრეკი — ჰერ მოცარტი, თქვენო უდიდებულესობავ!

იოსები — ოპ! შესანიშნავია! (სალიერის ანიშნებს და ისიც ფორტეპიანოს მიუჯდება) ჩვენო კარის კომპოზიტორო, ალლონი (მოემზადეთ!) (შტრეკს) შემოვიდეს! (სალიერი უკრავს მარშს, ჩქარი ნაბიჯით, მაგრამ მედიდურად, შემოდის მოცარტი. ექსტრაევანტური კამზოლი აცვია, სააღლუმო დაშნა ჩამოუყიდა. იმპერატორი დგას ავანსცენის ცენტრში, ზურგით მაყურებლისკენ. და როცა მოცარტი მიუახლოვდება, ანიშნებს, მოუხმინეო. გოცებული მოცარტი შედგება და მყისვე მიხვდება, სალიერი მის პატივსაცემად შექმნილ მისასალმებელ მარშს რომ უკრავს. ეს ბანალური მუსიკა და ოდნავ ჰგავს იმ მარშს, რომელიც მალე უკვდავი შეიქნება. ყველა სულგანაბული ისმენს. ტაში) (სალიერის) შარშან... დაბითიუდ (მომხიბვლილია, როგორც ყოველთვის) (მოცარტი ხელს გაუწვიდს, რომ ემთხვიოს) მოცარტი!

მოცარტი — (უახლოვდება და ცერემონიულად უჩოქებს) თქვენო უდიდებულესობავ! თქვენი უდიდებულესობის უტყვი მონა ვარ, ნება მიბოძეთ, თქვენს უგანათლებულეს ხელს ასი ათასჯერ ვემთხვიო. (ხარბად და ბევრჯერ ჰკოცნის ხელზე იმპერატორს, ვიდრე შემეზარი იოსები არ გამოჰგლიჯავს)

იოსები — ნონ, ნონ, ხილ ვუ პღე! (არა, არა, თუ შეიძლება!) ასე რამ გაგახელათ?! გთხოვთ! ლევეი ვუ, (ადექით) მეგობარო! (ენმარება ადგომაში) ალბათ, არ გახსოვთ, წინა შეხვედრაზეც ასე იატაკზე აღმოჩნდით.. ჩემს დას ჭერაც არ დავიწყებია. ამ ახალგაზრდას, მაშინ ექვსი წლიხა იყო, ფეხი დაუხსლტა, აქვე, შიონბურნის სახანლეში, დაეცა და თავი დაარტყა. გაიმბეთ ეს თუ არა?

როზენბერგი, შტრეკი, ხალიერი — (საჩქაროდ). არა, თქვენო უდიდებულესობავ!

იოსები — ჩემი და, ანტუანეტა, ასაყენებლად გაეშურა იცით, რა მოიმოქმედა ამ ყმაწვილმა? არც აცია, არც მელა, ყელზე შემოეჭდო: ოპ-ლია ორივე ლოყა დაუკოცნა და უთხრა: „ცოლად გამომყევი თანახმა ხარ თუ არა?“

(დიდებულები თავზიანად იცინიან. მოცარტი იცინის ხმამაღლა და მკახედ. იმპერატორი შეტბა) ჰერ მოცარტ, არც მიფიქრია, უნებხულ მდგომარეობაში ჩამყენებინეთ... აქ ხომ ყველას იცნობთ? მოცარტი — დახ, სირი (ცერემონიულად თავს დაუკრავს როზენბერგს) ჰერ დირექტორი (შერე ვან სვიტენს) ჰერ პრეფექტი!

იოსები — მაგრამ, მგონი, არ უნდა იცნობდეთ ჩვენს სასიქადულ კარის კომპოზიტორს. ეს არ უნდა მოგვხვდოდა ვისაც ხელოვნება უყვარს, ყველა უნდა იცნობდეს ჰერ სალიერის. სწორედ მან შეთხზა ეს შესანიშნავი მარში თქვენს საპატივცემლოდ.

სალიერი — სალაპარაკოდ არც ღირს. იოსები — და მაინც, მაინც უნდა ვთქვათ.

მოცარტი — (სალიერის) გამოგიტყდებით, გოგნებული ვარ, სინიორე! იოსები — იდეებს რა უყოს, არ იცის! შადრევანივით ჩქედს მიხვან ფანტაზია; ხომ მართალია, შტრეკ?

შტრეკი — უსასრულოდ, უსასრულოდ, სირი (თითქოს სამადლოდ აჩუქაო) მშვენიერი რამ იყო, სალიერი.

იოსები — სიამოვნებას მგვრის ერთმანეთს რომ გაცნობთ. ეს ჩვენი კარის კომპოზიტორია, სალიერი. ეს კი — ჰერ მოცარტი, ზაღცბურგადან.

სალიერი — (შემპარაკად, მოცარტს) ფინალმანტე. კე ჭოია. კე დილლეთო სტრაორ დინარიო. (როგორც იქნა, გაგიცანიო. რა უჩვეულო სიამოვნებაა). (თავს ცივად დაუკრავს და თავისი თხზუ-



ლებს ხელნაწიკს ვადაბცემს; მოცარტი იტალიური ფრაზების კორიანტელს დაყრის).

მოცარტი — გრაციე, სინიორე მილ მილიონე დი ბენვენუტო სონო კომოს-სო! ე უნ ონორე ჩეციონაღე ინკონტრა-სე კომპოზიტორე ბრილიანტე ე ფამო-ზისიმო (გმაღლობთ, სინიორ, ბედნიერი ვარ და გესალმებით! როგორ ავღელდი ჩემთვის უდიდესი პატივის თანაც თქვენგან, შესანიშნავ და ცნობილ კომ-პოზიტორისაგან! (თავს მღაბლად უქ-რავს).

სალიერი — (ცივად) გრაციე-იოსები — მითხარით, მოცარტ, მი-ღვთა ჩვენი შეკვთა?

მოცარტი — დიახ, რა თქმა უნდა, თქვენო უდიდებულესობავ. სამაღლობე-ლოდ, სიტყვები არ მყოფნის... გეფიცე-ბით, ყველაზე კარგ, ყველაზე სრულ-ყოფილ ქმნილებას მოგიძღვით, ჭერ არცერთ მონარქს რომ არ მიუღია — ისეთს. ლიბრეტოც მზად მაქვს.

როზენბერგი — (შეშოთდა) უკვე? არ ვიცოდები?

მოცარტი — მაპატიეთ, ჰერ დირექ-ტორ, დამავიწყდა გამეფრთხილებინეთ. როზენბერგი — რატომ?

მოცარტი — ვიფიქრე, რა დიდი ამ-ბავი ეს არის-მეთქი.

როზენბერგი — ლიბრეტო არ არის დიდი ამბავი?

მოცარტი — რასაკვირველია.

როზენბერგი — (გაბრაზებული) ჩემ-თვის ლიბრეტო მთავარია, ჰერ მოცარტი!

მოცარტი — (შეწუხებული) დიახ, რა თქმა უნდა... მესმის... ვასაგებია...

როზენბერგი — ავტორი?

მოცარტი — სტეფანი!

როზენბერგი — უნიშნათიო კაცია.

მოცარტი — მაგრამ მშვენიერ ლიბ-რეტოებსა წერს.

როზენბერგი — ასე გგონიათ?

მოცარტი — დიახ. ფრიალ მხიარუ-ლი ამბავია, თქვენო უდიდებულესობავ,

მოქმედება მიმდინარეობს... (სიბრძნობს) მოქმედება მიმდინარეობს...

იოსები — (დაინტერესებულად) ხად მიმდინარეობს?

მოცარტი — იციო, სიუჟეტი... ფრიალ სასაცილოა, სირ!

იოსები — ხად მიმდინარეობს მოქმე-დება? რა თქვით?

მოცარტი — სერალში?

იოსები — ეგ სადღაა?

მოცარტი — სერალში, ესე იგი ჰა-რამხანაში. (სიცილით იგულებს, ჭახვი-ნებს).

როზენბერგი — და თქვენ იმედოვ-ნებით, რომ ეგ შესაფერი სიუჟეტია ნა-ციონალური საოპერო თეატრისათვის?

მოცარტი — (პანიკურად) დიახ! ესე იგი — არა! ესე იგი — დიახ! რასაკვირ-ველია, შესაფერი სიუჟეტია რატომაც არა?

დაღიან სასაცილო და ვასართობი ამბავია... პატიოსნებას გეფიცებით, თქვე-ნო უდიდებულესობავ, არაფერი ური-გო იქ არა ხდება. ტექსტი უმაღლესი გერმანული სათნოებითა და წნეობრიო-ბით არის სავსე. გეფიცებით!

სალიერი — (ირონიით) სკუზატა, სი-ნიორე! რა სათნოებაზეა ლაპარაკი? უცხოელი ვარ და არ მესმის, რას ამ-ბობთ!

იოსები — თქვენ ზედმეტად (კატტი-ვო) შარანი ხართ, ჩვენო კარის კომ-პოზიტორო!

სალიერი — სრულებითაც არა, თქვე-ნო უდიდებულესობავ!

იოსები — აბა, მოცარტ, დავისახე-ღეთ ჰეშმარიტად გერმანული სათნოებ! მოცარტი — სიყვარული, სირ! სიყ-ვარული ჰეშმარიტად ჭერ არავის აღუ-წერია ოპერაში.

ვან სვიტენი — მშვენიერი პასუ-ხია, მოცარტი!

სალიერი — (ღიმილით) სკუზატე-ყოველთვის მეგონა რომ ოპერაში, სხვა არა არის რა სიყვარულის გარდა.

მოცარტი — მე ვაჟკაცურ სიყვარულ-

ზე მოგახსენებთ, კაცის ტანსაცმელში გა-  
შორარქულ ჭყიბინა სოპრანოებზე კი  
არა; ან იმ სულელ წყვილებზე, ოვრით  
შეცვას რომ აღაპრობენ თვალებს. ერ-  
თი სიტყვით, ყოველგვარი იტალიური  
უნამოსობა მაქვს მხედველობაში (პაუზა.  
დაძაბული საჩუქმი) მე ნამდვილ გრძნო-  
ბებზე მოგახსენებთ.

იოსები — შერ მოცარტ, თავად იც-  
ნობთ ამ ნამდვილ გრძნობებს?

მოცარტი — მომიტყევეთ, თქვენო  
უდიდებულესობავ, და ასე მგონია, ვიც-  
ნობ. (წაიფხუტუნებს).

იოსები — ბრავო. სამუშაოს როლის  
დაამთავრებთ?

მოცარტი — პირველი აქტი მზადა  
მაქვს.

იოსები — ორ კვირაში.. პირველი  
აქტი?

მოცარტი — სირ, მუსიკის შეთხზვა  
არც თუ ისე ძნელი საქმეა, თუ კარგი  
მსმენელი გეღის.

ვან სვიტენი — მშვენიერი პასუ-  
ხია; ხომ მართალია, თქვენო უდიდებუ-  
ლესობავ?

იოსები — უმძველად, ბარონ, ბატო-  
ნებო, დღესასწაული და ფეიერვერკები  
გვექნება! ვგრძნობ, ესა და ყოველგვარი  
საიმოვნება გვეღის. ორეცუარ, მუსიე  
მოცარტ. სუაიე, ბიენვენიუ, ა ღია კურ.  
(ნახვამლის, ბატონო მოცარტ. მოხარუ-  
ლი ვარ, ჩვენს კარზე მოგხალმებოდით.)

მოცარტი — (სხაპასუპით) მაჟესტე-  
შე სიუი, კომბლ დონორ დეტრ აკსემ-  
ტე დან ღია მეზონ დიუ პერ დიო ტუ  
დე მიუზისიენ! სერვიარ იონ მონარკ ოს-  
სი პლენ დიო დისერნიომან კი ვოტრე  
მაჟესტე, სენტ იონ ონიორ კი დეპას  
ღია სომეი დიო მეი დიუ (თქვენო უდი-  
დებულესობავ! ყველა მუსიკოსის მფა-  
რველის სახახლეში მიღება ჩემთვის  
უდიდესი პატივია! დიდი პატივია სამ-  
სახური ისეთი მონარქისა და მუსიკის  
დიდი, შედმიწვენიო მცოდნესი, როგო-  
რიც თქვენ ბრძანდებით! ამას ვერც ვი-

ნატრებდი! ამაზე ვერც ვიოცნებებდი!  
(პაუზა. იმპერატორი გაკვირვებულია/  
ფრანგული კასკადებით) ერყენსული  
გამოქმედება  
იოსები — ოჰ, დიახ. საერთოდ კი...  
დიახ... მაშ, ასე. დაგტოვებთ, ბატონე-  
ბო, უკეთ რომ გაიცინოთ ერთმანეთი.

სალიერი — ყოველივე კარგს გი-  
სურვებთ, თქვენო უდიდებულესობავ!  
მოცარტი — ვოტრ მაჟესტე! (თქვენო  
უდიდებულესობავ!) (დიდებულები ქედს  
იხრიან. იოსები გაღის)  
როზენბერგი — ნახვამდის.

შტრეკი — ყოველივე საუკეთესოს  
გისურვებთ... (გაღიან)

ვან სვიტენი — (მოცარტს მხურ-  
ვალედ ართმევს ხელს) კეთილი იყოს  
თქვენი მობრძანება ჩვენთან, მოცარტ.  
ვიმედოვნებ, სშირად შეგხვდებით. ჩემი  
იმედი გქონდეთ.

მოცარტი — გმადლობთ (თავს დაუხ-  
რის) (ვან სვიტენი გაღის. რჩე-  
ბიან მოცარტი და სალიერი)

სალიერი — ბენე.

მოცარტი — ბენე.

სალიერი — მეც მინდა გისურვოთ,  
თქვენი ოპერის წარმატებით დამთავრე-  
ბა.

მოცარტი — დავამთავრებ კიდევ.  
კარგი უნდა გამოივიდეს. მითუმეტეს,  
მთავარი როლის მშვენიერი შემსრულე-  
ბელი ვიპოვნე.

სალიერი — ვინ არის?

მოცარტი — კატარინა კავალიერი.  
გერმანელია, მაგრამ მგონია იტალიური  
გვარი კარიერის შექმნაში დამეხმარე-  
ბაო.

სალიერი — მართალია. ეს მე ვურ-  
ჩიე. ჩემი საუკეთესო მოწაფეა. უბიწო-  
ების განსახიერებაა. თანაც სულელი,  
როგორც ყველა ახალგაზრდა მომღერა-  
ლი. თუმცა, ის ხომ მხოლოდ ოცი წლი-  
საა. (მოცარტი ადგილზე იყინება, სა-  
ლიერი კი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს  
დარბაზისაკენ) (მაჟესტეტს) როგორც  
გითხარით, კატარინას ახლოს არ ვეკა-

რბობი... მაგრამ გაფიქრებაც კი, რომ მას სხვა დაეპატრონებოდა, განსაკუთრებით, მოცარტი, აუტანელი იყო მოცარტი — („გაიცხლდება“) კარგი კაცი ხართ, სალიერი! ძალიან მომეწონა ჩემს საპატრივციმლოდ დაწერილი თქვენი პატარა ოპუსი.

სალიერი — სამადლობლოდ არც ღირს.

მოცარტი — მოდი, ერთი, გავისხენო, თუ შევძელი... შეიძლება?

სალიერი — რასაკვირველია, როგორც გნებავთ;

მოცარტი — გრაციე, სინიორე! (ისე დაყრის ფორტეპიანოზე ნოტებს, რომ არ ჩანს. ჭერ ნელა და განმეორებით კი, როცა რეპრიზა მეორდება ტემპში უკრავს მარშს) შემდეგ, მგონი, შელოდია მეორდება, არა? (დაკვრას თავხედური სისწრაფით ამთავრებს).

სალიერი — შესანიშნავი მახსოვრობა გქონიათ.

მოცარტი — (წარმატებით კმაყოფილია) გრაციე ანკორა, სინიორე! (კიდევ ერთხელ გამაღლობთ, სინიორე! (იმეორებს პირველ შეიდ ტაქტს, მაგრამ მეოთხე ინტერვალზე შეჩერდება და უკმაყოფილოდ უკრავს) მგონი მეორე ტაქტი არ ეწყობა. მოდი, მესამედან განვაგრძოთ... (უკრავს, ბედნიერი ღიმილით) აი, ახლა კარგია! (იმეორებს ახალ ინტერვალს, სამხედრო საყვირების მონაწილეობით, კარგად ცნობილ არბეჯიოს რომ გვაგონებს „ფიგაროს ქორწინებიდან“ — „ანი, ხუჭუჭა, შეყვარებული ბიჭი...“ შემდეგ ამ ინტერვალის დახმარებით, ვითომ, კიდევ ერთხელ ვცდიო, — ფრთხილად მოსინჯავს ნაცნობ მელოდიას (იხილეთ მუსიკალური დანართი). გატაცებით უკრავს ახლა ყველასათვის ცნობილი მარშის იმპროვიზაციებს; თან ყოველთვის, გასწორებულ მესამე ინტერვალზე, ყურებამდე იკრიბება. სახეზე ღიმილშეყინული სალიერი შესცქერის მოცარტს. მოცარტი სულ უფრო ვი-

ტუოზულად უკრავს, მაყურებელს რომ უჩვენოს, რა უზადო პიანისტი ვარო და სრულებითაც ვერ ხვდებოდა, როგორ შეურაცხყოფს ამით სალიერის. ბოლოს, როგორც იქნა, ტრიუმფული პასაჟებითა და აკორდებით დაამთავრებს მარშს. მრისხანე პაუზა).

სალიერი — სკუზატე. უკაცრავად, ჩემი წასვლის დროა.

მოცარტი — უკვე? (წამობტება, ინსტრუმენტზე უთითებს) ეგებ ერთი ვარიაცია მოგესინჯათ!

სალიერი — გამაღლობთ, მაგრამ იმპერატორს უნდა ვეახლო.

მოცარტი — ა. აა...

სალიერი — მოხარული ვარ, რომ გაგიცანიო...

მოცარტი — მეცა მეც! მარშისთვის გამაღლობთ! (იღებს ნოტებს და მსუბუქი, ბედნიერი ნაბიჯით გადის. მცირე პაუზა. სალიერი უახლოვდება ავანსცენას. სინათლე მხოლოდ მას ანათებს).

სალიერი — (მაყურებელს) გგონიათ, პირველად მაშინ ჩავიფიქრე მკვლელობა? არა, რა თქმა უნდა, არა. მიხი მოკლა განსაკუთრებით, ფიზიკურად, არასოდეს მომწოდებია. აი, ხელოვნებაში კი — ეს სულ სხვა საქმეა! და მთელი მსოფლიოა გასაოცებლად, ტრაგიკული ოპერა ჩავიფიქრე. ვიცოდი, რომელ თემასაც დავძლევდი. ეს იყო ლეგენდა დანაეზე! ჯოჯოხეთური დანაშაულისათვის ის კლდეზე სამულამოდ მიაჭაჭვეს და ელვა შიგ თავში სცემდა! კიდევ და კიდევ! კიდევ და კიდევ! დიდი საიპოვნებით წარმოვიდგინე მოცარტი დანაეს მაგიერად. მაგრამ მაცენტროს ხიფათი არ ელოდა... ჭერ არ ელოდა... ჭერჭერობით!

მ. პირველი დადგმა ოპერისა „მოტაცება სერალიდან“

განათება იცვლება და სცენა მეოთხე რამეტე საუკუნის თეატრად გადაიქცევა. უკანა ფარდაზე მოჩანს მოციმციმე სანთლებიანი შანდლები. მსახურებს შემოაქვთ სავარძლები და სკამები... სა-

ბით მაცურებლისკენ სხდებიან იმპერატორი, შტრეკი, როზენბერგი და ვან სტიტენი. დარბაზს ისე უყურებენ, თითქოს ოპერას უსმენენ. იქვე სწვდან კაველმა ისტერი ბონო და ტერეზა სალიერი; ოღნავ უკან — კონსტანცია; მის უკან ვენის მოქალაქენი.

სალიერი — და აი, დაღა „ხერალი-დან მოტაცების“ პრემიერის დღეც. ვნახოთ ერთი, როგორ წარმოუდგენია შემთხვეულს ვაჟკაცური სიყვარული გერმანულად (ჩქარი ნაბიჯით შემოდის უფრო ხასხასა, მყვირალა ფერის კამზოლში გა მოპრანჭული მოცარტი. ფაფუკი, დაუღრული პარიკი ახურავს. ფორტეპიანოს მიუჯდება და ამკარად თავისთვის დირიჟორობს. სალიერი ტერეზას სიახლოვეს დამჯდარა და მოცარტს თვალს არ აშორებს) საგანგებოდ ამ პრემიერისთვის, მან თვითონ ამოიჩნია ისეთი მყვირალა ფერის კამზოლი, მანამდე რომ არ ცნია. რაც შეეხება მუსიკას.. მუსიკა ზუსტად შეეფერებოდა შემქმნელის ტანსაცმელს. კატარინა კავალიერისთვის, ჩემი საყვარელი მოწაფისათვის, ისეთი ვულგარული არია დაეწერა, ყურს რომ არ სმენია. (შორით ისმის ტრეილებითა და პასაჟებით სავსე არია: „ო, ვით ვიტანჯვი! ვით ვეწამები!“) მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიში, ათი წუთი გამები და ფორიტურების სიცარიელე! ეს უაზრობა ისე შეესატყვისებოდა ქარაფშუტა ახალგაზრდა მომღერალი ქალის კაპრიზებს, რომ მაშინვე მიფხვდი, მოცარტმარაც მიიღო სამაგიეროდ. (ორკესტრის უკანასკნელი აკორდები. არია კათავდა. სიჩუმე და უმოძრაობა) მოცარტი უკვე დანიშნული იყო და ჯვარიც მალე უნდა დაეწერა, მაგრამ ცხადად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვიგრძენი, რომ ის იწვა კატარინასთან. (უხეშად) მთხველი ჩემს ძვირფას გოგონას ხარცელებს უყოფდა. (ამჯერად ხმაძალა ისმის ბრწყინვალე თურქული ფინალი „სერალიდან“. აბ-

ლოდისმენტების ქარიშხალი. მოცარტი წამოხტება და თავს უკრავს მაცურებელს. იმპერატორი აღდა. ყველამ მას მიჰყვა იოსები მომღერალ ქალს მალღერებში ანიშნებს მიუახლოვდეს, მქუხარე ტანის თანხლებით შემოდის ფრინველის ფრთებით უხვად შემკული, ფურჩალიანი კაბით შემოსილი კატარინა. იმპერატორს რევერანსს უკეთებს. სალიერი აკოცებს და ტერეზას წარუდგენს. კატარინა ახლა მოცარტს უკეთებს რევერანსს და სიხარულისგან აწითლებული, გვერდზე მიდგება. სიჩუმე ჩამოდგა. სწორედ ამ დროს, ძლიერ აღელვებული კონსტანცია გამოვარდება და, თითქოს აქ იმპერატორი არ იდგეს, მოცარტს ჩაებვევა)

კონსტანცია — ჩემო სიცოცხლე, რა მშვენიერი რამ დაგიწერია ბრავო, ეშმაკო-კატუნა! (მოცარტი იმპერატორზე ანიშნებს) ოჰ, მაჰაბეთ! (დაბნეული რევერანსს უკეთებს იმპერატორს)

მოცარტი — თქვენო უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ, წარმოვიდგინოთ ჩემი საცოლვე ფროლიანი კონსტანცია ვებერი!

იოსები — ანშანტი, ფროლინი! (მოხიბლული ვარ, ფროლიანი!).

კონსტანცია — თქვენო უდიდებულესობავ!

მოცარტი — კონსტანციაც მომღერალია.

იოსები — მართლა?

კონსტანცია — (შეცბუნებული) არა, თქვენო უდიდებულესობავ! ვოლფგანგ, რაებს იგონებ?!  
იოსები — მაშ, ასე, მოცარტი კარგია... დიახ, ასეა. დასაწყისს კარგი პირი უჩანს.

მოცარტი — მართლა მოგეწონათ, სირ?

იოსები — ფრიად საინტერესოა. შენსაძლოა, ცოტა.. როგორ ვთქვა... (როზენბერგს) როგორ გამოვხატო, პერ დირექტორ?

როზენბერგე — (ლაქუციით) ძალიან

ბევრი ნოტია, თქვენო უდიდებულესობავ?

იოსებ ბი — დიახ, სწორედ ვერა. ძალიან ბევრი ნოტია.

მოცარტი — არ მესმის.

იოსებ ბი — ჩემო კარგო მეგობარო, ეს გულს ნუ დაგწყვეტთ. ერთ საღამოს უფროს დადგენილზე მეტი ნოტების მოსმენა არ შეუძლია. ხომ არა ვცდები, ჩვენო კარის კომპოზიტორო?

სალიერი — (უხერხულად) როგორც უკველთვის, მართალი ბრძანდებით. მეც ასე ვიტყვოდი, თქვენო უდიდებულესობავ.

იოსებ ბი — აი, ხომ ხედავთ ჭკვიანურია. გერმანული. მაღალი ხარისხის, მაგრამ ძალიან ბევრი ნოტებია. გესმით?

მოცარტი — ნოტები ზუსტად იმდენია, რაც საჭიროა. არც მეტი, არც ნაკლები, თქვენო უდიდებულესობავ. (პაუზა).

იოსებ ბი — ა... აა... საერთოდ კი... დიახ... ასეა... (სწრაფად გადის) (როზენბერგი და შტრეკი გაჰყვებიან).

მოცარტი — (ნერვიულობს) გაბრაზდა?

სალიერი — არა. ის დიდად აფასებს თქვენს შეხედულებებს.

მოცარტი — (აღვლევებული) ვიმედოვნებ... თქვენ, მაესტრო? მოგწონს?

სალიერი — რა თქმა უნდა, მოცარტ-ზოგიერთი პასაჟი ნამდვილად მომხიბვლელია.

მოცარტი — მთლიანობაში?

სალიერი — (ორჭოფულად) ალაგ-ალაგ, მაგალითად, კატარინას არია, ჩემის აზრით, ზომიერად სასულია.

მოცარტი — ეს კატარინა თავად ზომიერად სასული და იმიტომ... ყველაფერში... გაუმძლარი... ხარბი...

სალიერი — მიუხედავად ამისა, როგორც ჩემი ღირსეული მასწავლებელი კავალერი გლიუკი იტყვოდა: უნდა ვერი-

დოთ ისეთ მუსიკას, რომელსაც მუსიკის სუნი უდის.

მოცარტი — ვერ გაგხსენებია სალიერი — მუსიკა ასე აშკარად არ უნდა გვიკიდოს, ჩემი შემქმნელი ვირტუოზიაო.

მოცარტი — რა ხასიათილი კავალერი ყოფილა გლიუკი...

სალიერი — ასე გგონიათ?

მოცარტი — მთელი ცხოვრება გვიჩინებდა, ომერა უნდა გავათანამედროვოთ და თავად კი ისეთი ქედმაღალი, ამპარტავანი მუსიკოსები აღზარდა, კაცს ეგონება, ტანში მხოლოდ ცივ მარმარილოზე გადაიანო.

კონსტანცია — (შოკში ჩაეარდნილი შეპკივლებს, მერე) ოჰ, მამაკით... მოცარტი — (აღშფოთებული) რა ხდება, რა უბედურებაა? ეს უკვე მეთისმეტია: გლიუკმა თქვა გლიუკა წარმოთქვამს კავალერი გლიუკი! ეს კავალრობა რაღა მოსატანია? მეც კავალერი ვარ. რომის პაპა კავალრობა ჭერ კიდევ მაშინ მიბოძა, ქვეშ რომ ვიფხამდი.

კონსტანცია — ვოლფგანგ!

მოცარტი — რა არის-მეტქი ეს კავალრობა? უაზრობა! აბსურდი! მხოლოდ დიდგულა და ამპარტავანი დიდებულები იტყუარებებიან ტიტულებს უკან. სალიერი — (შემპარავად) განსაკუთრებით ისეთი ტიტულის უკან, როგორც კარის კომპოზიტორია.

მოცარტი — რა ბრძანეთ? (გადაკრულს მიუხედა) აჰა, დიახ. რასაკვირვებელია, ხა-ხა-ხა! რას ვიზამთ! მართალია, (ეს მერამდენე!) მამამე: კბილები იმიტომ მოუცია ღმერთს, ენას დააპიროო. ალბათ, მე, საერთოდ, ხმა არ უნდა ამოვიღო, უნდა დავმუნჯდე!

სალიერი — რას ბრძანებთ? რა სისულელეა! როგორც იმპერატორმა ბრძანა, ჩემი (კატტივო) შარიანი ბუნება მინდოდა გამომეშლავებინა, ეს არის და ეს! გაშაყანით, ბოლოს და ბოლოს, თქვენი მშვენიერი საცლოე.

მოცარტი — მომიტვეთ... ახლავე...  
კონსტანცია, ეს პატივცემული კარის  
კომპოზიტორია, ჰერ სალიერი. ფროი-  
ლან ვებერი.

სალიერი — (ესალმება) მოხარული  
ვარ, კარა ფროილან (ძვირფასო ფროი-  
ლან).

კონსტანცია — (რევერანსით) რო-  
გორ ბრძანდებით, თქვენო აღმატებულე-  
ბავ?

სალიერი — თქვენ, მგონი, მომღე-  
რალ ალიოზა ვებერის და ბრძანდებით,  
არა?

კონსტანცია — დიახ, თქვენო აღ-  
მატებულებავ.

სალიერი — ძალიან ღამაში და  
გყავთ... მაგრამ პირველობა, უნდა ვაღი-  
აროთ, უყუყუმანოდ თქვენ გაუთვინით.

კონსტანცია — რას ბრძანებთ!  
გმადლობთ!

სალიერი — ჭვარს როდის იწერთ?

მოცარტი — ჩვენ მამარემის ნებარ-  
თვასა და ლოცვა-კუთხხევას ველოდე-  
ბით, ძალიან კარგი კაცია, მაგრამ ხან-  
დახან ჭიუტობს ხოლმე.

სალიერი — უკაცრავად, მაგრამ რამ-  
დენი წლისა ბრძანდებით?

მოცარტი — ოცდაექვსის.

სალიერი — მაშ, მამათქვენის ნება-  
რთვა საქირო არცა ყოფილა.

კონსტანცია — (მოცარტს) მართ-  
ლა?

მოცარტი — (თქმა უჭირს) რასაკ-  
ვირველია; ნებართვა აუცილებელი არ  
არის...

სალიერი — გირჩევთ, ჭვარი დაი-  
წეროთ და... იბედნიერეთ. (მოცარტს).  
ემპვარეშეა, თქვენ უნ ტეზორო რარე  
(ჭემპარიტი საუნჯე) იპოვეთ!

კონსტანცია — თქვენმა თავაზი-  
ანობამ და უურადღებამ... არ ვიცი, რო-  
გორ ვთქვა, გული ამიჩუყა.

სალიერი — (კონსტანციას ხელზე  
ეამბორა. ქალი აღტაცებულია) ორივეს  
მშვიდობის ღამეს გისურვებთ.

კონსტანცია — დამე მშვიდობის,  
მაესტრო გმადლობთ წავიდეთ, სტანცი-  
ლი. (გახარებულები გავლენ. მსგავსად  
თვალს გააყოლებს).

სალიერი — (მაყურებელს) თვალი  
გაეყოლე კონსტანციას. მას ხელყავი გა-  
მოედო შემოქმედისათვის... და თითქოს  
ელვამ გაიბრწყინაო, ერთმა აზრმა დამკ-  
რა თავში: სამაგიერო შური უნდა ვიძიო  
კატარინასთვის! კონსტანცია უნდა და-  
ვიმორჩილო! წყეულიმც იყავ ჩემო თა-  
ვო, წყეულიმც იყავი ასეთი საშინელი  
რამ ჩემ სიცოცხლეში არ გამოიჭრებია..  
(განათება იცვლება. მეთვრამეტე საუ-  
კუნის თეატრი გაქრება. გამოდიან მზი-  
არული! თავქარიანები. თითქოს  
რადიკალს ზეიმობენო, ერთს ბოთლი უჭი-  
რავს ხელში, მეორეს — ბოკალი)

პირველი — დაქორწინდნენ!

სალიერი — (ამათ მიუბრუნდება)

რა თქვი?

მეორე — მოცარტი და ვებერი და-  
ქორწინდნენ!

სალიერი — შეუძლებელია!

პირველი — მოცარტის მამა გადა-  
რეულა!

მეორე — ნებართვას არ დაუცადეს.

სალიერი — სახლი იყოდეს?

პირველი — დიახ, ვიპლინგერშტრა-  
სეზე.

მეორე — ნომერი თორმეტი.

პირველი — შენობას არა უშავს

რა... ძვირფასია...

მეორე — თუ გავითვალისწინებთ, რომ  
შემოსავალი არა აქვთ...

სალიერი — მართლა?

პირველი — ფულის ფლანგვა მო-  
ცარტის მოგონილია.

მეორე — დაავიწყდა, საბანი იქამდე  
რომ უნდა გასქიმოს, სადამდეც გასწვ-  
დება.

სალიერი — კი, მაგრამ... მოწაფეები  
ხომ ჰყავს?

პირველი — მხოლოდ სამი.

სალიერი — რატომ ასე ცოტა?

პირველი — უხამსი კაცია.  
 მეორე — შინაგული...  
 პირველი — მტრები გაიმრავლა.  
 მეორე — ამასწინათ შტრეკსაც წაე-  
 ჩხუბა... დაახლოება კი უნდოდა.  
 სალიერო — ჰოფმაისტერ შტრეკს  
 წაეჩხუბა?  
 პირველი — დიახ, გუშინ სალამოს.  
 მეორე — კაპელმაისტერ ბონოსთან.  
 ლ

განათება სწრაფად იცვლება. შემო-  
 დიან კარგად შეზარბოშებული მოცარ-  
 ტი და შტრეკი. მოცარტს ბოკალი  
 უჭირავს. თვექარბანებიც აქ  
 არიან. ისინი ხანდახან აგრძელებენ საუ-  
 ბარს სალიეროსთან სალონგარეთ.  
 ერთ-ერთი მოცარტს ბოკალს გაუცვებს.  
 მოცარტი — უკვე შევიდი თვეა ამ  
 ქალაქში ვარ და სამსახურს ვერ ვეღირ-  
 ხე. ესე იგი, არაფრის იმედი არ უნდა  
 მქონდეს?

შტრეკი — რატომ, რატომ?  
 მოცარტი — თქვენზე უკეთ ვიცი,  
 რაცა ხდება ამ ქალაქში. ვენა მთლიანად,  
 გესმით, მთლიანად უცხოელების ხელ-  
 შივა; ჩვენი მასპინძლის, არაფრის მაქნი-  
 სი იტალიელის, კაპელმაისტერ ბონოს-  
 ნაირთა ხელში  
 შტრეკი — გეთაყვა, ნუ გავიწყდე-  
 ბათ, მის სახლში რომ ვართ.

მოცარტი — და კიდევ კარის კომ-  
 პოზიტორის სალიერის ხელში  
 შტრეკი — ოდნავ ხმადაბლა ილაპა-  
 რაკეთ, თუ შეიძლება!

მოცარტი — მაგის ოპერა „ბუხრის  
 მწმენდავი“ თუ მოგისმენიათ? გქონიათ  
 ასეთი ბედნიერება?

შტრეკი — რა თქმა უნდა.  
 მოცარტი — ნაგავია (თვექარიანებს)  
 ძაღლის კურკლი

შტრეკი — (აღშფოთებული.) ძალიან  
 გთხოვთ...

მოცარტი — (ვიანინოსთან მივა, ამო-  
 ნოტონურად სცემს კლავიშებს. მღერის)  
 პომ-პომი პომ-პომი პომ-პომი ტონიკა

და დომინანტა, ტონიკა და დომინანტა  
 და ასე შემდეგ მეორედ მოსვლილი, მთე-  
 ლი სალამო ყურს ვუგდებდი... და ერთი  
 საინტერესო მოდულიაცა ვერ გავიგო-  
 ნე. სალიერო მუსიკალური იდიოტია!  
 შტრეკი — თუ შეიძლება, გარემდითი...  
 პირველი — (სალიერის) ძალიან  
 მთვარალია

მეორე — ეს ხშირად ემართება.

მოცარტი — რატომ ეშინიათ ამ იტა-  
 ლიელებს რთული ფორმებისა? რატომ?  
 ერთ ქრომატულ პასაჟს მოასმენინებ და  
 იმწამსვე გული მისდით. რა სიბნელეა!  
 რა სიმახინჯე! (ფალცეტო) მორბოწო  
 ნერვოწო! ოიმე! (სიმახინჯე სიბნელე)  
 რაღა გასაკვირია, რომ ჩვენი კარის მუ-  
 სიკა ასეთი მოსაწყენია.

შტრეკი — მუსიკალურადვე გეუბნე-  
 ბით, ტონით ქვემოთ ჩაიწიეთ და ისე  
 ილაპარაკეთ.

მოცარტი — ამაზე არამუსიკალურად  
 გიპასუხებთ: ქვემოთ თქვენ უნდა ჩაი-  
 წიოთ... შარვალი ვიხუმრე! ვიხუმრე!  
 გეფიცებით, ვიხუმრე! (ესენი ვერ ხედა-  
 ვენ: როზენბერგი გამოვა სცე-  
 ნის სიღრმიდან, თავქარიანთა შუა ჩად-  
 ვება და მათ დიალოგს ყურს უგდებს.  
 გრაფს ხასხასა. მწვანე ფერის ქილტი  
 აცვია, სახეზე მედიდური ინტერესის იე-  
 რი დასათამაშებს. მოცარტი შენიშნავს  
 მას. პაუზა. როზენბერგს, ხუმრობით)  
 თქვენ გომბეუოს მგავართ... ძალიან...  
 თქვენ გომბეუოს კი არ მგავართ, გომ-  
 ბეუოსავით გადმოგიკარკლავთ თვალები...  
 (აქიხვინდება)

როზენბერგი — (რბილად) კარგს  
 იხამთ, თუ წახვალთ აქედან.

მოცარტი — სალიერის ორმოცდაათი  
 მოწაფე მყავს, მე კი — მხოლოდ ხამი.  
 ერთი მიბრძანეთ, როგორ ვიცხოვრო?  
 თანაც... ცოლი შევირთე! ვიცი, ვიცი, ამ  
 მაღალ წრეებში, ამ მეცხრე ცაზე ფულ-  
 ზე ლაპარაკი სირცხვილია! მაგრამ მაინც  
 მინდა იცოდეთ, თუ ჭერ არ გავგიგათ:  
 ზურგს უკან ამ ჩვენს უდიდებულესო-

ბას წუწურაქ კაიზერს ეძახიან? (თავშე-  
კავებულად ხარხარებს).

შ ტ რ ე კ ი — (აღშფოთებულა). მო-  
ცარტ!

მ ო ც ა რ ტ ი — (ხარხარს შეწყვეტს)  
არ უნდა მეთქვა? მაპატიეთ, თუ ღმერ-  
თი გწამთ, ვიხუმრე, ვიხუმრე! თავი ვერ  
შევიკავე; რა, ხუმრობა აღარ შეიძლე-  
ბა? ჩვენ ხომ მეგობრები ვართ? (რო-  
ზენბერგი და შტრეკი გულისწყრომით  
უხურობენ. მერე შ ტ რ ე კ ი გადის)  
ხალ წავიდა? რა დაემართა?

რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ ი — მშვიდობის ღამენ  
გისურვებთ. (წასვლას აპირებს)

მ ო ც ა რ ტ ი — არა, არა, არა! თუ  
შეიძლება... (როზენბერგს სახელოში  
წვდა) ჭერ ხელი გამომიწოდეთ. (რო-  
ზენბერგს არ უნდა, მაგრამ მაინც გაუ-  
წვდის ხელს. ხელზე კოცნის. დამკირე-  
ბული) ჩემო ბატონო, მომეცით რაიმე  
თანამდებობა.

რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ ი — ეგ ჩემს უფლე-  
ბებს აღემატება, მოცარტ.

მ ო ც ა რ ტ ი — პრინცესა ელისაბედი  
მუხისკის მასწავლებელს ეძებს. თქვენი  
ერთი სიტყვაც საქმარისია და აღგიღს  
მომცემენ.

რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ ი — ძალიან ვწუხვარ,  
მაგრამ ეს კარის კომპოზიტორ სალიერის  
საქმეა. (ხელს გაინთავისუფლებს)

მ ო ც ა რ ტ ი — იცით თუ არა თქვენ,  
რომ ვენაში ჩემნაირი კომპოზიტორი  
სხვა არავინ არის. იცით ეს, თუ არა?  
(რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ ი გადის. მიაყოლებს)

საზიზღარი იტალიელები! არ ამომიყვა-  
ნებს ყელში?! დამპლები, საზიზღრები!  
(უცებ ბავშვივით ჩაბჟირდება.) საზიზღ-  
რები, დამპლები, უნიჭოები, სლიკინები,  
მცოცავეები, ქვეწარმავლები, იტალიელები!  
ასკინკლით გარბის კულისებში).

ს ა ლ ი ე რ ი — (მაყურებელს). ერთი  
ფეც არ გახულა და სამაგიეროს გადახ-  
დის შემთხვევა მომეცა.

10. ბარონესა ვალდშტატენის  
მიზლოთეკა



სცენა გაჩახახდება. ერთდროულად  
ისმის ორი მამაკაცის მხიარული შეხვედ-  
ხილი. ძვირფასი შალერისა და ფარღე-  
ბის ფონზე საში ნიღბიანი ღვას: კ ო ნ-  
ს ტ ა ნ ც ი ა და ო რ ი თ ა ვ ქ ა რ ი-  
ა ნ ი. ისინი მეჯლისზე, წვეულებაში არი-  
ან და ფანტს თამაშობენ. ო რ ადგილზე  
გაშეშებულ მ ს ა ხ უ რ ს ისევე ის შა-  
ლაღურგოანი სავარძელი უჭირავს. მე-  
ო რ ე ო რ ს კ ი — ტკბილუღლიანი  
მაგიდა.

პ ი რ ვ ე ლ ი — წააგეთ, წააგეთ! თქვენ-  
გან ფანტი გვერგება!

მ ე ო რ ე — ფანტი, ფანტი, სტანცერლი  
ჭარიმა უნდა გადაიხადოთ!

კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი ა — არავითარ შემთხ-  
ვევაში!

პ ი რ ვ ე ლ ი — მოგიწევთ, მოგიწევთ!

მ ე ო რ ე — ასეთია თამაშის კანონი და  
რას იზამთ?! (მსახურები ავეჯს საჭირო  
ადგილას დადგამენ. სალიერი სავარძელ-  
ში ჩაჯდება).

ს ა ლ ი ე რ ი — (მაყურებელს) გინდ დაი-  
ჭვრეთ და გინდ — არა: მე ისევე იმ  
ღრმა სავარძელში აღმოვჩნდი! (მაგიდი-  
დან აიღებს პატარა ჭიქას) და ისევე შეუ-  
ღარებელი ნუგბარით ვიტკბარუნებდი  
პირს.

პ ი რ ვ ე ლ ი — რახან წააგეთ, ჭარიმაც  
უნდა გადაიხადოთ!

ს ა ლ ი ე რ ი — (მაყურებელს) ახალი  
წლის დღესასწაული იღვა. მარტო ვიყა-  
ვი, ჩემი უძვირფასესი მეუღლე იტალი-  
ას მშობლებთან გაემგზავრა.

კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი ა — კარგი, რახან არ  
იშლით... მაინც, მაინც რა გენბავთ?

პ ი რ ვ ე ლ ი — (ფორტეპიანოს სახუ-  
რავიდან ძველებურ მრგვალ სახაზავს აი-  
ღებს) ჩვენ გვენბავს... ჩვენ გვენბავს ფე-  
ნები გაგიწოვოთ.

კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი ა — ო-ო-ოოო!

მ ე ო რ ე — შეიძლება?

კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი ა — არავითარ შემთხ-



ვევაში რა თავები ყოფილხართ!

პირველი — დაგვთანხმდით, თუ შეიძლება!

მეორე — სტანკლერ, უნდა დაგვთანხმდე: ფანტი და სიყვარული ყველაფრის უფლებას აძლევს ადამიანებს.

კონსტანცია — არავითარ შემთხვევაშიც და ორივეს შეგიძლიათ შეაყოლოთ აქედან!

პირველი — ნებას თუ არ დაგვრთავ, არავინ არასოდეს აღარ გეთამაშება.

კონსტანცია — მაშინ, სხვა რამ მოიფიქრეთ.

პირველი — არა! მე ეს ვირჩიე! მოდი, ამ მაგილაზე შედექი. ჩქარა, ჩქარა! აღდეგ-მოკი (მხიარულად ჩამოდგამს მაგიდიდან ტკბილეულიან თევზებს).

კონსტანცია — რახან არ იშლით... დაურჩაერთ, მანამ ვინმე შემოსულა (ნიღბები აბყვივლებულ ქალს მაგიდაზე შეაყენებენ).

პირველი — მაგრად იტვიროს, ფრიდრიხ.

კონსტანცია — დაჭერა რად მინდა, ისედაც კარგად ვდგავარ!

მეორე — დაჭერა აუცილებელია, დასჯაში შედის. (კოკებს დაუჭერს. პირველი კაბის ქვეშ სახაზავს შეუტყურებს. აღღრვებული სალიერი მუხლებზე შედგება სავარძელში და ხარბად უთვალთვალავს. კონსტანცია ხალისიანად იციინის, შემდეგ კი ბრაზობს თუ ვითომ ბრაზობს)

კონსტანცია — გეყოფათ! გეყოფათ! მორჩით, ახლავე! (დაიხრება, უნდა პირველს სილა უთავაზოს).

პირველი — ფეხის ზურგიდან მუხლამდე ჩვილმეტი დიუმიშია!

მეორე — აბა, შევამოწმო! ახლა შენ გეპიროს.

კონსტანცია — ეს უსამართლობაა! მეორე — არაფერიც, ჩემთანაც ხომ წააგე!

კონსტანცია — ვალი გადახდილია... ახლავე ჩამომსვით მაგიდიდან.

მეორე — მაგრა გეპიროს, კარო! კონსტანცია — როგორ მიმედავო! (პირველს უჭირავს, მეორე თავს ეყრდნობს კაბის ქვეშ. კივის) თავი დაუწვევებულად ხელი არ მახლოთ! გაეთრიეთ! (ამ მაინცადამაინც არასახარბიელო სცენის დროს შემობრბის ნიღბიანი მოცარტი)

მოცარტი — (აღშფოთებული) კონსტანცია! (ქალი გაშეშდა. სალიერი სულ ჩაიმალა თავის საფარში) პატონებო, როგორ გეკადრებათ!

კონსტანცია — ეს ხომ მხოლოდ თამაშია, ვოლფერდი!

პირველი — პატონსან სიტყვას გაძღვეთ, ცუდი არაფერი გვიქნია.

მოცარტი — (დაძაბულად) თუ შეიძლება, ჩამოდი მაგიდიდან! (თავქარიანებს ჩამოყავთ ქალი) გზადლობთ. მოგვიანებით ისევ შევეხვედებით ერთმანეთს. მეორე — მოცარტ, მისმინე. ასე ნუ გაყოყნობ! (მოცარტი — მარტო დაგვტოვეთ, თუ შეიძლება! თავქარიანები გადიან. მოცარტი განრისხებულია, ნიღბს მოიგლეჯს, კონსტანციას შენ გესმის, რა ჩაიღინე?)

კონსტანცია — არა, არ მესმის... (ღაბნეული მაგიდის დალაგებას ცდილობს).

მოცარტი — სახელი გაიტყებ. აი, რა ჰქენი! გასაგებია? ესლა შენ ბოზი ხარ!

კონსტანცია — ნუ სულელობ! (ნიღბი ჩამოიხსნა)

მოცარტი — შენ ხომ გათხოვილი ქალი ხარ?! ოჰ, ღმერთო ჩემო!

კონსტანცია — მერე რა?

მოცარტი — ახალგაზრდა ქმრიანი ქალი პირველივე გამგელეს ნებას რთავს ფეხებში ჩაუგორდეს. თვითონ ვერ გაიწოვებ ეგ მახინჯი ფეხები?

კონსტანცია — რაო? მართალი ხარ, აღიოზან ფეხებთან ჩემი რა შესადარებელია! მთელმა ქვეყანამ იცის, რა ლამაზი ფეხებიცა აქვს!

მოცარტი — (ხმაშლილა) ნამდვილად ვერ ხედები, რაც ჩაიღინე? უპირველეს ყოვლისა, შენ მე შემარცხვინე! თავი მომპირი!

კონსტანცია — ნუ იგონებ, თუ შეიძლება!

მოცარტი — შემარცხვინე და მერე ვისთან!

კონსტანცია — (რისხვით) თავი მოვჭერი შევარცხვინე! სასაცილოა! თუ ვინმეა აქ შერცხვენილი, ეს მე ვარ, ჩემო კარგო, მე!

მოცარტი — ამას რატომ ბრძანებთ?

კონსტანცია — არ იცის ვაჟბატონმა? შენ ხომ ცდილობ, არ ეცი, რა გამოგდის, მაგრამ ცდილობ ყველა მოწაფე შეადინოს ყველა უკლებლივ!

მოცარტი — ტყუილია!

კონსტანცია — ყველა, უკლებლივ!

მოცარტი — ერთი მაინც დამისახელი! დამისახელი!

კონსტანცია — არნამაჟერის ქალიშვილი რუმბეის გოგოც! კატარინა კავალიერი. ეგ მელია, ეგ გაიძვერა ქუჩის ქალი! შენი რომ არ გეყო, ეხლა სალიერის მოწაფეებსაც გადასწვდი. სალიერის ასი მოწაფე შეყავს! ეყოლება კიდევ, რადგან შენსავით ღოგინში არ ეპატიეება.

მოცარტი — არც დამპატიებებს! იმპოტენტია და იმიტომ! ქალი რაში სჭირდება! მათს მუსიკა მოგისმენია? მუსიკაც იმპოტენტურია! მადლობა ღმერთს, ეგ არ შეღობს.

კონსტანცია — რომ გიყურებ, გუჟღერებ!

მოცარტი — (ყვირის) იმპოტენტობას ვერაფერ დამბარალებს!

კონსტანცია — (ქვითინებს) ჩემთვის სულერთია მეზინლები ვიდრე ცოცხალი ვარ, მეძულები ყოველთვის ყოველთვის! ყოველთვის! (მცირე პაუზა. ტირის)

მოცარტი — (უმწიოდ) ნუ ტირი,

ნუ ტირი, რა, სტანცერლი ნუ ტირი, განაცალე! ხომ იცი შენ ტრემოს ვერ ვიტან! მე ხომ... არ მინდა ვინმეს ქუჩის ქალი ეგონო. (სახაზავს დასტაცავს ხელს) აი, აიღე! დამარტყე! მცემე! ხომ შენი მონა ვარ. სტანცი-მარინი-სტანცი-მარინი ბინი ჭინი ... ცხვარავით ვიდგები და, თუ ნებას მომცემ, როგვებ და ვითვლი. აჰა, გამომართვი, დამარტყე... ბატტი!

კონსტანცია — მომშორდი.

მოცარტი — ბატტი, ბატტი, მხო ტმ-ზორო! (დამცხე, დამცხე, ჩემო საუნჯევს).

კონსტანცია — არა!

მოცარტი — სტანცერლი — ვანცერლი, ჩემო გოჭუნია-პუ! ჩემო შეუღარბელა საფრთხობელა!

კონსტანცია — მომეშვი!

მოცარტი — სტანციმ ისე იცინა, ისარხარა ერთხელა,

რომ იქვე დამართა უბედური

შემთხვევა! ფშ-ფშ-ფშ-ფშ! პი-პი! პი-პი! (კონსტანციას ცრემლში სიცილი შეერევა)

კონსტანცია — თავი დამანებე! გაჩუმდი!

მოცარტი — თუ კი ნაგმა გაუშვა წყალი გრიალ-გრიალით, ვირგლა ქმარს დაუძახეთ, მოჩაქჩაქდეს ტილი.

მაშინ ნახეთ ვინც არის, კაცი ღმერთს არ უქნია:

ღონღლო, შეუხედავი და ყველაზე თხუპნია!

კონსტანცია — გაჩუმდი-მეთოქო, ღმერთო ჩემო! (დასტაცებს ხელს სახაზავს და ურტყამს)

მოცარტი — (ვითომ სტკივა, ღრიალებს) ო-ოოო! ო-ოოო! კიდევ კიდევ ერთხელ! და დავემსობი თქვენს უღირს ფებებთან, მაღონა! (ფებებში ჩაუვარდება. ქალი ურტყამს სახაზავს, მაგრამ ძალას აღარ ატანს; თვალებში ვერ უხუტებს, რადგანაც ჭერ არ გადაუწყვე-

ტია, იციან თუ იტროს. მოცარტი სია-  
მოცნებისაგან ფეხებს აბაკუნებს) ვაი!  
ვაი ვაი!

სალიერი — (აღარ შეუძლია ამის  
ატანა და აღმოხდება). ა-ააა! უფ-ფფფ!  
ო-ოოო! (ახალგაზრდები გაშრნენ. სა-  
ლიერი, თითქოს ესლა გაედვიძაო, ზიზ-  
ღინ მოძალეზას მთქნარებითა და ზმო-  
რებით ძალაეს. ახლადგამოღვიძებული-  
ვით უყურებს მათ სავარძლიდან) საღა-  
მო მშვიდობისა!

კონსტანცია — (ღარცხვენით).  
თქვენო აღმატებულებებო...

მოცარტი — დიდი ხანია ბიბლიო-  
თეკაში ბრძანდებით?

სალიერი — ეს წუთია თქვენმა ხმა-  
ურმა გამომადვიდა, ჩნუბობთ?

მოცარტი — არა.

კონსტანცია — დიახ, ეჩნუბობთ.  
ვოლფგანგმა ძალიან გამაბრაზა.

სალიერი — (დგება) კარო (ქვირფა-  
სო) ზერ, ახალი წლის წინა დღეა, ყოვე-  
ლფე სიახლის დაწყების დღე. მშენიე-  
რი ქალების გაჯაგრება, არა მგონია, ამ  
დღეს შეეფერებოდეს. ძალიან რომ  
გთხოვოთ, შარბათს ხომ არ მოვეტან-  
დით?

მოცარტი — ეგებ ხამივე გავიდეთ  
სახალლო ოთახში?

კონსტანცია — არა, ზერ სალიერი  
მართალია. ეს შენი სასჯელი იქნება. ახ-  
ლავე მოგვიტანე შარბათი!

მოცარტი — სტანცი!

სალიერი — უნდა წახვიდეთ... წა-  
დით... მე კი თქვენს მეუღლესთან დავრ-  
ჩები. ანისულის შარბათი ცოლთან შე-  
რიგების უებარი წამალია.

კონსტანცია — მე მანდარინისა  
მირჩევნია.

სალიერი — კი, ბატონო, იყოს მან-  
დარინისა. (ნერწყვიტრული) მაგრამ თუ  
როგორმე მოახერხებთ და ჩემთვის ერთ  
ანისულისას წამოიღებთ, ძალიან დამევა-  
ლებთ. ეგებ, ჩვენთვის, ყველასათვის ეს  
ახალი წელი რაიმე გამაგრებელით

დაიწყოს. (პაუზა. მოცარტი ფეხს ით-  
რებს, მერე თავს დაუტრავს).

მოცარტი — ახლავე, სენიორ, სია-  
მოცნებით. მერე კი ბილიონ...  
შოთ.

სალიერი — სამწუხაროდ, არ ვთა-  
მაშობ.

მოცარტი — (გაკვირებული) არა?

კონსტანცია — ვოლფგანგს ბილი-  
არდი ყველაფერს ურჩევნია. კარგადაც  
თამაშობს.

მოცარტი — დიახ, მთელ მსოფლი-  
ოში პირველი მოთამაშე გახლავართ!  
კომპოზიტორობისას ხშირად წამიყვი-  
ნთავს, ბილიარდის თამაშის დროს კი —  
არასოდეს!

სალიერი — მოცარტი — კიის ვი-  
რტუოზი!

მოცარტი — ზუსტად ბრძანეთ! ბი-  
ლიარდი ვირტუოზული თამაშია. (სახა-  
ზავს აიღებს და ბილიარდის ჭოხვიტ  
იქერს.) იცით, ოდესღაც აუცილებლად  
დავწერ უდიდეს ფანტაზიას ბილიარდის  
ზურთებისათვის: ტრიელები აჩიაკატუ-  
რეს! (17-18 საუკუნის საორღანო და  
საკლავირო მუსიკის მელოდიური ჩუ-  
ქურთმია) აქ იქნება სპილოს ძვლის არ-  
პეჯიოები! ბოლოს თვითონ დაფუტრავ  
მსმენელისათვის! სხვა გზა არც არის,  
რადგან კლიმენტისნაირ იტალიელ შარ-  
ლატანთან, არც ერთმა არ იცის, კიი  
როგორ დაიკავოს ხელში. სკუზატე, სი-  
ნიორს! (ხელს აბსურდულად აამოძრა-  
ებს და მედიდურად გადის).

კონსტანცია — რა საყვარელია!

სალიერი — და ბედის ნებეირიც,  
რადგანაც თქვენნაირი საუნჯე ჰყავს. ნე-  
ბა მომეცით, გამოგიტყდეთ: თქვენ არა-  
ჩვეულებრივი ქალი ხართ.

კონსტანცია — მე? ძალიან მასია-  
მოცნეთ...

სალიერი — მაგრამ თქვენს მეუღ-  
ლეს, მგონი, მანცლამინც, კარგად არ  
მიუღის საქმე.

კონსტანცია — (შემთხვევა მიეცა)

უფრო მეტიც, სასოწარკვეთილია და ეგ არის.

სალიერი — რატომ? რატომ?

კონსტანცია — უფულოდა ვართ... და გროშის შოვნის იმედიც არა გვაქვს.

სალიერი — კი, მაგრამ საკონცერტო შემოსავალი?

კონსტანცია — არ გვეოფნის. მდიდარი, გავლენიანი მოწაფეებია საპირო. მამამისი მფლანგველებს, ბედოვლათებს, უყარათოებს გვეძახის, მაგრამ ეს საყვედური განა სამართლიანია? მეურნეობას სხვებზე ცუდად როდი ვუძღვები, მაგრამ რა მაქვს სამეურნეო? არაფერი. ძალიან გთხოვთ, ნურავის ეტყვიოთ, რაც შემოგჩივლით.

სალიერი — (ინტიმურად) რა თქმა უნდა! რით შემიძლია დაგეხმაროთ?

კონსტანცია — ჩემო ბატონო, მოცარტს აუცილებლად უნდა გააჩნდეს საარტებო სახსარი მაინც. ნებისმიერი თანამდებობა რომ ეშოვა, ყველაფერი მოწყობრივად გეხმარებოდა. სახსლის კარზე რაიმე ადგილი ზომ არ არის?

სალიერი — დღესდღეობით — არა.

კონსტანცია — (დაკინებით) პრინცესა ელისაბედი მუსიკის მასწავლებელს ეძებსო?

სალიერი — მართლა? პირველად მესმის.

კონსტანცია — თქვენი ერთი სიტყვაც საკმარისია, რომ მოცარტს ეგ ადგილი შესთავაზონ. მაშინ მოწაფეებიც მიეძალეებიან.

სალიერი — (განზე იხედება) მოდის.

კონსტანცია — ძალიან გთხოვთ... თქვენო აღმატებულებავ, გივედრებით! ვერც კი წარმოიდგენთ, რა სიკეთეს გეწევთ.

სალიერი — აჰ, ახლა ამაზე ღაპარაკი შეუძლებელია.

კონსტანცია — გივედრებით... მაშ, სად? როდის? გთხოვთ...

სალიერი — ეგებ ჩემთან შემოიაროთ... ხვალ...

კონსტანცია — არ შემიძლია.

სალიერი — კარგი ერთი... მე ხომ ცოლიანი ვარ...

კონსტანცია — მითუმეტეს სალიერი — როდის მუშაობს?

კონსტანცია — დღის მეორე ნახევარში.

სალიერი — ხამ ხაათზე გელით.

კონსტანცია — ვერა, ვერ შევძლებ!

სალიერი — ჰო თუ არა? ამას ზომ მისთვის, მისი გულისთვის აკეთებთ? (პაუზა. ქალი შეეყოყმანდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, პირი დააღო კიდეც, მაგრამ გაიღიმა და უცებ გაიქცა. მასურბელს) როგორც იქნა, გავბედი! ხამაღლა ვთქვი სათქმელი! წინადადებაც მივეცი, მაგრამ სად გაქრა ღვთისადმი მიცემული აღთქმა? ან ერთგულება? ან მოწყალება? ან სხვა ამისთანები? რა გაიფიქრა ჩემზე, ესოდენ მიუკარებელ იტალიელზე? ვინა ვგონივარ? გულწრფელი მეგობარი თუ იმედით აღსავსე მაცდუნებელი? მოვა კია? ეს არც მე, არც არავინ იცოდა!

11. სალიერის სალონი.

ფარდაზე ისევ ფანჯრების გრძელი ჩრდილი წევს.

სალიერი — და თუ მოვა, როგორ მოვიქცე? არც ეს ვიცი... მეორე დღეს დილიდანვე ველოდი... თითქოს სიზმარში ვიყავი... თითქოს მამოდებდა... ნუ-თუ, მართლა ორი თვის წავარდნერილის შეცდენა მინდა? სურვილი მწვავედა, მღრღნიდა დიას, მღრღნიდა, სხვა-ნაირად ვერც გამომიტყავს. (საათი სამჯერ რეკს. პირველი ღარტყმისთანავე გაისმის შემოსასვლელი კარის ზარის ხმა. წამოხტება, ადგლებით) ის არის! ზუსტად სამი საათია მოვიდა! მოვიდა! (მარჯნიდან შემოდის მზარეული, ისეთივე მსუქანი, როგორც წინა სცენებში, მაგრამ ორმოცი წლით ახალგაზრდა. მას სიამაყით მოაქვს შაქრიანი წაბლი კონიაკში. სალიერი ღანგარს გა-



მობრთმევს, მოწონების ნიშნად თავს დაუქრავს და მაგიდაზე დადებს). გრაციე, გრაციე ტანტო... გმადლობთ... ვია, ვია, ვია! აბა, ჩქარა, ჩქარა, გასწი აქედან! გასწი-მეთქი, რომ გეუბნები (ირონიულ ღიმილს არც მალავს, ისე გადის მზარეულთა მარცხნიდან შემოდის ლაქია, ისიც ორმოცი წლით გაახალგაზრდადებული, მას მოპყვება კონსტანცია, ლამაზი ქული დაუხურავს, მუყაოს ყდაში ჩადებული ნოტები უჭირავს) ხენიორა!

კონსტანცია — (რევერანსით) თქვენა აღმატებულებავ!

სალიერი — ზენვენუტა! (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება (ლაქიას ანიშნებს გადიო) გრაციე. (ლაქია გადის) ესე იგი, მოხვედით...

კონსტანცია — არ უნდა მოვსულიყავი... ჩემი ქმარი ნამდვილად გაგიუდებდა, რომ გაიგოს, ისეთი ექვიანია.

სალიერი — თქვენ? თქვენ არა ხართ ექვიანი?

კონსტანცია — რატომ შეკითხვით?

სალიერი — იმიტომ, რომ ეს ვნება ჩემთვის მიუღწეველია. დღეს უფრო მშვენიერი ხართ, ვიდრე — გუშინ საღამოს.

კონსტანცია — გმადლობთ. თქვენი შექება მახარებს... აი, ვოლფგანგის რამდენიმე ნაწარმოები მოვიტანე. როცა გადათვალიერებთ, დარწმუნდებით, რომ ხელმწიფის კარის სამსახურის ღირსია. ეგებ ნახოთ... მე მოვიცდი.

სალიერი — ახლავე?

კონსტანცია — დიან. ვერ დაგიტოვებთ. ხელად მიხვდება. ეს ორიგინალია... ვოლფგერდი ასლებს არ იწერს! სალიერი — ჩამოაჭეით. ნება მომეცით, განსაკუთრებული რამ შემოგთავაზოთ.

კონსტანცია — (დაჯდა) რა არის ასეთი?

სალიერი — (ლანგარს მიაწოდებს)

„კავებოლი დი ვენერე“. ვენერას ძუძუს-თავები ანუ რომაული დაშაქრული წაბლი კონიაკში.

კონსტანცია — ომ, <sup>ქვეყნული</sup> ~~არს...~~ ლობთ, არ მინდა.

სალიერი — გასინჯეთ. გთხოვთ. ჩემმა მზარეულმა საგანგებოდ გაგიკეთათ.

კონსტანცია — მე?

სალიერი — დიან, თქვენ. ახლა ამას ვინდა აკეთებს, ძალიან იშვიათი ნუგბარია.

კონსტანცია — მაშინ, ალბათ, უნდა გასინჯოს კაცმა. ოღონდ ერთი ცალი. დიდად გმადლობთ. (კონფეტს პირში ჩაიდებს და გაოცდება, ისეთი გემრიელია) ო, ო-ოო! ო-ოოო! ეს რა ყოფილა! გადასარევი!

სალიერი — (აებორცვლად შესტკერის) მაშ, რა გეგონათ!

კონსტანცია — მ-მმმ!

სალიერი — კიდევ ერთს ხომ არ ინებებთ?

კონსტანცია — (ორს იღებს) არა, გმადლობთ, საკმარისია! (სალიერი ზურგიდან მიეპარება და გვერდით მიუჭდება).

სალიერი — ასე მგონია, თქვენ ყველაზე გულმომწყალებ ადამიანი ხართ ქვეყანაზე.

კონსტანცია — გულმომწყალებ?

სალიერი — ეს სიტყვა საგანგებოდ თქვენთვის მოვიგონე. გუშინვე გადავწყვიტე, რომ კონსტანცია — ფრიად თავმდაბლური სახელია. და მაშინვე მომინდა სხვა სახელი დამენათლა თქვენთვის. ლა ჭენეროზა. გულმომწყალებ. რომანსი უნდა მოგიძღვნათ და ასე დავარქვა — „გულმომწყალებ“. და ძალიან გთხოვთ, მხოლოდ ჩემთვის იმღეროთ ხოლმე.

კონსტანცია — (ღიმილით) რახანია, აღარ ვმღერი.

სალიერი — ლა ჭენეროზა. (ქალისკენ იხრება) ხომ არ შევმცდარვარ, ეს სახელი რომ შეგიჩიეთ?

კონსტანცია — თქვენს მეუღლეს რაღა შეარქვით, თქვენო აღმატებულე-ბავ?

სალიერი — (ცივად) თქვენო აღმა-ტებულეობას ნუ შეძახით. რა აღმატებუ-ლება ვარ თქვენთვის? ჩემს ცოლს სი-ნიორა სალიერის ვეძახი. თუმცა, ლა სტატუა უფრო შეეფერება, ისე წელგა-მართულა.

კონსტანცია — ხალ არის? ძალი-ან მინდა გავცნო.

სალიერი — სამწუხაროდ, არ გახ-ლავთ. ვერონაში გაემგზავრა ღედანთან. (კონსტანციას წამოღგომა უნდა. შეაჩე-რებს) ყური მიგდეთ, კონსტანცია. ხელ საღამოს იმპერატორთან უნდა ვივანშ-მო. ერთი სიტყვა და თქვენი ქმარი პრინ-ციხა ელისაბედის მასწავლებელი გახდე-ბა. დამიჯერეთ, მის უდიდებულესობას სამუსიკო საქმეზე რაიმეს თუ ვურჩევ, წინააღმდეგობას ვერაფერს გაბედავს.

კონსტანცია — მჯერა... მჯერა თქვენი...

სალიერი — ბენე (თავაზიანად გაუწ-მინდს ტუჩებს თავისი ხელსახოცი) ასე-თი ხამსახური რამენაირად ხომ უნდა ამინაწაღურდეს?

კონსტანცია — მინც როგორ? (მცირე პაუზა).

სალიერი — თუნდაც კოცნით.. (მცი-რე პაუზა).

კონსტანცია — ერთი კოცნით? (მცირე პაუზა).

სალიერი — თუ გგონიათ, რომ ერ-თი იკმარებს... (ქალი თვალბეში უყუ-რებს, მერე ხანმოკლედ კოცნის ტუჩებ-ში. უფრო დიდი პაუზა) მხოლოდ ერთი? (ქალი ისევ კოცნის, ამჯერად, უფრო ხანგრძლივად. კაცს სურს მოეხვიოს. ქა-ლი ნებას არ აძლევს, განერიდება)

კონსტანცია — საკმარისია.. (პაუ-ზა).

სალიერი — (შემბარავად)... ეს უმცი-რები საზღაურია იმ პოსტისათვის, რო-მელსაც მოხვოვთ. გაითვალისწინეთ, მაგ

ადგილს ვენის ყველა მუსიკოსი უმიზ-ნებს.

კონსტანცია — რისი თქმა გსურთ? სალიერი — რაიმე გაუგებრებდას? გახსენეთ?

კონსტანცია — დიახ! ვერაფერი გავიგე.

სალიერი — სამწუხაროა... ძალიან, ძალიან სამწუხაროა... ათახგზის ვწუხვარ... (პაუზა).

კონსტანცია — არა, სიტყვები კი მესმის, მაგრამ არ მჯერა. რა ვქნა, ამას ვერ დავიჭერჭბ!

სალიერი — მინც რას?

კონსტანცია — რაც ესლა მითხა-რით..

სალიერი — (სასწრაფოდ) რა ფითხა-რით? არაუფრიც არ შითქვამს! (კონსტან-ცია ადგება. სალიერიც დგება, პანიკა-შია).

კონსტანცია — არა, უნდა წავი-დე! რამ მომიყვანა თქვენთან არ შეიძ-ლება რაიმე საქმე ჰქონდეს ადამიანს!

სალიერი — კონსტანცია..

კონსტანცია — თუ შეიძლება, გა-მატარეთ.

სალიერი — ყური მიგდეთ, კონ-სტანცია! მე ერთი უშნო კაცი ვარ, ყვე-ლას გაწაფული, დახელოვნებული, დახ-ვეწილი და ოსტატი ვგონივარ, მაგრამ ასე არ არის. ერთი კარგად დამაკვირ-დით: უბრალო, უემშაკო ადამიანი გახ-ლავართ. ვითომ კომპოზიტორი, რომე-ლიც ტყუილ-უბრალოდ ხარჭავს მეღანს და ძალიან უყვარს ტკბილეული. თქვენ, ქალებს, არც კი გამჩნევთ. მაგრამ გუ-შინ რომ დავინახეთ, სულის სიღრმემდე შემეშურდა მოცარტისა. შურმა სხვა სუ-ლეღური ფიქრებიც ამიშალა. უცებ გავ-ბედე და წარმოვიდგინე, რომ... თქვენ შეგიძლიათ გადმოგიღოთ ერთი შავი უზალთუნი იმ საარაკო განძიდან, რომე-ლიც გაგაჩნიათ და რომელიც ასევე სა-არაკოდ მდიდარ თქვენს ქმარს არც გა-აღარიბებს და ...არცა სჭირდება!! ამა-

ნაც გამათამაშმა. (პაუზა. ქალ იცინის)  
ნანაცინლო რა ვთქვი?

კონსტანცია — მოცარტი მართალი ყოფილა. თქვენ უზნეო კაცი ხართ. ხალიერი — ეს მოცარტმა გითხრათ?

კონსტანცია — დიახ. ისიც მითხრა, ყველა იტალიელი კომედიანტიაო. „ამან განსაკუთრებით უფრთხილდიო“, — თქვენზე მეუბნებოდა, ხუმრობით, რა თქმა უნდა.

ხალიერი — ალბათ... ალბათ... (მკვეთრად შეაქცევს ზურგს)

კონსტანცია — მაგრამ თქვენ კონიუხის არა ხართ. ცხოვრებაში თქვენ ფრიალ თვალსაჩინო როლს თამაშობთ. ხომ ასეა, ჩემო კარგო? პროვინციელი კი ხართ, მაგრამ ბუზივით მოუხელთებელი და ეშმაკი ბრძანდებით. (სინაზით, მაგრამ ირონიით) ო-ოო! უკვე გამინაწყენდიო? ნუთუ? მოცარტი რომ მიბრახდებოდა, ტაქუნებზე ვურტყამ ხოლმე. მოსწონს, იცით? ეგებ, თქვენც უნდა დატუქსოთ და საჭლოში ავიწითლოთ... ძალიან კი არა — მსუბუქად. (ნოტებიან მუყაოს ყდას ამოჰყარავს).

ხალიერი — (ცოფმორეული მიუბრუნდება) როგორ მიბედავ? ნავაო! სულელიო გამბიო! (ავისმომასწავებელი სიჩუმე. ცივად) მაპატიეთ. თქვენი ქმრის საქმეებზე ვლაპარაკობდით. უეჭველია, ბრწყინვალე მუსიკოსია, მაგრამ პრინცესა ელისაბედს პიანისტი კი არა, სიმღერის მასწავლებელი სჭირდება. არა მგონია, მოცარტი გამოადგეს. აი, ვნახავ მაგის თხზულებებს და გამოჩნდება, რა ოსტატიც არის. ამალამვე გადავხედავ. თქვენ კი ჩემს წინადადებაზე იფიქრეთ. ეჭვი რომ არაფერში შეგეპაროთ, პირში გიტყვით: ასეთია ჩემი პირობა. (ნოტებს გამართმევს) კარგად ბრძანდებოდეთ. (შეშობრუნდება, ნოტებს მაგიდაზე დადებს. კონსტანცია არ ჩქარობს, რაღაც უნდა თქვას, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობს და სწრაფი ნაბიჯით გადის).

ხალიერი მაყურებელს მიუბრუნდება. ძალიან აღელვებულია.

ხალიერი — (მაყურებელს) ჩვეულებადი! ეს ხომ ფიასკო! საზიზღრობა! ცაყმა რულმა დამახსნა! როგორ დავმდაბლდი! ყოველივე ამის გაფიქრება უარესია, ვიდრე — აღსრულება. ასეთი ცოლვა ჩაიღინო და თანაც გრძნობდე, რომ ხასაცინლო და ხაცოდავი ხარ?! ჩემს საქციელს გამართლება ვერ ვუპოვე. ამის შემდეგ, ღმერთი ჩემს მუსიკას თუ უარყოფს, დამწავვე მხოლოდ მე ვაქენებ; მხოლოდ მე, მეტი — არავინ. ნეტავ, რას იზამს? ხვალ მოვა? არა, არასოდეს აღარ მოვა. მაინც რომ მოვიდეს? რას ვიზამ? რას მოვიმოქმედებ? თავს დავიმცირებ და პატიებას ვთხოვ, თუ... ცდას გავაგრძელებ? (ამოიყვირებს) და ამას მე ჩავიდე? მე? ნობილე, ნობილე ხალიერი! კეთილშობილი ხალიერი! ეს რა დღეში ჩამაგდო მოცარტმა?! ასეთი ხომ არ ვიყავი? მე და აღულტერი? ქალების შემანტაუე? მე და სისახტიყე? რა დამემართა? როგორ ჩავიძირე ამ სისაზიზღრეში! როგორ დავაღიო! მერედავის გამო? რატომ? ყველაფერი იმის ბრალია! (სცენის სიღრმეში გავარდება; იმ მაგიდას რომ ჩაურბენს, სადაც ნოტები აწყვია, შეჩერდება. ხელს გაიწყდის მუყაოს ყდისკენ. მაგრამ შიშით, რომ შიგ გენიალური თხზულებანია, ნოტებს ხელს ვერ ახლებს და დაჭდება. პაუზა. ნოტებს დაყურებს დასჯილი მშვიდრით, გემრიელი საქმელი ცხვირწინ რომ უდგას, მაგრამ ვერ ბედავს ხელი ახლოს. მერე აიტაცებს, კი არ გახსნის, ააგლეჯს ბაბთებს და გადაშლის. ხარბად აკვირდება ხელნაწერს. ჩუმად აყდერდება მუსიკა. ოცდამეცხრე სიმფონიის დასაწყისი. ამ მუსიკის ფონზე ლაპარაკობს, თან თვალს არ აცილებს ნოტებს) კონსტანციამ თქვა, ეს ორიგინალიაო... შვი, ერთადერთი მონახაზი... რა სუფთა ნაწერია, ერთი წანაშალიც არ არის?! (მა-

უკრებელს გამოხედავს. მოსწყვეტს თუ არა თვალს ნოტებს, მუსიკა შეწყდება) უცნაური კია... მაგრამ იმწამსვე თავზარდამცემმა აღმოჩენამ სული შემიხუთა. როგორც სჩანს მოცარტი, უბრალოდ, იწერს მუსიკას. (ისევ ჩახედავს ნოტებს და ისევ ჩუმად აედრდება კონცერტი ვიოლინოსა და ალტისათვის) იწერს გონებიდან, უკვე მზამზარეულს, დახრუღებული, სრულყოფილს დამისახელებთ, კიდევ ვის მისცა ღმერთმა ასეთი ნიჭი? დამისახელებთ! (ხელნაწერს თვალს აშორებს, მუსიკა წყდება) ერთადერთ ბგერას მოაკლბ და მუსიკა გაქრება. ერთ ფრანკს გადასხვაფერებ და დიდებული შენობა თავზე დაგენგრევა. (კვლავ ნოტებს კითხულობს. ისმის ბრწყინვალე ფრანკ მდორე ნაწილიდან კონცერტისა ფლეიტისა და არფისათვის). აჰა, უველგან, ბევრგან ისმის ის ბგერები, ამ ბიბლიოთეკაში ადრეც რომ გამოგონა: ხშირი ბარმონიული რიგები! აღტაცების გამომწვევი, აგონიისდარი კაშკაშა კოლიზიები! (თვალს მოწყვეტს ნოტებს, მუსიკაც შეწყდება) ახლა თავისთავად ცხადია, რომ სერენადა შემთხვევითი წარმატება არ უოფილა! (ჯერ ჩუმად, თანდათან კი უფრო ხმაშალა გვესმის აბობოქრებული ზღვის ხმაურისმაგვარი შერგვიანავი ქუხილი.) ვუცქერდი ხელნაწერს და უცებ გულდასმითა და სუფთად გამოყვანილ ნოტებს მიღმა აბსოლუტური სრულყოფილება დავინახე!!! (ამ ქეკა-ქუხილის მსგავს აბობოქრებულ ღრინაცვლიდან, უფრო და უფრო გამოიყოფა სობრანო, რომელიც დომინორ ლიტურგიიდან (მესიდან) კირიეს ასრულებს. (კირიე-ღმერთის თემა კათოლიკურ მესებსა და საგალობლებში) ხმაური, სიმღერის მოსმენას რომ გვიშლიდა, უცებ გაქრება და მოულოდნელამდე სუფთა და ნათელი ბგერა გვესმის. ამ ხმის გამოკვეთასთან ერთდროულად სცენა ნათდება, ნათდება და ბოლოს თვალისმომჭრელად ელვარებს. სინათლისა და

მუსიკის ზეგავლენით, სალიერი წამოდგება. სობრანო უკვე მთელი ხმით მღერის; ქალთან ერთად მღერის ქორი. ეს ერთობლივი ფორტისიმო მთელი წარმოების მძლეობაძლე კულმინაციაა სპექტაკლში ამაზე ხმაშალა მუსიკა არსად არ აედრდება. თითქოს გაშმაგებულია, აბობოქრებულმა ზღვამ მოიტაცაო, ისე გავგნებული და ბარბაციო მოდის ჩვენგან სალიერი. და ბოლოს, საღაც ქვემოთ დაფდაფის ხმაც გაისმის. სალიერის ხელიდან უვარდება ნოტები, მერე გონს კარგავს... მუსიკა ფეთქდება და შემზარავი ნგრევის ექოსავით გაისმის ხანგრძლივი და დაგლეჯილი გუგუნის! ეს ხმა მუქარასავით დეკიდება სცენაზე გამოტილ ფიგურას. ეხლა ეს ხმა მუსიკა აღარ არის; მერე სულაც გაქრება. ვანთება ოდნავ დაიკლებს. ხანგრძლივი პაუზა. სალიერი უმოქრად წევს, თავი ნოტებში ჩაყარდნია. საათი ცხრაჯერ რეკს. მასტრო შეინძრევა, თავს ნელ-ნელა აწევს, ზემოთ იხედება. ჯერ ჩუმად, შემდეგ უფრო ხმაშალა მიმართავს თავის ღმერთს) კაისკო! (მესმის!) განვკვირებ ბედი ჩემი პირველად ვინილე და ვიკრძენი სიცარიელე, როგორც ადამა თავისი პირველყოფილი სიტყვლე. (ნელა წამოდგება) ალბათ, ეხლა საღაც ვენის რომელიმე დუქანში დგას უთავბოლოდ მომღიმარი ყმაწვილი, რომელსაც ხელწიფება ბილიარდის ჯოხიც კი არ მიაყუდოს კედელს და ისე, თამაშ-თამაშით დაწეროს ჩვეულებრივი ნოტები, რომლებიც გაცამბვერებენ ყველა გამოჩენილ მუსიკოსს და იმათ მუსიკასაც ქალაღზე უსიცოცხლოდ ნაჩხან არაარობად აქცივენ. გრაციე, სინიორე! თქვენ, ბევრთაგან რჩეულს, ჩამაგონეთ სურვილი თქვენივე მსახურებისა, მაგრამ ეს სურვილი თქვენვე მიქციეთ სირცხვილად! გრაციე! თქვენ, ბევრთაგან რჩეულს, ჩამაგონეთ მედიდებინა თქვენი სახელი, მაგრამ თქვენვე დამაღუმეთ! გრაციე ტა-



ნტო! თქვენ ინებეთ და ჩამაგონეთ სწრაფვა სწორუპოვრობისა და უზადლოებისკენ, რაიც ადამიანთაგან ბევრს არ ხელეწიფება! შემდეგ კი არ დაგავიწყდეთ და აზრუნეთ, ყოველთვის მეგრძნო ჩემივე არასრულფასოვნება! (ხმაში ძალა ემატება) რატომ? რისთვის შექცევით ასე? რა დავაშავე? დღემდე სიკეთისაკენ ვისწრაფოდი. ჭანციის გაცლამდე ვეხმარებოდი მოყვასთ, ხვედრს ვუმსუბუქებდი, თავდაუწოვრად ვმუშაობდი შენგან ბოძებული ნიჭის წყალობით. (უყვირის) იცი, რა მიმივა ჩემი შრომა? და ყოველთვის იმიტომ ჩავდიოდი, რომ იმ ხელოვნებაში; ჩემთვის მთელი სამყაროს რომ უტოლდება, ბოლოსდაბოლოს, შენი ხმა გამეგონა! და აი, მესმის, მესმის შენი ნანატრი ხმა! მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებს იგი, მხოლოდ ერთ სახელს — მოცარტს! ო, ეს გესლიანი, უმწიფარა, დამკინავი, თავის თავზე შეყვარებული მოცარტის მოძმეს დასასმარებლად თითს არ გაანძრევს. ო, ეს უზამსი კაცი, თავის უკანრტყმევია ცოლით! ხედავ, ვინ ამოვირჩევია შენი ნების აღსასრულებლად? ჩემი უძვირფასესი საჩუქარი და უმაღლესი უპირატესობა კი ის არის, რომ მთელ ქვეყანაზე ერთადერთმა, მხოლოდ მე, მხოლოდ მე დავინახე თვალნათლივ მოცარტში შენი სახე! (მრისხანედ) გრაციე ე გრაციე ანკორა! (პაუზა) რას იზამ! დე, ასე იყოს მაგრამ დღეიდან მტერი ხარ ჩემი! მტერი! ღმერთთან ხუმრობა არ შეიძლება! ტყუილია ხუმრობა კაცთან არ შეიძლება! ჩემთან ხუმრობა არ ვაგივია! ამბობენ, ღვთიური სული სადაც მოისურვებს, იქ ჩადგებაო. ტყუილია! შენი სული იქ უნდა იყოს, სადაც სათნოებაა! ან სულ არ უნდა აღმოცენდეს. (ყვირის)

თარგმნა თამაზ გოდერძიშვილი

დიო ინგიუსტო! (უსამართლო ხარ შენ, ღმერთო!) დღეიდან მტერი ხარ ჩემი! ახალ სახელს გარქმევ — ნემიკო! ნემიკო! საუკუნო მტერი ხარ! ვფიცავ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეგებრძოლებს შენ ჩემი სული! (მრისხანედ იცქირება ზემოთ. მერე მაყურებელს მიმართავს) მაშ, რატომ ცხოვრობს ქვეყნად ადამიანი, თავის შოკმედს თუ არ მოარტყლებს! (ზემოთ) მე შენ გასწავლი ჰკუას! სამაგიეროს გადავიხდი! (პაუზა. უცებ ისევ მოხუცის ხმით დაილაპარაკებს) ეხლა კი... (პარტეს მოიხდის, ფორტეპიანოს საწურავიდან ძველ ხალატს და შალს აიღებს, ჩაიცმევს და ისევ 1823 წელში აღმოვინდებით) ახლა კი, ვიდრე გაიშობდეთ, ღმერთმა რა მიპასუხა, მიიღო თუ არა კონსტანციამ ჩემი პირობა და რა ჯოჯოხეთი დატრიალდა ყოველივე ამის შემდეგ, ნება მიბოძეთ, შევისვენო. თქვენ რა გიჭირთ! მომავლის აჩრდილები ხართ და ისე არ გაწუხებთ შარდის ბუშტი, როგორც მე. შევცდი: თან არ უნდა წამომედო! ამ ხნისა მოვიყარე და დღე არ გავა, არ გამაწვალოს, ერთი საათი დარჩა. ამ სამოც წუთში უნდა გავუხსწორდე იმასაც და საკუთარ თავსაც. დავბრუნდები და გაიშობთ იმ ომზე, რომელიც ღმერთს გადავუხადე, როცა მისგან ხელდასმულ არსებებს, მოცარტს, სახელად ამაღეუსს, შევებრძოლე. ამ ბრძოლაში, თავისთავად ცხადია, ღვთის რჩეული გავანადგურე. (მაყურებელს თავს დაუტრავს. დაბოლმილი, ვშმაკური გამოხედვა აქვს. მაგიდიდან ნამცხვარს დაიტაცებს, სიხარბით დააცხრება, თან გადის. იატაკზე გაბნეულა პარტიტურა. დარბაზში სინათლე ინთება).

პირველი მოქმედების დასასრული.

დასასრული მომდევნო ნომერში.

მხატვარი — სოფიო სალუქვაძე

# მეორე მოქმედება



## 1. სალიერის სალონი

ჩაქრება თუ არა დარბაზში სინათლე, სალიერიც გამოჩნდება.

სალიერი — გესმით ეს ხმები? სასახლის კატები არიან, დარდს იქარვებენ, მხიარულობენ. ისე ღრიალებენ, როსინის შეშურდება. რახანია, ეგენი კომპოზიტორებს ტოლს არ უდებენ. მაგალითად, დომენიკო სკარლატის ყავდა ერთი კატა, ვაგავიუბდათ! ამბობენ, ხსენებული კატა კლავიშებზე დააბიჯებდა, ფუგიისათვის შესაფერი თემა რომ შეერჩია. მაგრამ, ჭერ ერთი, ის კატა ესხანელი იყო; მეორეც — განმანათლებელთა ეპოქისა!! კონტრაპუნქტს პატივსა სცემდაო. დღევანდელი კატები კი, თანამედროვე მაყურებლისა არ იყოს, კოლორატურებს ეთაყვანებიან. (ავანსცენაზე გამოვა. მაყურებელს) აი, დაიწყო ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი საათი. ძალიან მინდა გამიგოთ! შეწყნარებას არა გთხოვთ! საქმე, განა, შეწყნარებაა? მეც კარგი ადამიანი ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, სხვებზე უარესი არა ვყოფილვარ. მერე რა გინდა? სათნობამ ვერ შექმნა ჩემგან დიდი კომპოზიტორი... მოცარტი? მოცარტი და სათნობა? თუმცა, როგორც სჩანს, სათნობა ხელოვნების ცეცხლს არ აჩენს. (პაუზა) იმ საღამოს, მოცარტის პარტიტურები რომ წავიკითხე, ჩემმა ცხოვრებამ ავებელითი მიზანი შეიძინა: გადავწყვიტე, უფლისათვის ხელი შემეშალა თავისივე შექმნილ არსებაში გაცხადებულიყო. ამის შესაძლებლობა მქონდა, რადგან მიწაზე რომ მოგველინებოდა, ღმერთს მოცარტი სჭირდებოდა; მოცარტს კი — სალიერი, ყოველდღიური ცხოვრების სარჩო რომ მოეპოვებინა. ასე, რომ წინ სამკვდრო-სასიცო-

ცხლო ბრძოლები შედგოდა. ბრძოლის ველად მოცარტი ამოვიჩინე! (პაუზა)

თავიდანვე მივხვდი: გულითაც რომ ვინდოდეს, ღმერთზე ცბიერ მტერს ვერ იპოვნი! (ღვარძლიანად უჭკრეტს მაყურებელს. ხალათს გაიხდის, შალს მოისვრის) უზუნაესს ომი გამოუუცხადე და მაშინვე საფრთხე ვიგრძენი. რით მიპასუხებს? სითაცხედისთვის ადგილზევე დამფერფლავს თუ... ნუ დამცინით. თქვენ მდიდართა სალონების გაწაფული და მუღმივი სტუმარი გგონივართ. მე კი პროვინციელი კათოლიკე ვარ და შიშისაგან გული მისკდება. (გაპულრულ პარკს დაიხურავს და წამსვე გაახალგაზრდავდება. ებრუნდება მეთვრამეტე საუკუნეში) პირველი, ერთი საათის შემდეგ რაც დამემართა... მიუხედავად იმისა, რომ საღამოს ცხრა საათი იყო, მოულოდნელად კონსტანცია მობრუნდა. (სმის შემოსასვლელი კარის ზარი. შემოდის კონსტანცია. მას უკან გაუბედავად მოჰყვება ლაქია. გაკვირვებით) კონსტანცია!

კონსტანცია — (შებოჰილია) ჩემი ქმარი ბარონ ვარ სვიტენთან არის, სებასტიან ბახის კონცერტი უნდა მოისმინონ. ასე მითხრა, შენთვის საინტერესო არ იქნებაო.

სალიერი — რას მეუბნებით! (ლაქიას, რომელიც ოთახში შერჩა, უხეშად) რაიმე თუ დამპირდა, დავრეკავ. გამაღლობო.

კონსტანცია — (გულგრილად) რომელ ოთახში მიბრძანებთ?..

სალიერი — რა სთქვით?

კონსტანცია — რომელ ოთახში მიბრძანებთ დავწვე? ეგებ, აქვე? რატომაც არა! ეს ოთახი რით არის სხვებზე ნაკლები? (მოოკროვილ სკამზე ზის. შლიაბა არ მოუხდია, კორსეტის თასმებს მოადუნებს, მკერდს გამოაჩენს. აბრეშუმის კაბას მუხლებზეთვით აიწევს და მოლოდინით უცქერის სალიერის. ჩუმიად) მოდიო... დავიწყოთ...

დასასრული. დასაწყისი იხ. „თ. და ც.“ № 10, 1991 წ.

სალიერი — (საპასუხოდ ერთს კი წებდავს, მაგრამ წამის შემდეგ თვალს აარიდებს. მშრალად) აი, თქვენი პარტიტურაა. თუ შეიძლება, აიღეთ და მიბრძანდით. ახლავე... ამ წუთს... (პაუზა).

კონსტანცია — ნების ყოფილხარ! (წამობტება, ნოტებს აიტაცებს)

სალიერი — ვია! ვალი! გათრით! თქვენი ფეხი აღარ ვნახო ამ ხალხში!

კონსტანცია — დამძალი ნების ყოფილხარ! (უცებ ადგილს მოსწყდება, სალიერის მივარდება და გააფთრებით ცდილობს სახეში გაარტყას).

სალიერი — (ხელებს დაუჭერს, ძლიერ არყევს და იატაკზე დასცემს) ვია! ვია! (ქალი ადგილზევე „იყინება“, თვლებში ზიზღი უდგას. მაყურებელს, ყვირილით) ხომ დინახეთ, რაც მოხდა? როგორ მინდოდა, ო, რა დიდი სურვილი მქონდა მის სხეულს დავპატრონებოდი, მაშინვე, იქვე! ასეთი დაუძლეველი ნდომა ადრე არასოდეს მომძალებია! მაგრამ ეს უკვე პატარა კაცუნას საქციელს დავმსგავსებოდა! მე ხომ მოცარტს აღარ ვებრძოდი! მოცარტის მეშვეობით ვებრძოდი ღმერთს, რომელმაც ასე ძალიან შეიყვარა იგი! (ზიზღით) ამაღელეს.. ამაღელეს.. უფლის რჩეულო! (კონსტანცია წამოდგება და გარბის. პაუზა. სალიერი დამშვიდდება, მაგიდასთან მივა, კომფეტს აიღებს და ქაშს) მეორე დღეს კატარინა კვალიერი გაკვეთილზე რომ მობრძანდა, მე მორცხვად წარმოვთქვი იგივე სიტყვა სინაზისა და გულმოწყალების უწალთუნებზე და სულ ლაჭენეროზა ვუძახე. სამწუხაროდ, სიყვარულში, ზუსტად ისევე, როგორც ხელოვნებაში, დიდი ფანტაზიით არ გამოვიჩინე. ჩემდა განახარად, კატარინასთვის ეს საქმე აღმოჩნდა. მან ოციოდე „ვენერას ძუძუსთავი“ მიირთვა, კონიაკიანი ტუჩებით მკოცნა და მსუბუქად შემომიფრთხილა და საწოლში. (თითქოს საწოლი ოთახიდან გამოვიდაო, ისე ნახევრადჩაცმული, დაუძევრად შემოდის კატარინა. კაცი

ენხვევა და ეშმაკურად ეხმარება პრეტორის გასწორებაში) იმ დღიდან კატარინა ჩემი საყვარელი გახდა. ჩემმა მატოვცემ მუღმა მეუღლემ ეს, რა თქმა უნდა, არ იცოდა. დრო მიდიოდა და შმაგმა ვნებამ სულ გადამავიწყა, ჩემი მოძულე მთხველის უღონო და ნაწმა სხეულმა კატარინას დაუფლება რომ დამსწრო. (კატარინა სალიერის უღიმის და გაღის) ასე დამემსხვრა ღვთისადმი მიცემული უბიწოების აღთქმა. (მცირე პაუზა) იმ საღამოსვე სასახლეში გამოვცხადდი და უარი განვაცხადე ყველა საქველმოქმედო კომისიაში თანამშრომლობაზე. ამრიგად, მეორე აღთქმასაც, მოყვანის სიყვარულსა და ხვედრის შემსუბუქებაზე, ბოლო მოვლე. (სცენის განათება იცვლება) მეორე ვეწვიე იმპერატორს და პრინცესა ელისაბედის მასწავლებლად ფრიალ საშუალო ნიჭის ადამიანი შევთავაზე.

## 2. შიონბრუნის სასახლე

ოქროს სარკეებს შორის, ბუხართან, დგას იმპერატორი.

იოსები — ჰერ სომერი? ეს უხალისო, უგუნებო კაცი? მოცარტისთვის რომ გვეთქვა?

სალიერი — არ შემძლია, თქვენო უდიდებულესობავ. სინდისი უფლებას არ მაძლევს, ხელმწიფის საგვარეულოს მასწავლებლად მოცარტი შემოგთავაზოთ. მასზე იმდენი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკია, რომ...

იოსები — ეგებ, ყველაფერი კორია?

სალიერი — სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანი, ჩემი საკუთარი პროტეჟე — ძალიან ახალგაზრდა მომღერალი ქალია.

იოსები — შარმან! (შესანიშნავია!)

სალიერი — ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ სიმართლეს ვერ გავქეცავით.

იოსები — მართლა? მაშ, სომერი მოვიწვიოთ! (დიდ სცენაზე სცემს ბოლთას) სიმართლეს მეც გეტყვით, სალიერი: შეუძლებელია მუსიკასთან დაკავშირებით პრინცესას რაიმე ზიანი მივაყუ-

ნოთ. (მოდის. სცენის მოპირდაპირე მხრიდან შემოდის მოცარტი. უბრალო, თავისი წაბლისფერი თმის მაგვარი პარიკი ახურავს. პარიკი უკან ბაბთით შეუქრავს) სალიერი — (მაყურებელს) მოცარტს ეჭვიც კი არ შეპარვია. იმპერატორმა ოვითონ გამოუცხადა „საკუთარი გადაწყვეტილება“.

იოსები — (ჩაუვლის) საერთოდ კი... აი, ასე (გაღის)

სალიერი — მე კი მისასამიშრებლად დავრჩი... (მოცარტი შემობრუნდება და დამწუხრებელი იცქირება დარბაზის სიბნელეში. სალიერი თანაგრძნობით ართმევს ხელს).

მოცარტი — (მწარედ) თავად ვარ დამნაშავე. მამაჩემი სულ მწერს, უფრო დამყოლი და ხათრიანი უნდა გახდეთ. შენი ადგილი იცოდეო! ამას... ამას რომ გაიგებს, მერე ნახე დარიგებები! (ნელა უახლოვდება ფორტეპიანოს. განათება იცვლება).

სალიერი — (მოცარტს თვალს აყოლებს) ამჭერად მოცარტი სასტიკად დამარცხდა!

### 3. ვინა და სურათები ოპერის ცხომრებიდან

თავქარიანი მაცნეი დაქრანი სცენაზე.

პირველი — მოწაფეები არ მოემატა.

მეორე — სულ ექვსი შეგირდი ჰყავს.

პირველი — შვილიც შეეძინათ!

მეორე — ბიჭია, ბიჭი!

სალიერი — საწყალი! (მაყურებელს) ჩემს წისკვილს კი უფრო და უფრო ემატებოდა წყალი. საკვირველია, პირდაპირ: ღვთის რისხვას ველოდი და არსაიდან ხმა!! პირიქით, 1784 წელს, ოთხმოცდახუთშიც, მსმენელი მოცარტზე ბევრად უფრო მათხახებდა და ეს ხდება იმ წლებში, როცა მან თავისი საუკეთესო საფორტეპიანო კონცერტები და სიმებიანი კვარტეტები დაწერა. (თავქარიანები აქეთიქით ამოუდგებიან სალიერს. მოცარტი ფორტეპიანოს უხის).

პირველი — ჰაილნი ამბობს. მოცარტის კვარტეტები ულამაზესთა ულამაზესიაო.

სალიერი — ასეა, მაგრამ ისმენს ვინმე ამ კვარტეტებს?

მეორე — ვან სვიტენიც აქებს და აღიღებს საფორტეპიანო კონცერტებს.

სალიერი — მართალია, მაგრამ ისმენს ვინმე ამ კონცერტებს? (მოცარტი ხან უქრავს, ხან — დირიჟორობს. ჩუმად გაისმის რონდო-საფორტეპიანო კონცერტიდან ლა მაჟორი. კ. 488. ამ მუსიკის ფონზე) ვენის საზოგადოება მოცარტის ყოველ ახალ კონცერტს ისეთივე წივილ-კივილით იწონებდა, როგორც ქალის შლაპების ახალ ფასონს. კონცერტი ერთხელ შესრულდებოდა და მერე აღარავის ახსოვდა. მხოლოდ მე, ერთადერთს, მესმოდა, რომ მეთვრამეტე საუკუნეში მოცარტზე უკეთ ვერავინ წერდა... ჩემი ოპერები კი ყველგან იდგმებოდა და ყველას მოსწონდა. მიუნხენის ოპერისათვის „სემირამიდა“ დავწერე.

პირველი — საზოგადოებამ ეს ოპერა აღფრთოვანებით მიიღო.

მეორე — აღტაცებისაგან ზოგიერთს გული წაუფიდა! (მცირე სცენაზე საოპერო თეატრის ბრწყინვალე დარბაზია. ფეხზე ამდგარი საზოგადოება გაშმაგებით უქრავს ტაშს. სალიერი, თავქარიანებთან ერთად, თავს უქრავს მათ. მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი თითქმის არ ისმის).

სალიერი — (მაყურებელს) ვენის თეატრისთვის დავწერე ოპერა „ლა გროტო დი ტროფონის“ — „ტროფონის გამოკვებული“.

პირველი — მთელი ქალაქი ამ ოპერაზე ლაპარაკობდა.

მეორე — კაფეებშიც მხოლოდ ამაზე საუბრობდნენ. (მცირე სცენის უკანა ფარდაზე სხვა საოპერო დარბაზია. მაყურებელი აქაც გაშმაგებით სცემს ტაშს. სალიერი თავს უქრავს).

სალიერი — (მაყურებელს) დაბო-



ლოს, დავამთავრე, ტრაგიკული ოპერა „ღანი-იუბი“. ეს ოპერა პარიზში დაიდგა.

**პირველი** — არნახული წარმატება ჰქონდა!

**მეორე** — ოვაციისაგან სახურავი კი-წ. ღამ დავგეშხო თავზე!

**პირველი** — თქვენი სახელი მთელს იმპერიში ჰქუხს!

**მეორე** — თქვენ მთელი ევროპა გიცნობთ! (ისევ საოპერო თეატრის პროექცია). ისევ ოვაციბა. სალოერი თავს უკრავს აღტაცებულ მაცურებელს. თავქარიანებიც უკრავენ ტანს. მოცარტის კონცერტი იმეორდება. მოცარტი ადგება, ელჩე სალოერი დაპარაკობს, სცენას გადაჭრის და გაუჩინარდება).

**სალოერი** — (მაცურებელს) თავად არ მჭეროდე; თითქოს ვიღაც განგებ მიხიბვებდა ტრიუმფიდან ტრიუმფისაკენ! ტვინი ქების მიმნებით გამტკეჯა. სალი კი — მოოქროვილი ავეჯით!

**4. სალიერის სლონი**

სცენა ოქროს სნიეებში ჩაძირულა. მსახურებს მოოქროვილი სკამები შემოაქეთ და სცენის შუაგულში დგამენ. ოღნავ შებერებული ლაქია კომპოზიტორს ცაფერ კაშოლს გახდის და ახალს, ოქრომეგრდით მოქარვულს, ატლასისას ჩაადმევს. ასევე შებერებული მზარეული საუტხოო ნამცებრებით სავსე სამსარაულოან ღარნაკს შემოაღას.

**სალოერი** — საკმაოდ უბრალო გემოვნება მქონდა. მაგრამ შევიცვალე... ვირწმუნე საკუთარი თავისა. მაღალი წრის საზოგადოების მიქტფარე ცხოვრებას ავეყვი. სალონი გავიჩინე, მეგლისებსა და წვეულელებს ვმართავდი. მთელი სეზონი ფუფუნებაში ვცხოვრობდი და განცხრომით ვთვრებოდი... (სკამზე თავისუფალ პოზიში ჯდება. ასევე იქცევან თავქარიანებაც).

**პირველი** — გუშინ მოცარტი თქვენს კომედიასზე იყო.

**მეორე** — პრინცესა ლიჩნოვსკიას ებასებოდა.

**პირველი** — ასე უთქვამს, სალოერი უკა ვაიძულოთ. თავისი მონეხვილი თუკონავე აწმინდოსო.

**სალოერი** — (თამბაქოს დაყნოსავს) მართლა? შეუდარებელი ხალხია ეს სალუბურგელენბი!

**მეორე** — ზერნი აღშფოთებას ვეღარ მაღავენ.

**პირველი** — მეგლისებზე სტუპრებ. აფრთხობს. ახლახან ვან სვიტენიც გაუბრაზებია. (თავქარიანები გვესლიანად იციწანან).

**სალოერი** — ვან სვიტენი? ღორღი ფუგა? მეგონა, ბარონი სწყალობდა ჩვენ სოთხენელ!

**პირველი** — მოცარტს უთხოვია. ერთი ოპერა კიდე დამაწერიინეთ იტალიურ თენაზეო.

**სალოერი** — (ანქარებოთ, მაცურებელს) ოპერა? იტალიური? ეს ხომ ჩემი ეპარქიაა?!

**პირველი** — ბარონი აღშფოთუნულა.

**სალოერი** — სიუჟეტი თუ აქარჩევია? (სცენას საღრმიდან სწრაფა ნაბიჯით შემოდის ვან სვიტენი).

**ვან სვიტენი** — ფიგარო! ფიგაროს ქორწინება! ბომარშეს უღირ'ი პიესის მიხედვით! (სალოერას შეუმჩნეველ ნიშანზე თავქარიანები გავლენ. ვან სვიტენი სალუბრის სახელოებს, მოოქროვილ სკამზე დაჯდება. სალოერის უკეთესი ვერაფერი მოძებნა! ტალანტს ამ არარაობაზე ხარკავს! რადა ეს ვულგარული ფარსი აირჩია? არ გირჩევ მეთქი, ვუთხარი და იცით, რა მიპასუხა? მამჩემს მაგონებთო! არისტოკრატებს მოახლეებას ჟინი ჰკლავთ! მათი ცოლები სულელური ტანსაცმლით ინიღბებიან! ვის რად უნდა? ოპერა და ასეთი უღირსი სიუჟეტი! (შემოდან მოცარტი და შტრევი. ვან სვიტენთან და სალოერისთან მეუღენ).

**მოცარტი** — ნამდვილ აღამიანებზე მინდა ვწერო, ბარონ, ნამდვილ, რეალურ



ცხოვრებაზე! მაგალითად, იმაზე, რაც ბუღდურებში ხდება. ქვეყანაზე არ მგულისხმობა ბუღდურზე თავშესაქცევი ადგილი. იატაკზე საცდლები უნდა ეყაროს. ჩარხავი ახლადამდგარი ქალის სხეულივით თბილი უნდა იყოს. საწოლქვეშ გაპაინებული ღამის ქოთანიც კი უნდა იდგეს!

ვან სვიტენი — (შეცბუნებული) მოცარტი!

მოცარტი — ცხოვრება, ცხოვრება სჭირდება, ბარონ, თავისმომაბეზრებელი ლეგენდები კი — არა!

შტრეკი — სალიერის „დანაილებიც“ ლეგენდაზე შექმნილი, მაგრამ ფრანგების დიდი სიამოვნებით უსმენენ, არ მოსწყენიათ.

მოცარტი — არც მოსწყინდებათ. ფრანგები ყველაფრით თავს იქცევენ და ერთობიან.

ვან სვიტენი — როგორ ვიმედოვნებდი, რომ ახლა, რაც ჩვენი, მასონური სამშობა წევრი გახდით, უფრო ამაღლებულ და დიად თემებს ამოიჩვენებთ!

მოცარტი — (მოუთმენლად) ამაღლებული! დიადი! უთქვენოდაც კარგად ვიცი, საჭიროების შემთხვევაში, კაცს რაც უნდა გაუღიადდეს.

ვან სვიტენი — (განრისხებულია) თავს გაგივიდათ, ჩემო ბატონო! შეიძლება ყველაფრის გამახსარავება?!

მოცარტი — (სასოწარკვეთით) აპატიეთ ჩემს ენას, ბარონ, მაგრამ, განა მართალს არ ვანობ? შეიძლება სულ ღმერთებზე და დევგმირებზე წერა?

ვან სვიტენი — (ცხარედ) დიახ, სულ მათზე უნდა ვწეროთ, რადგან ღმერთებიცა და გმირებიც ყოველივე საუკეთესოს ანსახიერებენ, რაც კი ჩვენშია. ოპერა უნდა გვამაღლებდეს თქვენც, მეც და თვით იმპერატორსაც. ეს ამაღლებულმა ბოლოვნებაა. ოპერა აღწერს მარადიულს ადამიანში, ეფემერულს არც ამჩნევს. ის ქალში ქალღმერთსა ხედავს, მრეცხავს კი-არა!

შტრეკი — სწორია! ზუსტად შეგინიშნავთ, ბარონ!

მოცარტი — (ლაპარაკის მანერას გამოაჯავრებს) ზუსტად შეგინიშნავთ! სწორია! მართალს ბრძანებთ! (ყველას) არ მესმის თქვენი, ბატონებო! ისე ამაღლდით, თითქოს ოჩოფეცხებზე იდგეთ. მაგრამ საჭდომები მაინც გიჩანთ. სიმართლეს გიტყვით: თქვენ ფეხებზე გყდით გმირებიცა და ღმერთებიც! გულახდილად მიპასუხეთ: დალაქი უფრო გიყვართ თუ ჰერკულესი? თუ ორივეს ჰორაციუსი გირჩევნიათ? (სალიერას) ან თქვენი რეგენი დანა? ან ყველა ჩემი მითრიდატი, პონტოს მეფე, ივოშენე — კრეტას მეფე და სხვანი და სხვანი? (სკამზე შეხტება და ორატორივით გაკვივის) მითვრამეტე საუკუნის ყველა სერიოზული ოპერა საშინლად მოსაწყენია! (ყველა გაკვირვებული შესტყერის. პაუზა. თავისებურად გადიანარხარებს და ჩამობტება) ნეტა, ჩვენი თავი დაგანახათ! ოთხი დაღებული პირი! რა ჩინებული კვარტეტი! უნდა დაწვერო კვარტეტი ოთხი დაღებული უბისათვის და ეს წამი უკვდავყო. ჰერ ჰოფმაისტერი ფიქრობს: „რა მოძალადე ყოფილა ეს მოცარტი?! დაუყოვნებლივ იმპერატორს უნდა მოვახსენო!“ ჰერ პრეფექტი: „უვიცია და თანაც უზრდელი! თავისი უწამაწრობით ოპერას არცხვენსო!“ ჰერ კარის კომპოზიტორი კი იმედოვნებს: „მოცარტი გერმანელია და დიდი ამბავი, მუსიკაში თუ ვერ ერკვევიაო!“ მოცარტს კი ამ დროს ერთი აზრი მოუვა თავში: „არც ისე ცუდი კაცი ვარ და ნეტავ, ამოთ რატომ არ მოვწონვარო?“ (ვან სვიტენს. აღელვებული) აი, ამაშია ოპერის უპირატესობა. ოპერა ნებისმიერ პიესაზე რეალურია! დრამატურგი იძულებულია ეს ოთხივე აზრი დიადოგად აქციოს. კომპოზიტორი კი ოთხივეს ერთად აამღერებს და თითოეულის სმა ჩვენთვის გასაგები იქნება. ვოკალური კვარტეტი ხაოცარი გამოგონებაა! (უფრო აღიზნ-



ნება ჩემი ახალი ოპერის ფინალი ნახუარსათიანი იქნება. კვარტეტი გადადის კვინტეტში, კვინტეტი — სექსტეტში და ასე შემდეგ. ბგერები გამრავლდება, თანდათან ზევით აიწევს და ახალ, სავსებით ახლებურ ხმოვანებას შეიძენს! დაგენიძლავებო. ღმერთს ზუსტად ასე ესმის ამქვეყნიური ხმაური. დედამიწაზე წარმოშობილი მილიონობით ბგერა ზეცას ამაღლებდა და უზენაესის სმენას ჩვენთვის იდუმალ მუსიკად ჩაესმის. (სალიერიას) ამაშია ჩვენი შრომა! ამაშია კომპოზიტორის შრომა! ამ კაცის, იმ კაცის, იმ კაცის, ამ ქალის, იმ ქალის, იმ ქალის შინაგანი სამყარო, მოახლეებისა თუ კარის კომპოზიტორების აზროვნება ერთმანეთს შეადნო, შერწყა და ხალხი, ამრიგად, ღვთისათვის მოაქცო. (პაუზა. სალიერი მოჯადოებულებით შესცქერის მოცარტს, რომელიც უხერხულობისაგან ჭიხვანებს და ხარხარებს) თუ ღმერთი გწამთ, მუპატიეთ. სულ სისულელეს ვროშავ, გამოუსწორებელი კაცი ვარ. თუ არა გჯერათ, სტანცერლს ჰკითხეთ. (ვან სვიტენს) ძირში მოსაქრელი, სულელი ენა მაქვს, მაგრამ გული სიმართლეს ამბობს.

ვან სვიტენი — მართალია. ტუტუცურა ლაპარაკი იცით, მაგრამ არც ისე ცუდი ხართ. ვხედავ, ვხედავ! ეს ახალგაზრდა ჩვენი ღოუის საუკეთესო წევრი გახდება; ხომ მართალია, სალიერი?

სალიერი — ჩემზე უკეთესიც. ბარონ!

ვან სვიტენი — ჩემო მეგობარო, ეცადეთ, უფრო გონივრულად გამოიყენოთ ღმერთისაგან ნაბოძები ტალანტი (იღიმება. მოცარტს ხელს ჩამოართმევს და გადის).

სალიერი — (ადგება) ბუონო ფორტუნა, მოცარტ! წარმატებას გისურვებთ!

მოცარტი — გრაციე, სინიორე! (შტრეკთან მივა) ნუ მოღუშულხართ, შერ ჰოფმაისტერ! ვირი ვარ, ვიცი, ვირთან მეგობრობა ძნელი საქმე არ არის. ხელს, უკაცრავად, ჩლიქს ჩამოართმევთ და მორჩა! (ხელის მტევანს „ჩლიქად გა-

დააქცევს“. შტრეკი ფრთხილად ნახუარსათიან ხელს და წამსვე უკან გახტება, რადგანაც მოცარტი დაურთოინებს) ი-ი-ი-ო-ო-ო-ო-ო! იმპერატორს უთხარით, ოპერა სწავ არის-ოქო.

შტრეკი — როგორ?

მოცარტი — დიახ, მზად არის, აი, აქ, თავში! ქალაღზე გადაჯაბნა-ლა აქლია. ნახვამდის.

შტრეკი — კარგად ბრძანებოდეთ.

მოცარტი — შერწყმუნეთ, იმპერატორ იამაყებს ჩემით! (ხელით ილეთს გააკეთებს და ემყოფულა იერით გავა).

შტრეკი — რა აუტანელი ახალგაზრდაა.

სალიერი — (ირონიით) დიახ, ძალიან მოუსვენარი და ცქვიტი ემაწვილია!

შტრეკი — (ცხარედ) აუტანელი, უწმაწური და გარყვნილი! (აღშფოთებული და გამშრალია).

სალიერი — (მყუდრებულს) რა უნდა ვქნა? ხელი როგორ შევეშალო? როგორ ჩავშალო „ფიგაროს“ დადგმა? დაუჯერებელიაო. მეტყვიეთ, მაგრამ მოცარტმა ექვს კვირაში დაამთავრა „ფიგაროს“ პარტიტურა. (შემობობს ობუნებერგი).

როზენბერგი — „ფიგარო“ დაამთავრა! პრემიერა პირველ მაისს დაინიშნა!

სალიერი — ასე მალე?

როზენბერგი — საქმეში ჩარევა ვერ მოვასწარი! (მცირე პაუზა).

სალიერი — (ცბიერად). ერთი იდეა მაქვს. უნა პიკოლა იდეა.

როზენბერგი — გისმენთ.

სალიერი — მი ადუტოკე იონ ბალეტო ნელ ტერცო ატტო? (ამბობენ, მესამე აქტში საბალეტო სცენა არისო?)

როზენბერგი — (დაფიქრებული) სი.

შტრეკი — გამაგებინეთ, რას ამბობს!

სალიერი — ე დიმი... ნონ ე ვერსო კელ იმპერატორე — ა პრობიტო ილ ბალეტო ნელლე სიუე ოპერა? (მითხარით,



მართალია, იმპერატორმა ოპერებში ბა-  
ლეთი აკრძალაო?)

როზენბერგი — (მიხვდა) უნო ბა-  
ლეთო... ა-ა-ა!

სალიერი — პრეჩისამენტე. მაშ, რა  
გეგონათ?

როზენბერგი — ო, კაპისკო მა კე  
მურავილია! პერფეტო! (ღვარძლიანად  
ხარხარებს) ვერამენტე ინჯენიოზო! (მეს-  
მის! კარგი მიგნებაა! ბრწყინვალე აზ-  
როა! გენიალური!)

შტრეკი — გამაგებინეთ, რას ამბობს!  
რა შემოგვთავაზა?

სალიერი — თეატრში შეიარეთ და  
იქ ნახავთ.

როზენბერგი — რასაკვირველია?  
არ გადავდებ, ახლავ ვეახლები. როგორ  
გადამავიწყდა. გენიოსი ხართ, კარის  
კომპოზიტორო!

სალიერი — მე? მე რა შუაში ვარ.  
არაფერი არ მითქვამს (სცენის სიღრმეში  
გადინაცვლებს. ოდნავ ბნელდება.)

შტრეკი — (ფრიალ გაჭაგრებული)  
მოცარტი მართალია! ამ ბოლო დროს  
აქ, ჩვენთან, ძალიან ხშირად ყბედობენ  
იტალიურად! ეხლა კი, კეთილი ინებეთ  
და შემატყობინეთ, თუ შეიძლება, რაზე  
ლაპარაკობდით?

როზენბერგი — (ხალისიანად) პა-  
ჩენცა, ჩემო ძვირფასო ჰოფმანსტერ,  
პაჩენცა. მოითმინეთ და გაიგებთ!

5. ჩაბნელებულ თეატრალურ  
ღარბაზში

უკან ფარდაზე მკრთალად განათე-  
ბული ჭაღების პროექციაა; ჩაბნელებულ  
თეატრალურ ღარბაზში, შუაში, მოოქ-  
როვილ სკამზე ზის როზენბერგი. შემო-  
დის მოცარტი. კიდევ ერთი საუცხოო  
კამბოლი აცვია. ხელში „ფიგარო“ პარ-  
ტიტურა უჭირავს. ფორტეპიანოსკენ მი-  
დის.

როზენბერგი — მოცარტ! მოცარტ!  
მოცარტი — გისმენთ, ჰერ დირექ-  
ტორო!

როზენბერგი — (თავაზიანად) უნდა  
მოგელაპარაკოთ... თუ გცალიათ, ახლავ  
მოცარტი — მზად ვარ გემსახუროთ;  
რა გნებავთ?

როზენბერგი — შეიძლება „ფიგა-  
როს“ პარტიტურა გადავთვლიერო?

მოცარტი — ინებეთ... მაგრამ...

როზენბერგი — მომეცით. (თვითონ  
გაუნძრევლად ზის) მომიტანეთ. (გაკვირ-  
ვებული მოცარტი ნოტებს მიუტანს. გა-  
დაშლის) მითხარით, გეთაყვა, იცით თუ  
არა, რომ მისმა უღიდებულესობამ სას-  
ტიკად აკრძალა ბალეთი ოპერაში?

მოცარტი — ბალეთი?

როზენბერგი — დიახ, ბალეთი.  
თქვენ მესამე აქტში ბალეთი გაქვთ.

მოცარტი — ეგ ბალეთი არ გახლავთ,  
ჰერ დირექტორო. ეს ცეკვებია ფიგა-  
როს ქორწილში.

როზენბერგი — მეც მაგას გეუბნე-  
ბით.

მოცარტი — (თავშეკავებას ცდი-  
ლობს) კი, მაგრამ იმპერატორს არ აუ-  
კრძალავს ის ცეკვები, რომლებიც სიუ-  
ჟეტის განვითარებისთვის აუცილებელი  
და საჭიროა. ის წინააღმდეგია ჩადგმუ-  
ლი, სულელური საბალეტო ნომრებისა,  
უველა ფრანგულ ოპერას რომ ახლავს და  
სავსებით სამართლიანადაც.

როზენბერგი — (ხმამალა) იმპე-  
რატორის ბრძანება თქვენი განსახველი  
არ არის, ჰერ მოცარტ! თქვენ მათი შე-  
სრულება გევალებათ! (დასტაცებს ხელს  
პარტიტურას და ის ფურცლები. სადაც  
ცეკვებია, ორი თითო უჭირავს).

მოცარტი — რას სჩადით? თქვენო  
აღმატებულეზავ, რას აპირებთ?

როზენბერგი — მოვაშორებ, რაც  
უადგილო ადგილზეა! (სამარისებურ სა-  
ჩუმეში ამოხვევს ფურცლებს. მოცარტი  
თვალს არ უჩერებს, გაცოფებულია. სა-  
ლიერი და შტრეკი სიბნელიდან უცქე-  
რიან) ეგებ ამიერიდან მაინც ისწავლოთ  
იმპერატორის ბრძანების მორჩილება.  
(კიდევ ამოხვევს რამდენიმე ფურცელს).





მოცარტი — კი... მაგრამ... ეგ თუ ამოვიღე, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილას სიცარიელე გაჩნდება. არა, რაღაცა ხდება! შეთქმულება! შეთქმულება!! (უცებ აკვივდება) სალიერის ოინება ეს ყველაფერი!..

როზენბერგი — რა სისულელეა! სალიერი — (მაყურებელს) როგორ მიხვდა? თავი არაფრით გამოცია. ნუთუ, დემერთმა უჩურჩულა?

მოცარტი — დიახ, ეს შეთქმულებაა! ამას ყნოსვით ვგრძნობ! სუნი მომდის, საწიზღარი შეთქმულების სუნი!

როზენბერგი — დაუფიქრდით, რას ამბობთ!

მოცარტი — (აფეთქდება) ორ დღეში პრემიერაა! ახლა რა უნდა ვქნა?

როზენბერგი — გადააკეთეთ. თქვენ ხომ უსწრაფესად მუშაობთ. თქვენთვის ეს სულ იოლი საქმეა!

მოცარტი — თუ კი მუსიკა სრულყოფილია? თუ კი მისი გაუმჯობესება შეუძლებელია? (საშინლად გააფრთხილებული) იმპერატორს მოველაპარაკებო! საგანგებო მისთვის ჩავატარებ რეპეტიციას!

როზენბერგი — იმპერატორი რეპეტიციებზე არ დადის!

მოცარტი — ამაზე მოვა. არაფერი შეგეშალოთ, ამაზე მოვა და ყველაფერი გაერკვევა!

როზენბერგი — სულ მცირე რამ არის საქირო. დღესვე გადაკეთეთ ეს მოქმედება ან... ან უარი სთქვით დაღვამაზე. ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაა. (პაუზა. კომპოზიტორს დახეულ პარტიტურას მიაწოდებს. მოცარტი ცახახავს).

მოცარტი — ნევით სავსე ტომარა ყოფილხარათ! (როზენბერგი ისე მიდის კულასებისაკენ, ვითომ ეს სიტყვები არ გაუგია) დაშალო. საწიზღარი, მარად ჩახვრილი!!! ბილწი იტალიელების სლიკინა მფარველი! მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ნევით სავსე ტომარა! (როზენბერგი

წედა, მშვიდად გადის სცენიდან (სცენიდან წაიხილეს) გრაფ ორ'ინი-როზენბერგი! როზენ-პპუკ! როზენ-ფუფიკ! აი, ნახავთ, რეპეტიცია მქნება, იმპერატორიც მოვა... აი, ნახავთ! გესმით? (გაშმაგებული პარტიტურას იატაკზე მოაბნევს. სცენის სიღრმეში სიბნელეში მიმალული შტრეკი გადის, სალოერი კი მოცარტისკენ მიემშრება. მოცარტი იგრძნობს მის მოახლოებას. შებრუნდება და უნებურად ბრალმდებელ ექსტს აკეთებს. სალიერის) აპიკრძალეს... აპიკრძალეს, მაგრამ თქვენ, ალბათ, უკვე იცით?!

სალიერი — (მშვიდად) რა უნდა ვიცოდეთ?

მოცარტი — (წაბარბაცდება. მწარედ) რა მნიშვნელობა აქვს!

სალიერი — (როგორც ყოველთვის, ცბერობს). ნება მომეცით, დაგესმაროთ, მოცარტი! თუ გნებავთ, იმპერატორს დაველაპარაკებო! ვთხოვ, რეპეტიციაზე დაგესწროთ.

მოცარტი — (გაოცდა) იმპერატორს ამას სთხოვთ?

სალიერი — აუცილებლად დავიყოფიებ-მეთქი, ვერ დაგპირდებით, მაგრამ ძალიან ვთხოვ.

მოცარტი — მერ სალიერი!

სალიერი — ნახვამდის. (ხელებს მალა აწევს, შემდგომი სამადლობელო თაყვანს რომ აიკალოს. მოცარტი ფორტეპიანოს მიუჯდება. მაყურებელს) ალბათ, მემხვდით: თითიც არ გამინძრევია. მაგრამ, ჩემდა გასაკვირად... (შტრეკი და როზენბერგი აჩქარებული ნაბიჯით გამოდის სცენის სიღრმედან) მეორე დღეს... „ფიგაროს“ ბოლო რეპეტიციის შუაგულში... (სცენის სიღრმედან გამოჩნდება იმპერატორი).

იოსებო — (თავზიანად) სულ დღესასწაული და ფიერვერკი გვექნება! დღესასწაული და ფიერვერკი! გამარჯობათ, ბატონებო!

რ. „ფიგაროს“ ბოლო რეპეტიციის შუაგულში სალიერი — (მაყურებელს) მიუხედა-

ვად ჩვეულებებისა, იმპერატორი მობრძანდა! (შეშფოთებული შტრეკი და როზენბერგი ერთმანეთს გადახედავენ. აღელვებული იოსები ერთ-ერთ მოოქროვილ სკამზე დაჯდება პირით მაყურებლისკენ. როგორც „სერალიდან მოტაცების“ დროს, ისე შესცქერის მაყურებელთა დარბაზს, თითქოს ოპერას უყურებს).

იოსები — მოუთმენლად ველი თქვენს ოპერას, მოცარტი! დამიჯერეთ! ყუ პრე-ვუ! დიო მერვეი. თითქოს სასწაულს ვე-ლი!

მოცარტი — (გაფაციცებით უკრავს თავს) თქვენო უდიდებულესობავ! (შტრეკი მარჯვნივ დაჯდება, როზენბერგი — მარცხნივ, სალიერი — ფორტეპიანოსთან).

სალიერი — (მაყურებელს) ნეტავ, რა ხდება? ნუთუ, უფალი მოცარტის დაცვას აპირებს? ეგებ, ბოლოსდაბოლოს, გადაწყვიტა, შემებრძოლოს?

მოცარტი — (სალიერის სკამს რომ ჩაუვლის, გულწრფელად, ხმადაბლა) დიდად გამაღლოთ, მეესტრო... არ ვიცი, რით გადავიხდით...

სალიერი — (გვერდით, ჩუმად) ნუ შესწუხდებით! თქმად არ ღირს! აქ არც ამის დროა და არც ადგილი! (მოცარტი ფორტეპიანოს მიუჯდება მაყურებელს) ნუთუ, უბრალო დამთხვევაა? მაგრამ ერთი რამ არ მომეჩვენა უბრალო დამთხვევადა: (შორიდან ისმის მუსიკა. „ფიგაროს“ მესამე აქტის ბოლო. სწორედ ის ადგილი, სადაც ცეკვები იწყება) იმპერატორი მოვიდა სწორედ იმ სცენის წინ, როცა ცეკვები უნდა დაწყებულიყო. ამან დაძაბა ჩემი ყურადღება! (მუსიკა მკვეთრად შეწყდა) ჩვენც და იმპერატორიც სრულ სიჩუმეში ვუცქერდით მოქმედებას. (დიდებულებით გარშემორტყმული იმპერატორი უყურებს მოქმედებას, პანტომიმა და მეტი არაფერი. იოსები საგონებელში ჩავარდა. შეწუხებული როზენბერგი თვალს არ აცილებს მონარქს, რომელმაც, როგორც იქნა, ამოაქრა).

იოსები — არაფერი მესმის. ეს მოღერნული სტილია?

მოცარტი — (ნერვიულად წამოხტება) არა, თქვენო უდიდებულესობავ!

იოსები — მაშ, რა არის?

მოცარტი — აქ ჰერ დირექტორმა ცეკვები ამოიყარა.

იოსები — (როზენბერგს) ეს რატომ გაკეთდა?

როზენბერგი — თქვენი ბრძანება შევასრულეთ, სერ. ოპერაში ბალეტი არ უნდა იყოს.

მოცარტი — ეს ბალეტი არ გახლავთ, თქვენო უდიდებულესობავ. ქორწილია და ცეკვაც სიუჟეტის გასანვითარებლად მჭირდება.

იოსები — რაღაც უცნაური სანახაობაა. ვერ გეტყვით, მომწონს-მეთქი.

მოცარტი — არც მე მომწონს, თქვენო უდიდებულესობავ.

იოსები — თქვენ, როზენბერგ?

როზენბერგი — თქვენო უდიდებულესობავ! ეს ხომ გემოვნების საქმე არ არის. თქვენი ბრძანება კრძალავს ყოველგვარ ცეკვას ოპერაში.

იოსები — მართალია, მაგრამ სანახაობა ყოველად უაზროა. ერთი შესხედეთ, ცვილის თოჯინებს არ ჰგვანან?

როზენბერგი — ჰგვანან, თქვენო უდიდებულესობავ!

იოსები — ვერ ვიტან... არ მიყვარს ეს ცვილის თოჯინები!

მოცარტი — არც მე მიყვარს, თქვენო უდიდებულესობავ!

იოსები — ვას შეიძლება ეს მოეწონოს, ჰა, სალიერი?

სალიერი — იტალიელებს, თქვენო უდიდებულესობავ. მთელი ჩვენი რელიგია ცვილის წმინდანებთან ურთიერთობაა.

იოსები — ისევ ეშმაკობთ, ჩვენო კარის კომპოზიტორო!

შტრეკი — (დაშაქრული ხმათ) თქვენო უდიდებულესობავ, გრაფი როზენბერგი შიშობს, მუსიკის აღდგენა სანა-



ნებლად არ გაგვიხდეს. აქ თუ აღვადგენთ, მერე ყველა ოპერაში მოგვიწევს საათობით სულელურ ცეკვას ვუცქიროთ. იოსები — ამას არ დაუშვებთ, ჰოფმაისტერ. არ შეიძლება ოპერის მოსასმენად მიხვიდე და საათობით ცეკვას უცქირო. (როზენბერგს) თუ შეიძლება, ალაღვინე შერ მოცარტის მუსიკა.

როზენბერგი — თქვენო უდიდებულესობავ, ნება მოშვით. არ...

იოსები — (მბრძანებლურად) ფრიალდამავალბო, როზენბერგი! მსურს, მოცარტის მუსიკას ვუსმინო! გასაგებია?

როზენბერგი — დიახ, თქვენო უდიდებულესობავ! (მოცარტი სიხარულსაგან ლამის გასკდეს. სკამებს გადაახტება და იმპერატორს ფეხებში ჩაუვარდება).

მოცარტი — ო, ღმერთო ჩემო! (იმპერატორს ხელს გაშმაგებული ჰკოცნის, როგორც პირველი შეხვედრის დროს) გამადლობო, გამადლობო, საუკუნოვ მადლობელი ვარ, სერ, სამარადისოვ! გამადლობო, გამადლობო, გამადლობო!

იოსები — (ხელს გამოართმევს) დიახ, ასეა... ძალიან კარგი... კი, მაგრამ რამ გაგახელათ? დაწყნარდით, გოტხოვ!

მოცარტი — (შეცბუნებული) მაპატიეთ... მაპატიეთ, გემუდარებით... მაპატიეთ!

იოსები — (ადგება. ყველანი დგებიან). დიახ, ასეა... აი, ასე...

7. „ფიზაროს“ პრემიერა

„ფიზაროს“ პრემიერის გამო გაჩახახებული თეატრი დიდებულები და მოქალაქენი ადგილებსაკენ მოაჩქარაან. იმპერატორი და მთავრები თავის ადგილზე დასხდებიან. პირველ რიგში ზის კატარინა კაელიერი. ბრწყინვალეობითა და ფრთხილად აჭრელებული კაბა აცვია. აქვია ჩვეულებრივზე უფრო მოტეხილი კაველმასტერი ბონო. მათ უკან — კონსტანცია და თავკარიანები. ყველა და-

ვინებით შესცქერის მაყურებელთა ზაზს, თითქოს სწორედ ეს იყო სწორედ ღვინა. პირველ რიგში მდიდრები სხედან, უკან, განსაკუთრებით, მცირე სცენაზე კი — ღარიბები. სალიერი გადაჭრას სცენას და მაყურებელს მიმართავს, თან იმ ორი სკამისაკენ მიდის, რომელიც მისი ლოჯია და სადაც წელგამართული ტერეზა, უფრო მეტად რომ დამსავსებია ქანდაკებას.

სალიერი — როგორ არ ვეცადე, მაგრამ „ფიზარო“ მაინც დადგეს. ჩემს ლოჯიაში ვიჭექე და სცენას თვალს არ ვაშორებდი. ეს ჩემი სერიოზული დამარცხება იყო. მიუხედავად ყველაფრისა, რაღაც მოლოდინი მაფორიაქებდა. (მორიდან გვესმის ფიზაროს სიმღერა: „ანცი, ხუჭუჭა, შეყვარებული ბიჭი“. საზოგადოებას ოპერა აშკარად მოსწონს. მაყურებელნი უპირობოდ სკანას უცქერენ და იღიმებიან.) და უცებ! ეს იყო ჩემი მარში! ჩემი საბრალო მისასალმებელი მარში! გადაკეთებული და მერე როგორ! აწ და მარადის რომ აღაფრთოვანოს მამენელი! (მარში მიჩუმდა. ტაში. ანტრაქტი. იმპერატორი წამოდგება. ესალმება კატარინას და ბონოს. როზენბერგი და შტრეკი სალიერას ლოჯისკენ მიდიან).

როზენბერგი — (სალიერის) ეს ბოლო პასუხი თითქმის თქვენს სტილში იყო დაწერილი. მაგრამ ბევრად უფრო ელუგარულად და მომბეჭრებლად, რა თქმა უნდა.

შტრეკი — (თავისებურად სკიპავს სიტყვებს) მართალია! მართალი! (ზარი. ანტრაქტი დამთავრდა. იმპერატორი ავგულზე დაბრუნდა. მაყურებლებიც დასხდნენ. პაუზა. ყველა „სცენას“ შესცქერას).

სალიერი — (ჩუმად და აღტაცებით, მაყურებელს) თრთოლვით ვუსმინე მეორე აქტს. (პაუზა) ადღგენილ — მესამეს. (პაუზა) თავზარდამცემ, გასაოცარ მეოთხე მოქმედებას. რა გითხრათ? ალბათ, თვითონ მოისმენთ, რადგანაც ბევრი რამ წყალს გაჰყვება და დავიწყებას მიეცე-



მა, მაგრამ ეს ოპერა სამარადისოდ დარჩება. (გვესმის მეოთხე აქტის საზეიმო ბოლო აქორდები „ყველა კმაყოფილია; მარად ასე იქნება!“ ამ მუსიკის ფონზე) მოქმედება მიმდინარეობს ზაფხულის ბაღში, ღამით. დანჯღრეული ფანჯატურების სილუეტებს ტილოს ციდან ვარსკვლავები დასციმციმებდნენ. შეთქმულები მუყაოს ბუჩქებში დაძვრებოდნენ. ვხედავდი მოახლის ტანსაცმელში გადაცმულ ქალს და მესმოდა მისი ქმრის ნაზი სიტყვები, რომელსაც მხოლოდ იმიტომ ეუბნებოდა, სხვა რომ ეგონა. რამდენი წელია ასე არ მოფერებია საკუთარ მეუღლეს. ამაზე რეალური რა უნდა მოიფიქროს კაცმა? თანაც მარჯვე ტყუილის გარეშე არაფერი გამოვა! ოპერის პირობითობა თითქოს ს:განგებოდ მოცარტისათვის შეიქმნა. (გრ:ნობა ერევა, სცენას ძლივს უყურებს) ცოლ-ქმრის საბოლოო შერიგებამ მაყურებელს ცრემლებამდე აუჩუყა გული. (პაუზა) მეც ავტირდი, მაგრამ ცრემლმორეული თვალით მაინც დავინახე: იმპერატორი ამოქანარებდა (იოსები ამოქანარებს. მუსიკა ჩაჩუმდა. ტაში კანც:ოქუნტად გაისმის. იოსები და დიდებულები წამოდგნენ. მოცარტი თავს უქრავს მაყურებელს).

იოსები — (ცივად) საუკეთესო მიგნებებია, მოცარტ. თქვენი წარმატებაც უეჭველია. მაგრამ „ბიზე“ ნუ გავიმეორებთ. დიდი დრო მიაქვს. მიიღეთ ეს მხედველობაში, როზენბერგ.

როზენბერგი — მესმის, თქვენო უღიდებულესობავ. (ნაწყენი მოცარტი თავს დახრის).

იოსები — ძილი ნებისა, ბატონებო. შტრეკ, გამაცილეთ. (იოსები და შტრეკი გავლენ. როზენბერგი გამარჯვებულის იერით გადახედავს მოცარტს და ისიც გავა. სალიერი თავს დაუბრის მეუღლეს, რომელიც, აგრეთვე, გადის. კონსტანცია რჩება ყველაზე ბოლოს, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. მოცარტი და სალიერი მარტონი რჩებიან. პაუზა. სალიერი ოპე-

რით აღტაცებულია, მოცარტი მაყურებლის რეაქციით — უკმაყოფილო. ის სალიერის სიახლოვეს დაჯდება).

მოცარტი — (ჩუმად) შერ სალიერი! სალიერი — გისმენთ.

მოცარტი — რას ფიქრობთ ოპერაზე? როგორ გგონიათ, მართლა ასეთი შესამჩნევია ჩემი წარმატებები?

სალიერი — (შეძრულია) ვფიქრობ, ოპერა... არაჩვეულებრივია... შესანიშნავი! (პაუზა. მოცარტი მისკენ შემობრუნდება).

მოცარტი — მაშინ, მე გეტყვით: ეს ოპერა ბევრად უკეთესია ყველა აქამდე შექმნილზე. გეხმით? და ასეთი ოპერის დაწერა მხოლოდ მე შემეძლო. ცოცხალი კომპოზიტორებიდან ასე ვერავინ დაწერს! (თითქოს სილა გააწნესო, სალიერი შეტორტმანდა. მოცარტი წამოდგა, წასვლას აპირებს. განათება იცვლება. შემობრბან თავპარიანები. მოცარტი და სალიერი აღვილზე „გაიყინებიან“).

პირველი — როზენბერგი განრისხებულია!

მეორე — მოცარტს არ აპატიებს.

პირველი — ყველაფერს იყისრებს, სამაგიერო რომ გადაუხადოს.

სალიერი — (აღგება. მაყურებელს) ოპერის რეპერტუარიდან მოსახსნელად დიდი ჭაფა არ დამდგომია. მე და გაბრაზებულმა ლირექტორმა ამაზე ვიზრუნეთ. მთელ სეზონში „ფიგარო“ მხოლოდ ცხრაჯერ იმღერეს. დამარცხება გამარჯვებად მომიბრუნდა. ჩემი გამოწვევა ღმერთმა ამჯერადაც უპასუხოდ დასტოვა... ეგებ, ჩვენთვის არც სცალია? (მოცარტი ავანსცენაზე გამოდის).

მოცარტი — რეპერტუარიდან მოიხსნა! აღდგენაზე ჩამიჩუმი არ ისმის.

სალიერი — ჩემო მეგობარო! ერთ რამეს გირჩევთ: საზოგადოებას თუ არ მოეწონა, ღირსეულად შეხვდით ამ ამბავს. (მაყურებელს) კარგად ვიცოდი: ოპერა იმპერატორის კარმა დაიწუნა.

პირველი — (კირვეულად) ძალიან  
რთული ოპერაა!

მეორე — (კირვეულად) და საშინლად  
მოსაწყენი!

პირველი — ბევრი მძიმე მელოდიაა!  
მეორე — არია ისე მთავრდება, ვერ  
მიხვდები, ტაში როდის დაუყრა. (თავქა-  
რიანები გადიან).

სალიერი — (მაყურებელს) ჩემთვის  
ცხადზე უცხადესია: როგორი მშვენიერი  
ოპერაც არ უნდა დაწეროს, მოცარტის  
ქმნილებებს წარმატება აღარ ექნებათ.  
სხვას ვერას დაგპირდებით, მაგრამ ვენის  
თეატრალებს ამაში უნდა ვენდოთ. მე  
კი, დროა, მოცარტს დაუუახლოვდე. კარ-  
გად გავიცნო და სუსტი თვისებები აღ-  
მოუჩინო.

### 8. ბარონისა ვალდშტატენის ბიბლიოთეკა

მსახურებს ვალდშტატენის სავარძე-  
ლი შემოაქვთ.

მოცარტი — ინგლისში გადავსახლ-  
დები. იქ მუსიკა უყვართ და ყველაფერს  
ეშველებს.

სალიერი — (მაყურებელს) ჩვენ ისევ  
ბარონესა ვალდშტატენის ბიბლიოთეკაში  
აღმოვჩნდით, თითქოს ეს საბედისწერო  
შეხვედრები სხვაგან ვერ მოხდებოდა.  
როგორც ყოველთვის, მაგიდაზე კრემა  
აღ მასკარპონე იდო ბლომად, პირი რომ  
ჩაგვეტებარუნებინა. (სავარძელში ჩაჯ-  
დება და ხარბად ჭამს).

მოცარტი — პატარა რომ ვიყავი, ინ-  
გლისელები გიჟდებოდნენ ჩემთვის! იციო,  
რამდენს მკოცნიდნენ? თქვენ, ალბათ, იმ-  
დენი ნამცხვარი არც გიპამიათ მთელი  
თქვენი ცხოვრების მანძილზე; მაშინ ძა-  
ლიან ვუყვარდი ყველას!

სალიერი — ეგებ, ისევ შეგიყვარონ!  
მართლაც, უნდა სცადოთ ბედი და ლონ-  
დონს გაემგზავროთ.

მოცარტი — ვერ წავალ, მაესტრო,  
იმიტომ, რომ ცოლ-შვილი მყავს და, რაც  
მთავარია, ჭიბე მაქვს საშინლად გამო-

ფხეკილი. მამაჩემს მივწერე, ეგებ ბავშვი  
დაიტოვო რამდენიმე თვით-მეგობრად.  
რამ უარი მტკიცა. ვის უნდისარ? ბო-  
ლოსდაბოლოს, ყველა მიგატოვებს; ვი-  
საც ყველაზე მეტად უყვარდი, ისიც, მა-  
მაჩემისა მესმის. ვიცი, რატომაც არის  
გაბოროტებული. იმ ჩვენი ბრწყინვალე  
გასტროლების შემდეგ, მთელს ევროპა-  
ში გამოფენასავით რომ ჩამომატარა, ში-  
ნიდან ფეხი აღარ გამოუდგამს. ზალც-  
ბურგში ჩარჩა. ახლა მეტი საქმე აღარა  
აქვს: ან იმ პრაქუნა არქივისკოპოსის  
ბეჭედს ჰკოცნის, ან მე მლანძღავს. (კონ-  
ფიდენციალურად) ჩემი შურს, გესმით?  
ვერ მპაატია, იმაზე ჭკვიანი რომ ვარ.  
(დაიხრება, ცელქი ბავშვივით ჩასჩურჩუ-  
ლებს) საიდუმლო უნდა გაგანდოთ: ლეო-  
პოლდ მოცარტი ბებერი, შურიანი და  
ბენტერაა; მეზიზღება. (დამნაშავესავით  
იღონას. შემობრბინ თავქარიანები და სა-  
ლიერის მიეჭრებიან. მოცარტი „იყინე-  
ბა“).

პირველი — (საზეიმოდ) ლეოპოლდ  
მოცარტი...

მეორე — (საზეიმოდ) ლეოპოლდ მო-  
ცარტი...

ორივე — ლეოპოლდ მოცარტი გარ-  
დაიცვალა! (გადიან. მოცარტი გაოგნე-  
ბულია. ხანგრძლივი პაუზა).

სალიერი — სასოწარკვეთას ნუ მიე-  
ცემით, ჩემო მეგობარო! ყველანი სიკვ-  
დილის შვილები ვართ.

მოცარტი — (სასოწარკვეთით) რა  
მეშველება? უიმისოდ როგორ ვიცხოვ-  
რო?

სალიერი — ასე ნუ ამბობთ...

მოცარტი — როგორ ვიცხოვრო, რო-  
გორ? ვინდა გამიგებს, როგორ ვიტანჯე-  
ბი ამ სიბოროტით გარემოცული? არა-  
ვინ! არ შემიძლია!.. მთელი ცხოვრება  
ჩემზე ღერუნავდა, მე კი — ...ვუღალატე.  
სალიერი — კარგია, კმარა, დამშ-  
ვიდლით!

მოცარტი — რას არ ვამბობდი, რას  
არ ვაბრალებდი...



სალიერი — როდის? პირველად მესმის?!

მოცარტი — (მთლად დამწუხრებულად) ჭვარი ისე დავიწერე, კურთხევა არ მითხოვია. სულ მივატოვე. მე აქ ვცეკვავდი, ბილიარდს ვთამაშობდი, ვმხიარულობდი, ის კი იჭდა მარტოდმარტო ცარიელ სახლში და ხმის გამცემიც არა ჰყავდა. (შეშფოთებული სალიერი წამოდგება).

სალიერი — ვოლფგანგი ვოლფგანგი, ჩემო ძვირფასო! ნუ კიცხავთ ასე თავს. მე დაგეხმარებით... მენდეთ... ყველგან და ყველაფერში თქვენთან ვიქნები. (მოყვარულ მამასავით ხელგებს გაუშლის, გულში რომ ჩაიხუტოს, მოცარტიც მზად არის ჩაეხვიოს, მაგრამ უკანასკნელ წამს თავს შეიკავებს, ავანსცენაზე გამოვარდება და მუხლს მოიდრეკს).

მოცარტი — მამა!

სალიერი — (მაყურებელს) ასე იშვა მამის შურისმაძიებელი აჩრდილი ობერაში „ლონ უუანი“.

(„ლონ უუანი“ უფერტიურის დასაწყისი — ორი პირქუში აკორდი — გაისმის თეატრში. დაჩოქილი მოცარტი შიშისგან შეკრთება და დაძაბულად იჭიროება დარბაზში. მცირე სცენის უკანა ფარდაზე გამოჩნდება წამოსასხამიანი და სამკუთხა ქუდიანი უზარმაზარი აჩრდილის სილუეტი. აჩრდილი მოცარტისკენ იწვიის ხელგებს. ვერ გაარჩევთ, ემუქრება თავის შემოქმედს, თუ ეპატივება.)

სალიერი — შურისმაძიებელი მამის ასეთ ძლიერ ტიპს ობერა ჯერ არ იცნობდა. იქვე იშვა მარად წამებული მონანიე. მაგრამ თავისუფლად მოაზროვნე კაცის სახეც. თავზარდაცემული შევცქეროდი და ვხედავდი, როგორ აქცევადა მოცარტი თავის ყოველდღიურ ცხოვრებას დიად ხელოვნებად. ჩვენ, ორივენი, უბრალო მოკვავანი ვიყავით, მაგრამ ის ჩვეულებრივს ლეგენდად აქცევადა... მე კი... მე კი ლეგენდებს — უფერულდება. (აჩრდილი გაქრება. სალიერი თავს და-

დგომია მუხლმოდრეკილ მოცარტს (ემუხუცი ყურებელს) განა არ შემეძლო, ეს ორთა ბრძოლა შემეწყვიტა და გულმოწყალება გამომიჩინა. შემეძლო, ჩემო მეგობრებო, შემეძლო. იმწამსვე, როცა მოვისურვებდი. ოღონდ, ერთის პირობით, ღმერთს ჩემსკენაც უნდა გადმოეხედა! ყოველდღე, სამუშაოდ რომ დაეჭდებოდი, შემოქმედს ვეშუღარებოდი; გესმით? მაინც ვეშუღარებოდი: ჩემი მუსიკა ღირსეულ შეყავ-მეთქი ...მე თვითონ მსურდა გამეგონა ჩემივე ღირსეული მუსიკა ერთხელ მაინც... სულ ერთადერთხელ... მაგრამ უფალმა ყურად არ იღო ჩემი ვედრება... და ისევ ვისმენდი ჩემს ორდინალურ, საცოდავ მუსიკას, ზეშთაგონების ნატამალსაც რომ ვერ აღმოუჩენდი! ვისმენდი მოცარტის მუსიკასაც... (ისმის ბრწყინვალე ტერცეტო „ნაზი სიო ქრის, ტალა არ იძვრის“, ობერიდან „ასე იქცევა ყველა ქალი“) მადლმოფენილ მუსიკას, ვერაფერი რომ ვერ დააღწოხს და სულ ცისკენ რომ ილტვის! მოვისმინე კომიკური ობერა „ასე იქცევა ყველა ქალი“, რომელიც ორი დღის ცდუნებაზეა დაწერილი, რომლითაც უკვდავყო ალოიზა და კონსტანცია და ჩვეულებრივი დები ქალღმერთებად აქცია. სამოთხის საგალობლებზე ტკბილად აუღერდა მათი არიები მგზუნებარე სიყვარულზე. (სიმწარით, ღმერთს) ღმერთო! შემეწყნარე მე! მოწყალედ შექმენ! (ღვთის მაგიერ) „არა, არა და არა! შენისთანები არ მჭირდება. სალიერი! სჯობს საერთოდ დადუმდე. მე მოცარტი შეყავს! გასაგებია?“ ხახა-ხა-ხა-ხა! (მუსიკა შეწყდება) და თვითონ მალაღმა ღმერთმა ზუსტად მოცარტით მკვეთრად და ჭიხვინით გადაიხარხარა. არა, ამას ბოლო უნდა მოელოს! კი, მაგრამ როგორ? ერთი გზაა დარჩა. მოხვედლს შიმშილით უნდა ამოვხადო სული. შიმშილი განდევნის ღვთიურ სხივს. მისი სხეულიდან! სიღარიბის მორევში უნდა ამოვაბრჩო!

## 9. მენა და შიონბერუნის სასახლე

მოცარტი ძლივს წამოდგება. მუცელი ხელით უჭირავს.

სალიერი — (მოცარტს) როგორ ბრძანდებით, შერ მოცარტ?

მოცარტი — ცუდად. ფული აღარა მაქვს და ვერც ვშოულობ.

სალიერი — მაგას ნუ სწუხართ. აქ არა ვარ, დაგეხმარებით. (ნათდება მცირე სცენა და იმპერატორი თავის ოქროსფერ გარემოში).

იოსებები — რაიმე ადგილი გამოვუნახოთ.

სალიერი — (მაყურებელს) იყო კიდევ ადამიანი, ვისაც შეეძლო ჩემთვის ხელი შეეშალა: იმპერატორი! (იმპერატორს ეახლება) შესაფერი ადგილი არა გვაქვს, თქვენო უდიდებულესობავ!

იოსებები — გლიუცი ხომ გარდაიცვალა. მივცეთ კამერმუსიკოსის თანამდებობა.

სალიერი — (შოკირებული კაცის იერით) გლიუცს მოცარტი შეცვლის?

იოსებები — რაღაც უნდა მოვუხერხოთ, თორემ ხომ იცით, რა შხამიანი ენა აქვს? ქვეყანას შემეიყრის, გამომაგდო.

სალიერი — თუ ასეა, მიეცით გლიუცის ადგილი, ოღონდ სხვა ხელფასი დაუნიშნეთ. გლიუცისა და მოცარტის შესაძლებლობებს ერთი ფასი არა აქვს.

იოსებები — გლიუცი ორი ათას ფლორინს იღებდა. მოცარტს რამდენი მივცეთ?

სალიერი — ორასი. დიდი ხელფასი არ არის, მაგრამ არც საქმე ექნება ბევრი.

იოსებები — მართალს ბრძანებთ. დიდად დამავალეთ, ჩვენო კარის კომპოზიტორო.

სალიერი — (თავს უყრავს) მოხარული ვარ, გემსახუროთ, თქვენო უდიდებულესობავ.

(სინათლის წრე შორდება იოსებს, თუმცა, იმპერატორი ადგილზე ზის. სალიერი მოცარტს დაუბრუნდება. მაყურებელს) ყველაფერი იოლად მოეწყო. ვისაც სურს, ხალხს გულუხვი ეგონოს,

ერთი რამით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს: საშინლად ძუნწები არიან. იოსებები მთავარ რეც ასეთი იყო. (მოცარტი მუხლს იდრეკს იმპერატორის წინაშე).

იოსები — შერ მოცარტ, ვუ ნუ ფეტონიორ! თქვენი სამსახური ჩვენთვის დიდად პატივია! (განათება იცვლება. მოცარტი ავანსცენაზე გამოდის)

მოცარტი — შეურაცხყოფა და ასეთი?! ყველა კრეტიწმა იცის, რომ ამ ხელფასით თავსაც ვერ შეინახავს კაცი.

სალიერი — ძვირფასო მოცარტ, ეს ხომ სიმბოლური შესტია?!

მოცარტი — ქაბუკობისას სათუთუნებს მაძლევდნენ; ახლა სიმბოლოებზე გადავიდნენ! სამაგიეროდ, ფეიერვერკებზე უნდა ვაბრაახუნო: ბრახ! ბრუხ! და კონტრდანსებზე ვახაკუნო — ჩხაკ! ჩხუკ!

სალიერი — რომ მცოდნოდა ასე გაბრაზდებოდით, იმპერატორს აღარ ვთხოვდი...

მოცარტი — ამას თქვენ უნდა გიმაძლოდეთ?

სალიერი — სამწუხაროდ, მეტი ვერაფერი გვაგადებინე ხელიდან...

მოცარტი — მანაკითე... საბოლოოდ დავრწმუნდი: თქვენ კეთილი კაცი ხართ; მე კი — ნამდვილი იდიოტი. (ხელს გამოსტაცებს)

სალიერი — არა, ძალიან გთხოვთ, ნუ იკადრებთ!

მოცარტი — ახია ჩემზე! გამაწითლეთ. შემარცხვინეთ... თქვენ... თქვენ კარგი... კაცი ხართ!

სალიერი — (ცდილობს ხელი გაითავისუფლოს) არა, არა და არა! კი, მაგრამ ასე რამ გაგახელათ?! დაწყნარდით, გთხოვთ. (იმპერატორის მიბაძვა მოცარტს აახარხარებს, იცინის სალიერიც. უცებ მოცარტი ორად მოიკეცება და კენესის) ვოლფგანგ, რა დაგემართათ, ვოლფგანგ?

მოცარტი — არაფერი... თითქოს მუცელში დანა დამისვეს. ხდება ხოლმე...

სალიერი — ძალიან ვწუხვარ.



მოცარტი — მამატიეთ... ახლავე გა-  
მივლის...

სალიერი — ნება მიბოძეთ, გამოგე-  
თხოვოთ.

მოცარტი — ნახვამდის.

სალიერი — ჩემთან რატომ არ შე-  
მოივლით?

მოცარტი — აუცილებლად გინახუ-  
ლებთ... გეფიცებით...

სალიერი — ბენე.

მოცარტი — ბენე.

სალიერი — ჩემო მეგობარო! ჩემო  
ახლადშეძენილო მეგობარო! (მოცარტი  
კმაყოფილებით ხათხითებს და გადის.  
პაუზა. მაყურებელს) სულ ცოტა ხანში,  
ღმერთს შესაძლებლობა მიეცა, გამსწო-  
რებოდა. ღვთის რისხვას ველოდი კიდევ,  
მაგრამ სულ სხვა რამ მოხდა. იმპერა-  
ტორის კარზე მოცარტის კარიერა ჩავაგ-  
დე თუ არა, ღმერთმა დამაჯილდოვა.  
აღსრულდა ჩემი უველაზე პატივმოყვა-  
რული ოცნება. (შემობრბიან თავქარიანე-  
ბი)

პირველი — კაპელმაისტერი ბონო...  
მეორე — კაპელმაისტერი ბონო გარ-  
დაიცვალა! (სალიერი ელდისაგან პირს  
დააღებს)

პირველი — (სალიერის) თქვენ ინიშ-  
ნებით...

მეორე — ხელმწიფის ბრძანებით...

პირველი — ბონოს ადგილზე დაი-  
ნიშნოს! (იქაურობა გაჩახახადება და  
მცირე სცენაზე იმპერატორს გაანათებს.  
იოსების აქეთ-იქით ხატებივით დგანან  
შტრეკი და ორსინი — როზენბერგი)

იოსები — (ოფიციალურად მიმართავს  
სალიერის, რომელიც მისკენ შებრუნდე-  
ბა და თავს დახრის) იმპერატორის პირ-  
ველი სახელმწიფო კაპელმაისტერი!

(თავქარიანები ტაშს უკრავენ)

პირველი — ბრავო!

მეორე — ბრავო!

როზენბერგი — ევივა, სალიერი!

შტრეკი — ყოჩაღ, სალიერი!

იოსები — (თბილად) ჩემო ძვირფასო

სალიერი! დიახ... საერთოდ კი... აი, ახლა!  
(სასახლეში სინათლე ქრება. იმპერატორი  
და მისი მსუბუღეები სიბნელეში გა-  
დიან სცენიდან)

სალიერი — (მაყურებელს) ძალიან  
შევფიქრიანიდი: დაუსჯელი როდემდე და-  
ვრჩები?

პირველი და მეორე — გილო-  
ცავთ, მესტრო!

პირველი — ამ ბოლო დროს თუ  
შეგხვედრიათ მოცარტი? საშინელი შე-  
სახედავია!

მეორე — ალბათ, ნაღველა აწუხებს.

პირველი — წამლებით იჭყიპებაო.

სალიერი — რა სჭირს?

მეორე — შური, ჩემო ბატონო, შური!

პირველი — მეორე ბავშვის ელოდე-  
ბიანო!

მეორე — ელოდებიან, აბა რა! ერთ  
ვერსზე უჩანს გამობერილი მუცელი!

### 10. პრანტიმის პარაში

უკანა ფარდაზე ამწვანებული ხეების  
პროექციაა. ყვითელი სხივები ღურჭი  
ფერის დეკორაციებს ღია მწვანედ აქცე-  
ვენ. ხელკავით შემოდიან მოცარტი და  
კონსტანცია, რომელიც დღე-ღღზე ელო-  
დება ბავშვის დაბადებას. ძველი პალტო  
და კაპორი აცვია. მოცარტსაც ღარიბუ-  
ლად აცვია. სალიერი თავქარიანებათ  
ერთად სეირნობს.

სალიერი — შემდგომ ჩვენ პრატერის  
პარკში შევხვდით მოცარტს.

მოცარტი — (სალიერის) მომილო-  
ცავს, მესტრო!

სალიერი — გამაღობთ, თქვენც გამა-  
ღობთ, კონსტანცია. (მაყურებელს) ერთი  
შეხედვითაც ცხადი იყო, რომ ქანმრთე-  
ლობა საგრძნობლად შეერყა. თვალები  
ძალღვივით უბრწყინავდა, თითქოს სინათ-  
ლის სხივი ეცა უეცრად. (მოცარტს) ჩე-  
მო მეგობარო, მითხრეს, ავად არისო.  
(კონსტანციას თავს დაუკრავს, ქალი რე-  
ვერანსით უპასუხებს).





მოცარტი — მართალი უთქვამთ. ტკივილი აღარ მეშვება.

სალიერი — რა უბედურებაა? საინდანი რა არ დააცხრება ადამიანს?!

მოცარტი — უძილობავ მტანჯავს... საშინელ სიზმრებს ვხედავ.

კონსტანცია — (აფრთხილებს) ვოლფერლ!

სალიერი — რა სიზმრებია ასეთი?

მოცარტი — სულ ერთიდაგივე: თალხწამოსასხამიანი აჩრდილი მიხმოზს. (ნელა დაიქნევს ხელს, თითქოს ვილაკას ეპატიყება) სახე არ უჩანს. ნიღაბი უკეთია. (ნერვიულად იცინის) ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს?

სალიერი — სიზმრებისა გჭერათ?

მოცარტი — არა, მაგრამ...

სალიერი — თქვენ, მადამ?

კონსტანცია — (ცივად) მე სიზმარი ჯერ არ მინახავს, ჩემო ბატონო. უსიამოვნება ისედაც არ მაკლია. (სალიერი ემშვიდობება).

მოცარტი — რა თქმა უნდა, ეს სიზმრები ფანტაზიის ნაყოფია.

კონსტანცია — (ცივად) ჩვენო პირველო კაპელმაისტერო, ვოლფგანგს შესაფერი თანამდებობა რომ ჰქონდეს, არაფერი აღარ დასიზმრებოდა.

მოცარტი — (შეცბუნებული ხელკავს გამოსდებს მეუღლეს) მმარა, გეყოფა, გეთყვამ! მოგვიტყევთ, მამსტრო... წავიდეთ, ჩემო კარგო... მადლობა ღმერთს, ჯერ ისევ სრულ ჰქუაზე ვარ... (ცოლ-ქმარი გადის)

პირველი — დღითიღვე სულ უცნაურად და უაზროდ იქცევა.

მეორე — მართალსა ბრძანებთ.

პირველი — უსახური თალხი მოჩვენებებიო!

სალიერი — (მოცარტს თვალს აყოლებს) მამა ახსენდება... საქმეც ცუდად მიუღის.

პირველი — ბიან ისევ გამოიცვალეს.

მეორე — რაუნშტიინჰაუსეზე, 970 ნომერ სახლში გადავიდნენ.

პირველი — ისე იქცევა, თითქოს, იმედი გადაეწურა.

მეორე — სადღაც, ჭურღმულში ცხოვრობენ.

სალიერი — კი, მაგრამ... ხელფასის გარდა სხვა შემოსავალი არა აქვს?

პირველი — არავითარი.

მეორე — მითხრეს, მათხოვრობსო.

პირველი — მასონთა საძმოს ოცი წერილი მისწერაო.

სალიერი — მართლა?

მეორე — სამომო გადაწყვიტა, დაეხმაროსო.

სალიერი — (მაყურებელს) დაეხმარებიან კიდევ! ეს მასონები როგორ გამოირჩა მხედველობიდან? რა სულელი ვარ! მასონებმა ჯიბეზე თუ გაიკრეს ხელი. მოცარტს შიშშილი ველარაფერს დააკლებს. მასონებმა იციან ძმების დახმარება. ეს არ უნდა მოხდეს! სასწრაფოდ უნდა ჩავშალო ეს საქმე!

პირველი — ლორღი ფუგა გაუნაწყენებია.

სალიერი — კარგია!

### 11. მასონთა ლოჯაში

სცენაზე ეშვება მასონური სიმბოლიკით მონატული ოქროს უზარმაზარი ემბლემა. შემოდის ვან სვიტენი. შავ ტანსაცმელზე მასონური წინსაფარი გადაუვცამს. მარცხნიდან შემოდის მოცარტი. მასაც მასონური წინსაფარი აცვია. ტრადიციული ძმური მისალმება.

ვან სვიტენი — (პირქუშად) ასე არ ივარგებს, ჩემო ძმაო. ჩვენი ლოჯა მეწველი ძროხა კი არ არის?!

მოცარტი — მაშ, რას მიბრძანებთ? როგორ მოვიტყე?

ვან სვიტენი — კონცერტები გამართეთ.

მოცარტი — თაყვანისმცემლები აღარ მყავს, ბარონ. მოდაში აღარა ვარ.

ვან სვიტენი — მერე, გიკვირთ? უგემოვნებო, შეუტრაცხმყოფელ კომედიებს წერთ და რა თაყვანისმცემელი შე-



გრჩებათ? ხომ გაფრთხილებდით... გირჩევდით...

მოცარტი — (ძორჩილად) მართალია, მაფრთხილებდით, სწორ რჩევასაც მაძლევდით... (უცებ მუცელზე წაივლებს ხელს)

ვან სვიტენი — ხვალ ბახის რამდენიმე ფუგას გამოგიწავნით. ჩემს სასახლეში საკვირაო კონცერტს ვმართავ და არანაყოფიერებას გამიკეთებთ. ამაში რაღაც ჰონორარიც გერგებათ.

მოცარტი — გმადლობთ, ბარონ. (ვან სვიტენი გამოემშვიდობება და გავა. სალიერი წინ წამოდგება. მოცარტი უყვირის ვან სვიტენს) კი, მაგრამ ბახის არანაყოფიერებით ვიცხოვრო?!  
სალიერი — (ირონიულად) ქვეყანამ იცის, რომ ბარონი გულუხვი კაცია!

მოცარტი — ეს დავლება მაინც უნდა შევასრულო, თორემ მასონთა ლოჟა თუ ამიხედრა, გათავებულა ჩემი საქმე. ეხლა მე მასონები მინახავენ.  
სალიერი — ძალიანაც კარგი!

მოცარტი — აი, ნახეთ, ამ საშინელ სიღარიბეს თავი თუ არ დავადწიე! შეიკანდერმა ერთი მშვენიერი წინადადება შემომთავაზა. შეიკანდერს ხომ იცნობთ? ისიც მასონია.

სალიერი — შეიკანდერი... შეიკანდერი... მსახიობი რომ არის?

მოცარტი — დიახ... გარეუბანში ერთი პატარა თეატრი აქვს...

სალიერი — თეატრი კი არა — მიუზიკ-ჰოლი.

მოცარტი — დიახ, დიახ. მთხოვა, ვოდევილი დამიწერეო... რაიმე ისეთი... უბრალო ხალხისათვის... ხომ მშვენიერი აზრია? შემოსავლის ნახევარს მაძლევს.

სალიერი — ავანსად რამდენი გერგოთ?

მოცარტი — ფული ჭერ არა აქვს. მაგრამ ის მამხნეებს, რომ პოპულარული, ყველასათვის გასაგები მუსიკით, ბოლოსდაბოლოს, მასონურ იდეებს გამოვხატავ.

სალიერი — შესანიშნავი აზრია! ერთი მითხარით, თვითონ მასონებს რატომ არ გამოიყვანთ სცენაზე?

მოცარტი — მასონები ოპერაში? შეუძლებელია! (სალიერი იცინის, ვიხუმრეთ) თუმცა, ურიგო რჩევა არ უნდა იყოს!

სალიერი — (სერიოზულად) ვოლფგანგ, გახსოვდეთ: მასონთა რიტუალები გასაიდუმლოებულია.

მოცარტი — ზუსტად კი არ აღვწერ, გადავასხვავებ.

სალიერი — ეგ სხვა საქმეა... ამით მასონთა უღიადეს მიზნებს უკეთილშობილეს სამსახურს გაუწევთ.

მოცარტი — უპირველეს ყოვლისა, ძმური სიყვარულს ვადიდებ!

სალიერი — დიახ, დიახ, უპირველეს ყოვლისა, ძმური სიყვარული უნდა აღიღოთ! (შემობრუნდებიან და პატივისცემით შესცქერიან მასონთა ემბლემას. სიყვარულით) გამხნევდით, ვოლფგანგ. მშვენიერი იდეა დაგებადათ. სცადეთ. ცდა ბედის მონახევრეა.

მოცარტი — მეც ასე ვფიქრობ.

სალიერი — ოღონდ, არავის არაფერი უთხრაო.

მოცარტი — კრინტს არ დავძრავ.

სალიერი — (მტევანს მუშტად შეკრავს) ეს ჩვენი საიდუმლო იყოს!

მოცარტი — (ასევე მოიქცევა) საიდუმლო — სამარის კარამდე!

სალიერი — ყოჩაღ! (ავანსცენაზე გადის. მაყურებელს) ესაც თუ არ წააჩხუბებ მოცარტს მასონებთან, ღვთის ნება ყოფილა და ეგ არის!! (ოქროს ემბლემას ასწევენ. გვესმის მონოსტასისა და მოჯადოებელი მონების ცეკვა „ჯადოსნური ფლავტიდან“. ზანზალაკების წყრილში მსახურებს შემოაქვთ ხის გრძელი მაგიდა. მაგიდაზე ხელნაწერები, ცარიელი ბოთლები და გადმობრუნებული ტაბურეტი დევს. მაგიდას მაყურებლის პერპენდიკულარულად დადგამენ. სცენის სიღრმიდან გამოდის დაღლილი კონსტან-



ცია. ეს მოცარტების ბინაა რაუნშტიინ-  
პანსეზე. კონსტანციას მუცელი აღსატუ-  
რებს, რომ დღე-დღეზე ბავშვს ელის.  
მარცხნივ სხვა მსახურთ შემოაქვთ მო-  
ოქროვილი შავი და სკამები. შავიდა-  
ზე ტბილეულითა და ნამცხვრებით საესე  
ლარნაკებია; ეს სალიერის სალონია; ორი-  
ვე ბინა ერთდროულად მოჩანს. ემბლე-  
მა აწვევა თუ არა, გამოდანი თავქარი-  
წყბა).

12. მოცარტის ბინა. სალიმონის  
სალონი

პირველი — მოცარტი ძალიან კმა-  
ყოფილია!

მეორე — რაღაც ოპერასა სწერს, მაგ-  
რამ ფრიად საიდუმლოდ!

პირველი — არავის არაფერს უმხელს!

მეორე — გააწყალა გული (გადიან)

სალიერი — მე კი ყველაფერი მია-  
ბო. საოცარი სიზუსტით აღწერს მასო-  
ნთა კურთხევის ცერემონიას, ახვეული  
თვალეებით ზიარებას, მასონების ყველა-  
ზე საიდუმლო რიტუალებს. თავად ითხ-  
რის სამარეს. ცხოვრება კი მინც უჭირს  
და მისი ყოფა სულ უფრო აუტანელი  
ხდება.

(სცენის საღრმეში მოოქროვილ სკა-  
მზე ჩამოვდება და ხარბად შეექცევა  
ტბილეულს. მოცარტი მაგიდას უზის,  
საბანი მოუხურავს და წერს. მოცარტის  
პირდაპირ მობუზული თევშალწამოსხმუ-  
ლი კონსტანცია ჩამომქდარა).

კონსტანცია — მცავა. მთელი დღეა  
სიცივისაგან ვკანკალებ... რა ვქნათ? შე-  
შა აღარა გვაქვს?

მოცარტი — მართალი იყო მამაჩემი:  
სიღატაკეში ამოგვხვდება სული.

კონსტანცია — მამაშენის ბრალია  
ყველაფერი!

მოცარტი — რატომ?

კონსტანცია — ბავშვად დაგტოვა...  
ნება არ მოგცა, გავრდილიყავი.

მოცარტი — რას ანობ? შენ ხომ  
მამა ყოველთვის გიყვარდა?!

კონსტანცია — მე? მე მიყვარდა  
მამაშენი?

მოცარტი — დიახ... არ გახსოვს, სულ  
მეუბნებოდი, რა კარგი, რა საყვარელი  
კაცი...? (მცირე პაუზა)

კონსტანცია — (მკვებედ) მამაშენი  
ყოველთვის მეზიზღებოდა!

მოცარტი — რა?

კონსტანცია — იმასაც ვეზიზღებო-  
დი!

მოცარტი — ტყუილია! სისულელეა!  
იმას ორივე ვუყვარდი... და ძალიანაც.

კონსტანცია — მე ვამბობ სისულე-  
ლე?!

მოცარტი — (შემბრიგებლურად) დიახ,  
ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ერთადერთო!

კონსტანცია — გახსოვს! გუშინ ბუ-  
სარი რომ გავახურე? ისე ციოდა, მელა-  
ნი გაცივდა. ეს რა ცეცხლი დანათო,  
რომ მეუბნებოდი, გახსოვს? ბუხარში  
ძველი ქაღალდები იწვოდა. გამოგი-  
ტყუებ, ჩემო ძვირფასო: ის ქაღალდე-  
ბა მამაშენის წერილები იყო, რაც კი  
ჩვენა ქორწინების დღიდან მიგვიღია.

მოცარტი — (ყვირის) რაო?

კონსტანცია — ის ქაღალდები მა-  
მაშენის წერილები იყო. ერთიც არ დავ-  
ტოვე. ყველა დავწვი. „ცუდი ცოლი  
გყავს, ცუდი მეურნე, მფლანგველი, ცუ-  
დი დიასახლისი!“ ყველა წერილში ეს  
ეწერა. დავწვი, დავწვი, დავწვი, აბა რას  
ვიზამდი?!

მოცარტი — (ყვირის) სტანცი!

კონსტანცია — მიმიფურთხებია მა-  
გაშენისთვის! მიმიფურთხებია!

მოცარტი — გაჩუმდი, შე ნავაგო!

კონსტანცია — (ბრაზმა აიტანა) ცო-  
ტა ხომ მინც გავთბით! აბა, ისე გავი-  
ყინებოდი! თუმცა, ცეკვითაც შეიძლე-  
ბა გათბობა! ვოლფერლ, შენ ხომ ცეკ-  
ვისათვის გიუდები! მოდი, ვიცეკვოთ! (მე-  
დიდრურად) დამიწერეთ კონტრდანცი, მო-  
ცარტი! ცეკვების წერა შენი უპირველესი  
ვალაია! (ისტერიკაშია, დასტაცებს ხელს  
ხელნაწერებს და იატაკზე მოაბნევს. კა-



ბეს მუხლებზემოთ აიწევს და ცეკვავს  
შეშლალი გლეხი ქალივით „ანცი, პატარა,  
ხეკეკა ბაჟის“ თემაზე თაქრიდან „ფი-  
გაროს ქორწინება“. თან ველური ხმით  
მღერის)

ნონ პიუ ანდრაი, ფარფალონე ამორაოზო  
ნოტე ჭორნო დინტორნო ჭირანდო!  
(ანცი, ხუჭუჭა შეყვარებული,  
აღონისი, აღერსით დამთვრალი!)

მოცარტი — (ღრიალებს) გაჩუმდი!  
გაჩუმდი (ეხვევა) სტანცი-მარინი! სტან-  
ცი-ბინი! თუ შეიძლება, გაჩუმდი! ძალი-  
ან ვთხოვ, გემუდარები! გეხვეწები! ჩუ-  
მად, ჩუ. მისმინე: ხედავ კოცნა მოქრის  
შენსკენ! ვერა ხედავ? აი, იმ კუთხიდან  
პოცელქობს და მონავარდობს! ოჰო, რამ-  
დენი ყოფილან! მეორეს თუ ხედავ,  
ტკბილზე უტკბილეს? ხედავ, პირდაპირ  
შენსკენ მოფრინავენ! კოცნას შენი კოც-  
ნა უნდა! კოცნას შენი კოცნა უნდა! (ქა-  
ლი უხეშად კრავს ხელს და ისევ ცეკ-  
ვავს. მოცარტი დაიჭერს, ეხვევა, მაგრამ  
ქალი ხელსა კრავს და ისევ მოიცილებს).  
კონსტანცია — მოშორდი! თავი და-  
მანებე! (პაუზა)

მოცარტი — მეშინია, სტანცი! ჩემს  
თავს რაღაც საშინელებაა!

კონსტანცია — აღარ შემიძლია,  
აღარ შემიძლია ამის ატანა!

მოცარტი — აგერ იქა დგას, ხედავ,  
იქ დგას და ხელს მიქნევს! (თვითონაც  
ხელს იქნევს გაფაციცებით) „წავიდეთ!  
წამოდი ჩემთან! გელოდები!“ სახე არც  
ეხლა უჩანს, ნიღაბქვეშ დაუმალავს! ყო-  
ველთვის მემალება! მემალება და მიახ-  
ლოვდება, სულ ახლოს მოღის, სულ ახ-  
ლოს... აღარ მეშვება!

კონსტანცია — გაჩუმდი, თუ ღმე-  
რთი გწამ! კმარა, კმარა! მეშინია... მე-  
შინია... ნუ მახინებ... იცოდევ, ასე თუ  
გააგრძელებ. მიგატოვებ... გეფიცები, მი-  
გატოვებ... აუცილებლად მიგატოვებ!

მოცარტი — (გაოგნდა) სტანცი!  
კონსტანცია — დაახ, მიგატოვებ;  
კარგად დაიმახსოვრე, რაც ვითხარი...

(ხელებს მუცელზე შემოიწყობს, თითქოს  
ჭინთვები ეწყება).

მოცარტი — შაპატიე! ო, ღმერთო,  
ღმერთო! შაპატიე! დამნაშავე ვარ, დამ-  
ნაშავე. დამნაშავე! მოდი ჩემთან, ჩემო  
სიცოცხლე, ჩემო სიყვარულო, ჩემო ერ-  
თადერთო! მოდი ჩემთან... მოდი... (იჩო-  
ქებს. ემუდარება. ისიც მიდის ძალდატა-  
ნებით. უნდობლად) აბა, ეხლა, მიპასუ-  
სე: ვინა ვარ მე? არა, ეგრე არა, მომეხ-  
ვიე და ისე მითხარა: ვინა ვარ?  
კონსტანცია — კატა-კატუნა!  
მოცარტი — კიდევ?

კონსტანცია — კატა-კრუტუნა!  
მოცარტი — ამას ვინ ამბობს! ჩემი  
წრეკუნა, ჩემი თაგუნია, სტანცი-მანცი,  
ჩემი ბინი-ბინი! (ქალი აპყვება)

კონსტანცია — ვოლფი-პოლფი.  
მოცარტი — პუპი-პიპი (იციინან)  
კონსტანცია — ოლონდ, ნულფი ისუ-  
ლელებ.

მოცარტი — (ბავშვით დაიჩემებს)  
მოდი, რა, მოდი, რა, „პოპი“ ვითამა-  
შო. აბა, მიდი! ვინ უფრო სწრაფად!  
ვინ უფრო ჩქარა! მიდი! (ისინი „თავის  
თამაშს“ თამაშობენ მუხლმოდრეკილები.  
თამაშის ტემპი თანდათან აჩქარდება)

კონსტანცია — პოპი.

მოცარტი — პეპი.  
კონსტანცია — (გამოაჯერებს) პე-  
პი.

მოცარტი — პაპა-

კონსტანცია — პაპა.

მოცარტი — პაპა-პაპა!

კონსტანცია — პაპა-პაპა!

მოცარტი — პაპა-პაპა-პაპა-პაპა!

კონსტანცია — პაპა-პაპა-პაპა-პაპა!

(თან ცხვირებს უხახუნებენ ერთმანეთს)

ერთად — პაპა-პაპა-პაპა-პაპა-პაპა!

პაპა-პაპა-პაპა-პაპა!

კონსტანცია — (მუცელზე ხელებს  
შემოიჭდობს და იკივლებს) ა-ა-ა-ო-ო-ო!  
მოცარტი — სტანცი! სტანცი! რა და-  
გემართა?! (შემორბიან თავქარიანები)



პირველი — ახალი ამბავი! ახალი ამბავი!

მეორე — კონსტანციაში მოილოცინა!

პირველი — მოულოდნელად!

მეორე — ვადაზე ადრე!

პირველი — ბიჭია, ბიჭი!

მეორე — საბრალო ბიჭუნა!

პირველი — დაიბადო და ისიც ასეთი რაახში?

მეორე — ასეთ ხუხულაში?

პირველი — ასეთ სიღარიბეში?

მეორე — და თანაც შშობელი მამა ისევ ბაღში გაუვდეს?! (ამასობაში კონსტანცია წამოდგება, მოიხდის ხალათს და მუცელიც გაუქრება. შემობრუნდება. ნაღვლიანი მიემართება სცენის სიღრმისაკენ და გავა. მოცარტი ჯერ უკან მიყვება, მაგრამ უცებ შეშფოთებული შეჩერდება).

პირველი — ეხლა კი ამბობენ...

მეორე — ამბობენ, ვითომ...

პირველი — ამას გარდა, კიდევ რაღაც მოხდაო.

მეორე — უფრო უცნაურიო. (მოცარტი ბოთლს დააველებს ხელს და სალიერის სალონში შედის)

მოცარტი — (სიგიჟემდე გაათრებული) მიმატოვა!

სალიერი — რას მეუბნები?! (თავქარიანები გავლენ. მოცარტი, თავის ბოთლიანად ერთ-ერთ მოოქროვილ სკამზე დაჯდება)

მოცარტი — წავიდა. მითხრა, მალე დავბრუნდებიო. თან პატარაც წაიყვანა. ბადენ-ბადენში. სამკურნალო წყლები მომიწოდო. სულ უფულოდ ვრჩებიო.

სალიერი — რატომ? რატომ?

მოცარტი — რას ვერჩი, კონსტანცია მართალია: ჰგონია, რომ გავგიჟდი.

სალიერი — არა მგონია...

მოცარტი — ეგებ, მართლაც გავგიჟდი... სულ მეჩვენება, რომ...

სალიერი — ვოლფგანგ!

მოცარტი — (ძალიან ღელავს) უნდა ვიამბოთ, თქვენს მეტი ვინ მყავს. წუ-

ხელ, ღამით, ისევ ვნახე ის აჩრდილოეთში მოჩვენება... გახსოვთ, სიზმარში ვხედავ-მეთქი, რომ გეუბნებოდიო! მაგრამ ამჯერად არ მეძინა! (უფრო აღელდა) იდგა ჩემს მაგიდასთან თავის თაღს ტანსაცმელში, უსახური, რასაკვირველია, ნიღაბ აფარებული... და დამელაპარაკა: „ვოლფგანგ მოცარტი! რეკვიემი უნდა დაწერო მესისათვის. აიღე ეგ ბატის ფრთა და საქმეს შეუდევი“.

სალიერი — რეკვიემიო?

მოცარტი — დიახ. შევეკითხე, ვისთვის გინდათ ეს რეკვიემი, ვინ გარდაიცვალა მეთქი. მეორედ რომ მოვალ, ნაწარმოები მზად უნდა იყოს, მიბრუნდა და წავიდა.

სალიერი — ჩემო მეგობარო! რა შავი ხილვები გქონიათ?

მოცარტი — არა, არა! ეს ხილვა არ იყო. თუმცა, არ ვიცი... აღარაფერი მესმის! ნუთუ, მომეჩვენა? თუ ასეა, აღარ მიკვირს, სტანცი რომ გაემგზავრა. შევაშინე... შეშინდა... შეშინდა და გამექცა. „ჯადოსნური ფლიტის“ პრემიერას ვერ დაესწრება.

სალიერი — დაამთავრეთ? ასე სწრაფად?

მოცარტი — დიახ. მუსიკის წერას რა უნდა?! ცოლთან ურთიერთობა ყოფილა უკვალოდ დატოვებული!

სალიერი — დიდი სიამოვნებით მოვისმენდი თქვენს ახალ ქმნილებას.

მოცარტი — მართლა მოხვალთ? მაგრამ ის თეატრი თქვენი ღირსი არ არის. უბრალო მიუზიკ-მოლია... არც დიდებულები იქნებიან...

სალიერი — ეგ სულერთია. თქვენს ნაწარმოებს ნებისმიერ გარემოში მოვუსმენ. ვიცი, რომ ამ პრემიერაზე დასწრებით მეუღლის მაგივრობას ვერ გავიწყვთ, მაგრამ ისიც ვიცი, ვინც ამას შესძლებს. (აღგება, მოცარტიც წამოდგა)

მოცარტი — ვინ არის ასეთი?

სალიერი — კატარინას მოვიყვანე! ვაგართობთ მინცი!



მოცარტი — კატარინას?

სალიერი — მახსოვს, მასთან ყოფნა გსიამოვნებდათ. (მოცარტი მხიარულად იცინის. შემოდის მდიდრულად ჩაცმული კატარინა კავალიერი; გასუქებულია. მოცარტს რვეერანსს უყეთებს და ხელკავს გამოსდებს)

მოცარტი — (თავს დაუხრის) სენიორა!

სალიერი — (მაყურებელს) და ჩვენ სამივენი თეატრში ერთად წავედით. საოცარი ტრიოა, ხომ მართალს ვამბობ? (მოცარტი და კავალიერი „იყინებიან“) სასახლის პირველი კაპელმაისტერი — კატასავით შემპარავი; მისი საყვარელი — ჩამარგვადებული მომღერალი ფრთიანი შლაპით, როგორც გამოჩენილ მსახიობს შეეფერება. და შერეილი მოცარტი — საკმაოდ მთვრალი იაფფასიანი ღვინით, რომლის სმასაც შეეჩვია. (მოცარტი და კავალიერი „ცოცხლდებიან“) აი, ჩვენი ტრიო, რომელიც გაემგზავრა პრემიერაზე ქალაქის გარეუბანში, სადაც, ჭურღმულში, გადაკარგულ პატარა მიუზიკ-პოლში.

13. ვანიდენის თეატრის სცენაზე

ავანსცენაზე ორ მერხს დადგამენ. უეცრად ხმაური ისმის. გერმანელი მუშების ჯგუფი სცენის სიღრმიდან მერხებისკენ მოიწევს. ამ ჯგუფში იჭყლიტება ჩვენი ტრიო. გრძელ მაგიდას ახლა სცენის გასწვრივ დადგამენ და იმასაც ხმაურით შემოუსხდებიან მუშები. ისინი თან ძეხვისა ჰამენ და თან ყალიონს აბოლებენ. შეუმჩნეველად შემოდის ბარონი ვან სვიტენი და მოშორებით დადგება.

მოცარტი — მკაცრად ნუ განმსჯით. ასეთი რამ პირველად დავწერე. (ტრიო პირველ მერხზე ჯდება: გამხდარი, გაყვირებული მოცარტი, წითელლოყება, აჭრელებულ ტანსაცმელში გამოპრანქული კავალიერი და პირველი კაპელმაისტერი, — ყოველთვის ელეგანტური სალიერი).

სალიერი — მოცარტმა ინება ჩვენს უბრალო მუშა გერმანელებში ჩახსენდით. ძეხვისა და ოფლის ერთმანეთში არეული გოჯოხეთური სუნი იღვამ (კავალიერი მგმობიარე ცხვირზე ხელსახოცს იფარებს. მოცარტს) ეს უკვლავიერი ძალიან საინტერესოა ჩემთვის, ვოლფგანგ!

მოცარტი — (ბედნიერი ღიმილით) მოგწონთ?

სალიერი — (იქაურობას მიათვალერებს) დიან! ასეთი მაყურებლისთვის მართლაც, ღირს თავდადებული მუშაობა და წერა! მთქნარებით უბები რომ ეხევათ, ჩვენს ზარმაც და მოწყენილ დიდებულებს კი არა ჰგვანან! თქვენ ჩვენი გზისმკვლევია ხართ, როგორც ყოველთვის. (სცენაზე მყოფნი გაისუსებიან. მაყურებელს) ისე მოხდა, როგორც ველოდი: ჩემი ამყრალებული მეზობლები ყოველ ხუმრობაზე სიცილით კვდებოდნენ... (სცენაზე ამოძრავდებიან და იცინიან) ამ ბრბოში მხოლოდ მე განვცაადე „ჯადოსნური ფლეიტის“, მართლაც, მომჩაღრვებელი ზემოქმედება. (სცენაზე ისევ „იყინებიან“. ეღვრს მეორე აქტის დასასრულის დიდებული ჰიმნი: „დიდება თქვენ, კურთხეულნი“) კომპოზიტორმა მასონები მართლა შემოიყვანა ოპერაში. ალბათ, გაინტერესებთ, როგორ? მოცარტმა ისინი სიეთის მარადიულ მ'ახსურთა ორდენად გადააქცია. მესმოდა გალობანი უძველეს ტაძრებიდან, ვხედავდი მზის უშველებელ დისკოს, პირველყოფილ დედამიწას რომ დანათოდა. მხეცები ცეკვავდნენ, ბაღლები კი ცაში ნავარდობდნენ. ყოველგვარი ნაღველი და შხამი, ერთმანეთს სიცოცხლეს რომ ვუშწარებთ, მზის ცხოველყოფილმა სხივებმა ამოსწვეს და შთანთქმეს! (მეორე სცენაზე ამოდის მზის უშველებელი დისკო. მზის ფონზე მოჩანს ბრწყინვალე სილუეტი ქუჩისა, ჩვენსკენ ხელები რომ გამოუწვდია და სამყაროს ლოცავს) მზის სხივებში მოულოდნელად თვალი მოკვარი



მოცარტის მამის სახეს. შეხედეთ, შეხედეთ, ხომ ხედავთ?! მამა აღარ გვკიცხავდა ის ყველაფრის მიმტკეპელი გახდა. სწორედ ის იყო ორდენის უმთავრესი ქურუმი, სიყვარულით აღსავსე, სამყაროსაკენ გამოწვდილი ხელებით. ვოლფგანგს მამამისის აღარ უშინოდა. ამიტომაც ახალი ლეგენდა შექმნა! მოლივლივად მუსიკის ხმებში იდგა მოცარტის მიერ ახლად შექმნილი სიმშვიდე — ჩემი უთავბოლოდ და უსასრულოდ ტანჯული სულის მეტოქე! აი, სად ყოფილა დამარხული ჯადოსნური ფლეიტა! აქვე, ჩემს გვერდით, (მოცარტზე უთითებს) სულ ახლოს! (ტაში. აღელვებული მოცარტი სკამზე შეხტება, მაყურებელს თავი რომ დაუქრას. შემდეგ ჩვენსკენ შემობრუნდება. ხელში ისევ ის ბოთლი უჭირავს. ფართოდ გახილული თვალები წინ იმზირებთან. ყველა ადგილზე „ქვავდება“) დიახ. მოცარტი იყო დაუნდობელი დამკვრელის, ღმერთის ჯადოსნური ფლეიტა! ნეტავ, რამდენ განსაცდელს გაუძლებს კიდევ ეს სუსტი, უღონო, ნაღდად მოკვდავი შემოქმედი? რა მემართება? რაა შეძრა ჩემი სული? ნუთუ, სიბრაულემა? არა! არასოდეს!!!

ვან სვიტენი — (ეძახის) მოცარტ! (ძლივს იკვლევს გზას მოცარტისაკენ. გააფთრებულია)

მოცარტი — (სიხარულით მიუბრუნდება, ესალმება) თქვენც აქა ხართ, ბარონ? რა კარგია, რომ მობრძანდით.

სალიერი — (მაყურებელს) ბევრი ვიმუშავე, რომ მობრძანებულიყო!

ვან სვიტენი — (გაცოფებული) ეს რა ჩაიღინეთ, მოცარტ?!

მოცარტი — რა ჩავიღინე, თქვენო ბრწყინვალემა?

ვან სვიტენი — რად გამოაქენეთ ჩვენი წმინდათაწმინდა რიტუალები ამ ვულგარულ ოპერაში?

მოცარტი — ჩემო ბატონო...

ვან სვიტენი — ქვეყნის დასაცინი გავგზადეთ! თქვენ ორდენს უღალატეთ!

მოცარტი — (ძალიან შეშინდა) ბარონ გეკადრებათ!

სალიერი — თუ ნებას მომცემთ, ბარონ, კოლეგას ორიოდ სიტყვას შევაწევ.

ვან სვიტენი — ნუ ექომაგებით ამას, სალიერი! (მოცარტს, სუსხიანი სიძულვილით) თქვენ მიაშობი, გამოუსწორებელი. ვულგარული კაცი ხართ; გულით რომ მიწდოდეს, ვერ დაგეხმარებით; ეს უიმედო, სულმღერი განზრახვა იქნება. მოვალატეც ყოფილხართ! ამას არასოდეს გააკითხეთ! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ! ვიდრე ცოცხალი ვარ, არცერთი თავი უფალი მასონი და გველენიანი ვენელი არ დაგივიწყებთ ამას!

სალიერი — გთხოვთ, მათქმევინეთ, ბარონ!

ვან სვიტენი — არ გათქმევინებთ, მაესტრო! ნუ ჩაგვერევით! (მოცარტს) არ მეგონა, ამაგს ასე თუ დამიფასებდით! აღარ გახედოთ ჩემთან რაიმე საქმეზე მოსვლა! (გადის. მაყურებელი სტოვებს დარბაზს. განათება იცვლება. მერხები გააქვთ. სალიერი თვალს არ აშორებს მოცარტს და კატარინას ანიშნებს, წადლო. მოცარტი სიკვდილივით გაფითრებულია)

სალიერი — ვოლფგანგ! (დანადგლიანებული და თავზარდაცემული მოცარტი თავს გაიქნევს და სცენის სიღრმეში შევა) ვოლფგანგ, იმედს ნუ გადაიწურავ. კაცი იმედით ცოცხლობს. (მოცარტი თავისი ბინას ფარგლებში შევა და „იყინება“. მაყურებელს) თქმა არ უნდა, მოცარტმა ყველაფერი დაკარგა და ცოცხალი ლეშიდა იყო. უკლებლივ ყველა გველენიანმა პირმა შესწყვიტა მასთან ურთიერთობა. ოპერის შემოსავლიდან თავისი წილიც აღარ მისცეს.

შემოღიან თავქარიანები.

პირველი — შიკანდერმა ფული არ მისცა.

მეორე — სულ ატყუილებს.



პირველი — დასაღვეად სამყოფ გრო-  
შებსაც ჭლივს იმეტებს.

მეორე — დანარჩენს კი იჯიბავს.

სალიერი — მეც კი ვერ გავუსწორ-  
დებოდი ასე მკაცრად! (მოცარტი საბანს  
მოიხურავს, სამუშაოდ მიუჯდება მაგი-  
დას და მასურებელს დაჟინებით უყუ-  
რებს. საბნიდან სახე არც კი უჩანს) შემ-  
დეგ... შემდეგ მოცარტი დადუმდა. ერთ  
სიტყვასაც ვერ დასტყუებდით. რატომ?  
რა მოხდა? უოველდე ველოდი პასუხს.  
ამოდ. ნეტავ, რატომ დადუმდა? (მოუ-  
ლოდნელად მიუბრუნდება თავჯარანებს  
და ეკითხება) რას აკეთებს? (მოცარტი  
წერს)

პირველი — ფანჯარასთან წის.

მეორე — დღისით და ღამით.

პირველი — წერს.

მეორე — წერს შემზღვევით, თითქოს  
წერამ აიტანა.

(მოცარტი წამოხტება და „იყინება“)

პირველი — ძალიან ხშირად წამოხ-  
ტება ხოლმე.

მეორე ქუჩას გასცქერის.

პირველი — რაღაცას ელის!

მეორე — ან ვიღაცას...

ორივე — ვერ გეტყვით, ვის ელო-  
დება!

სალიერი — (მასურებელს) მე კი ვი-  
ცოდო, ვისაც ელოდა! (წამოხტება, თავჯა-  
რიანებს დაითხოვს. მოცარტს და სა-  
ლიერიც აფანცენაზე დგანან და შო-  
რთს გასცქეროან) იცით, ვის ელის? იმ  
ნიღბიან კაცს! აჩრდილს, მალე რომ მო-  
ვა და მოუხმობს. ისიც ვიცოდო, რასაც  
მოცარტი იმ ჭურღმულში აკეთებდა: თა-  
ვის თავს რეკვიემს უწერდა! (პაუზა) ახ-  
ლა ჩემს ყველაზე დიდ ბოროტმოქმედ-  
ებაში უნდა გამოგიტყუდით. (ლაქის შე-  
მოაქვს თაღბი მოსასხამი, სამკუთხა ქუ-  
დი და ნიღბი. სალიერი მოისხამს წამო-  
სასხამს, შებრუნდება, ნიღბს აიფარებს  
და ქუდს იხურავს) ჩემო მეგობრებო! არ  
არსებობს მკრებელობა, ჩემსავით მებრ-  
ძოლმა აღმინამა რომ არ იყისროს. დიახ,

კვიდე თაღბი მოსასხამი, ასეთივე ქუ-  
დი... დიახ, დიახ, ნიღბიც (შემობრუნ-  
დება. სახეზე ნიღბი აუფარებია) და  
ჩვენს შემოღობულ შემოქმედს ღვთის მოც-  
ქულივით წარვუდექი. მაშ, ასე, ვალია-  
რებ: მე, ანტონიო სალიერი, სასახლის  
პირველი კაპელმასტერი, 1791 წლის ნო-  
ემბრის თვეში, ზედიზედ შვიდ დღეს, სუ-  
სხიან და მოვარიან ღამით დავდიოდი  
ვენის უკაცრიელ ქუჩებში, ვიდრე ქალა-  
ქის საათი ღამის პირველს არ ჩამოკრავ-  
და. შუალამის პირველზე ვდგებოდი მო-  
ცარტის ფანჯრების წინ, მისთვის სიკე-  
დილის მოახლოება რომ მემცნო. (სა-  
ათი ღამის პირველს ჩამოკრავს. სალიე-  
რა უძრავად დგას სცენის მარცხენა მხა-  
რეს და მოცარტს შვიდ თითს უჩვენებს.  
მოცარტი დგება. თავზარდაცემული და  
მოკადოებული უყურებს „აჩრდილს“.  
დგას, სალიერიც დაძაბული, მარჯვენა  
მხარეს და ფანჯრიდან იყურება). ყოველ  
შემდეგ ღამეს ერთი თითით ნაკლებს  
უჩვენებდო... და მივიღოდი. ყოველ შემ-  
დეგ ღამეს, სახე, სარკმლიდან რომ ვუც-  
ქერდი, უაზრო და შემოილი ხდებოდა.  
ბოლოს, მეშვიდე დღეც ჩამოიცალა. მეც  
არანაკლებ მეშინოდა, მაგრამ მაინც მი-  
ვედი. და ხელები სიწმარეული აჩრდი-  
ლივით ვედრებით გავუწოდე. (გდახის)  
„წამომყე! წამომყევი! გელოდები!“  
(ხელს დაჟინებით უქნევს) ის იღგა, ერთ-  
ხანს შექანდა, თითქოს გული წაუვიდაო.  
მაგრამ ძალა მოიკრიბა, ფანჯარა გააღო  
და წკრიალა. მკვეთრი ხმით დამიყვირა  
თავისი „ღონ უჟანის“ მთავარი გმირის  
სიტყვები, ქანდაკებას ვახშმად რომ ევა-  
ტიყება. (მოცარტი ფანჯარას გამოაღებს).  
მოცარტი — ო, სტატუა ჭინტილისი-  
მა — ვენიტე ა ჩინა! (კუთილო ქანდაკე-  
ბავ, თუ შეიძლება, ვახშმად მენწვიეთ!)  
(თან ხელს უქნევს აჩრდილს)

სალიერი — შიშისგან აცახცახებულ-  
ნი, საკმაოდ დიდხანს ვუცქერდით ერთ-  
მანეთს. მერე, შეიძლება არც დამიჭე-  
როთ, კომანდორის ქანდაკებასავით ავის-





მომასწავებლად დავუყარი თავი და ქუჩა გადავკვირი! (ჩუმად, მაგრამ მუქარით ეღერს ყველაზე თავზარდამცემი პასაჟი „ღონ ჟუანის“ უვერტიჟორიდან. სალიერი ნელ-ნელა მიემართება სცენის სიღრმისაკენ) ურდული იოლად გამოვწიე, კარი გავადე, კიბეზე ავედი. ჩემი ნაბიჯის ხმა ქვის სტუმრის ნაბიჯებით ახმაურდა კიბეზე. შეჩერება აღარ შემიძლო. ბედისწერა მამოძრავებდა. (მოცარტი მაგიდასთან დგას. სალიერი უჩინარ კარს აღებს. განათება იცვლება. სალიერი ჩუმად დგას და ავანსცენისაკენ იყურება. მყუდრებელს) ოთახში, სადაც კი შეიძლება, ელაგა ქაღალდები, ნოტები, ანგარიშები. ყველგან ციფრები უფრო მეტი ეწერა, ვიდრე ხუჭუჭა ნოტები. ციოდა. ბუხარში ცეცხლი არ ენთო. მოცარტს ისეთი ავადმყოფური სახე ჰქონდა, მივხვდი, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. (ნიღბიანი სალიერი სცენის სიღრმეს გასცქერას. მოცარტი მოჩვენებითი სიმხნევით ბოთლს დასწვდება).

მოცარტი — ხომ არ დაღვეთ? კარგი ღვინოა. ვიდაც დალოცვილი ყოველ ცისმარე დღეს სამ-სამ ბოთლს მიდგამს კართან. ნეტა ვინ უნდა იყოს? საკვირველია, არა? სიყვარულით მოძღვნილი უფასო ღვინო! თანაც ამ ქალაქში! (ბოილს სალიერის გაუწევდის, მაგრამ კაპელ-მაისტერი უძრავად და უჩუმრად დგას. გამომწვევად) ვიცი, რატომაც მობრძანდით! მაგრამ ვერ დამიმორჩილებთ. ყოველ შემთხვევაში, დღეს არაფერი გამოგივით... იცით, რატომ? შემეშინდა და ჩავისვარე. ჩასვრილი შარვლით კი კუბოსათვის არ გამოვდგები. ნუ იფიქრებთ, რომ ეს შიშით მომივიდა. არა, ჩემო ბატონო... მომწამლეს. აი, ეს არის მიზეზი. პირში მწარე გემო მაქვს. მომწამლეს, კარგად ვიცი, თანაც მესა არ დამითავრებია. ნახევარიც ვერ დავწირე. ასე, რომ კიდევ ერთხელ მოგიწევთ მობრძანება. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ... (იმპროპრიოს აჯერებს) საერთოდ კი, აი, ასე!

(იცინის. მერე საშინელი ტყვიანობა იკვება და მუცელზე იჭერს ხელს) სერიოზულად გეტბნებით! ნახევარი მესავისა სკირდება?! სთხოვეთ თქვენს პატრონს, ვადა გამიგრძელოს! თორემ იფიქრებს, ჯოჯოხეთში მოსახვედრად ვუსწირვეყივმს! (სასოწარკვეთილი. ძალით იცინის) ვისუბრე... თქვენი პატრონიც მიხვდება, რომ ვისუბრე... ხომ მიხვდება? (სალიერი ისევ სდუმს და არ იძრავს. უფრო ცხარედ) თქვენი სულაც არ მესინია... იცით, რა? მამიკო აქ რომ იყოს, ჩემი წაყვანის უფლებას არ მოგცემდათ. ასეც გეტყოდათ, აბა, გაეთრიეთ აქედანო. მერე, ერთი საყვარელი სიმღერა გვქონდა კოცნაზე, იმას ვიმღერებდით და აქვეც მეტი გზა აღარ გექნებოდათ, წაბრძანდებოდით! (მღერის) ორანია ფიგატა ვა! მარინა გამინა ფა! ფა! ფა! (არაფერს ნიშნავს. მოცარტის ბავშვობისდრინდელი მოგონება). (მოცარტი პერსრამდენჯერმე კოცნის და უცებ ისევ იკვება, ტკივილისაგან მოკვეთილი) ოჰ, მუცელი მტკივა, აი, აქ, რაღაც ძალიან მტკივა! (შეძრწუნებული სალიერი შებრუნდება) ამბობენ, მასონები ორდენის შეურაცხყოფელს სიკვდილით უხდიან სამაგიეროსო. (ნათქვამისა თვითონვე შეიშინდება) არ უნდა მეთქვა! ასე არ უნდა მეთქვა! ენა შიშით რას არ წამოაყრანტალებს?! (სალიერის მეორე მჩრინდან მიუღდება) ყური დამიგდე! ო, ღმერთო ჩემო! ხომ იცი, ორი შვილი მყავს. რეკვიემის დასამთავრებლად დროსა საკირო. თუ სიკვდილი მიწერია, ოჯახში ცოტა ფული მაინც დარჩება! გემუღარები! საცოდავები ისეთი პაწაწები და უმწეონი არიან, რომ... გაიღე მოწყალება, მაჩუქე კიდევ ერთი თვე! არც ისეთი ცოფილი ვარ, ამისი ღირსი არ ვიყო! (დაბნული სალიერი კვლავ ზურგს შეაქცევს. ის ძალზე შეძრწუნებულია. მოცარტს კი მისი საქციელი უარი ჰგონია და ახლა სხვა მხრიდან შემოუბრუნეს) ერთ თვეს თუ მაჩუქებ, საოცარ, შთაგონე-



ბულ მუსიკას დავწერი! ვიცო, ვიცო, ადრეც ვტარაბახობდი, სულ შედეგებებს ვქმნი-მეთქი, მაგრამ ტყუილია. სრულყოფილებას ვერაფერში ვერ მივაღწიე! (სალიერი ცდილობს ისევ ზურგი შეაქციოს, მაგრამ მოცარტი ფეხებში ჩაუვარდება. მუდარით) ძალიან გთხოვ, მაჩუქე ეს ერთი თვე! მერე მე თვითონ წამოგყვები, სადაც გინდა და კრინტასაც არ დავძრავ! (სალიერის ფეხებზე ეხვევა) ღმერთო, შენ ხომ მაინც იცი, რომ მხოლოდ ერთი თვეა მჭირდება! ერთი! ერთადერთი თვე! მხოლოდ ერთი! ერთი! ერთადერთი!

სალიერი — (ველარ უძლებს დაძაბულობას და დიდხანს, გამგმობრავად ყვირის) ა-ა-ა! ო-ო-ო! (მოცარტი შეკრთება და ჩოქვით გაეცლება. სალიერი ქუდსა და მოსასხამს მოიხდის, ნიღაბს ჩამოიგლეჯს. მრისხანე პაუზა. დაუძლეველ შიშს ატანილი მოცარტი გულისგამგმობრავად ხარხარებს. სალიერი თვალს ვერ აცილებს ვოლფგანგს)

მოცარტი — რა ხდება? ვერაფერი გამიგია! ნუთუ, თქვენ იყავით? შეუძლებელია! გამათამაშეთ? იცოდით, აჩრდილი რომ მუსიკირებოდა და გამათამაშეთ. ყოველ დამით თქვენ მოდიოდით? კი, მაგრამ რატომ? რატომ? რისთვის, ეს ხომ საშინელებაა. რატომ სჩადიოდით ამს? მიპასუხეთ, რისი გულისთვის იქცოდით ასე? თქვენ ხომ ჩემი მეგობარი ხართ... კეთილი მეგობარი, კარგი კაცი... მიპასუხეთ, თუ შეიძლება! (სალიერი ისევ დუმს, არც კი განძრეულა) არა, არა! თუმცა, ეს ხომ თქვენა ხართ! (მუცელზე ხელებს შემოიქცვრს) თქვენ! თქვენ, რომელიც... რომელიც... (წამოხტება) მართალი ყოფილა ჩემი სტანცი. რაც დამემართა, ყველაფერი თქვენს შემოქმედებაა! ხომ მართალს ვამბობ? მიპასუხეთ!

სალიერი — (ყვირის) დიახ, მართალია! (საშინელი სიჩუმე. სწრაფად) დიახ, დიახ! (რახან თავს გამოუტყდა, ახლა მთელი მსოფლიოს გასაგონად იმეორებს

კენესით, ოხვრით, გოდებით) დიახ, დიახ! დიახ! დიახ! დიახ!

მოცარტი — (ჩუმად, ვერაფერი რომ ვერ გაუგია იმ კაცის ხმით) კი, მაგრამ, რატომ? (პაუზა)

სალიერი — (ხელებს გაშლის) ეკომი-ილ ტუო ასასინო! ა'ეთია შენი მკვლე-ლი! შენს გამო ჯოჯობეთში უნდა მოგხვდე!

მოცარტი — კი, მაგრამ, რისთვის? (სალიერი სცენის სიღრმეში მიდის. ხელგაწვდილი მოცარტი უკან მისდევს) რატომ? რისთვის? რის გულისათვის? (სალიერი ხელებს აწვეს — აჩერებს მოცარტს; დაიქნებით ჩააქცვრდება თვალებში და სასოწარკვეთილის სინაზით ეუბნება).

სალიერი — ეკომი ილ ტუო ვიტო-მა! ეხლა უკვე დროა და გეტყვი: ჩემი მსხვერპლი ხარ! ღმერთი შეგეწვეათ...

სენიორ! (ზეიმურად დაუკრავს თავს და სწრაფად გადის. თავზარდაცემული მოცარტი მუხლებზე ეცემა და ყვირის)

მოცარტი — სტანცი! სტანცი! (სალიერი ავანსცენაზე გამოდის)

სალიერი — (მაყურებელს) ხედავთ, როგორ მოხდა ყველაფერი? ისე ადვილად ვიცრუე, რომ... ტყუილი თვითონ ამომიფრინდა პირიდან... იცით, რატომ? იმიტომ, რომ სიმართლე ვთქვი! მოვწამლე. ახა რა იყო! არა, თქვენ რომ გგონიათ, ისე არა... დარიშხანი არ მიხმარია. მაგრამ ყველაფერი, რაც ნახეთ, განა საწამლაზე წაყლებ ჭრის? (გადის. სცენის სიღრმეში გამოჩნდება კონსტანცია. ბადენიდან ჩამოსულა. ავანსცენაზე გამოვა და სახეზე ხელაფარებულ ქმარს თავზე წაადგება)

კონსტანცია — ვოლფი!

მოცარტი — (შევბით) სტანცი!

კონსტანცია — (უკიდურესი სინაზით) ვოლფი, ჩემო საყვარელო! ჩემო კარგო! ჩემო სიცოცხლე! (მოცარტი თითქმის ჩაუვარდება ხელებში)

მოცარტი — ოჰ! (გულისფანქვალით



ჩაეკრება. სტანცი ფრთხილად წამოაყენებს. მაგიდას შემოატარებს და მაყურებელისკენ შემოტრიალებულ სკამზე დასვა)

კონსტანცია — წამოდი ჩემთან, ჩემო სიცოცხლე! ნუ გეშინია, მოდი, აი, აქ დაჯდეთ... (მოცარტი უღონოდ ჯდება)

მოცარტი — (ბავშვით გულწრფელად) სალიერი... სალიერიმ მომიღო ბოლო...

კონსტანცია — მართალი ხარ, ჩემო კარგო, მართალი. (მაგიდიდან სათლებს, ბოთლებს და სამელნეს ააღაგებს)

მოცარტი — ბოლო მომიღო! მომკლა! თვითონვე მიიხრა!

კონსტანცია — მართალი ხარ! (ორ ბალიშს მაგიდის მარცხენა კიდეისთან დადებს)

მოცარტი — (ჭირვეულად) თვითონ მიიხრა... ყველაფერი თვითონ მიიხრა!

კონსტანცია — გაჩუმდი, დაწყნარდი, ჩემო კარგო. (მოცარტს ეხმარება, მაგიდაზე წამოწევს. მაგიდა საწოლად გადაიქცა. მოცარტი წევბა. თავშალს მოხიბის და დააფარებს) მე დავბრუნდი, შენთან ვარ, რა დამემართა, როგორ მიგატოვებ? არაუშავს, ესლა სულ შენთან ვიქნები.

მოცარტი — სალიერი... სალიერი... სალიერი... (ტირილს დაიწყებს)

კონსტანცია — დამშვიდდი, ჩემო კარგო. ამიერიდან ვეღარავინ გაწყენინებს. გეფიცები, სულ მალე გამოკეთდები. გესმის? ოღონდ, შენც უნდა ეცადო, ვოლფერლ... ხომ ეცდები, ვოლფი-პოლფი! ხომ ეცდები? (ჩუმად აედერდება „ლაკრიმოზა“ „რეკვიემიდან“. მოცარტი, ზურგით ცოლის მხარზე დაყრდნობილი, წამოიწევს, მუსიკა უკეთ რომ გაიგონოს. ხელის სუსტი მოძრაობით მუსიკის რიტმს აჰყვება. კონსტანცია კი ელპარაკება, მაგრამ, ცხადია, მოცარტს არაფერა ესმის: მესას „წერს“). ვიცი, გულს გიწყალებდი, თავს გაბეზრებდი —

ფული იშოვნე-მეთქი, მაგრამ გახსენებდა არც ღირს. რა მექნა, თვითონვე... ბივრე და გამათამამე. უნდა მომგობინდე, ვოლფი... იმიტომ, რომ ძალიან გვიკრძები მეც, კარლსაც, პატარა ფრანცსაც. ნუ მიგვატოვებ. უშენოდ სულ წავალთ ხელიდან. არც შენ იქნები მაინც-დამაინც მოლხენილი იმ შენს სამოხბეში. შენ ხომ ბავშვი ხარ, ბავშვი! უჩემოვ ვერ ივარგებ: ჩიჩიასაც ვერ დაიქრი და ვერ შექამ. ჭკვიანი ქალი არ გახლავართ. ვიცი, ძალიან გიძნელდებოდა ჩემისთანა ბატონ ცხოვრება. მაგრამ იმას მაინც ვერ დამაბრალებ, ჩემზე არა ზრუნავდა. სიხარულიც ბევრჯერ გაგემე, აღბათ. გახსოვს, ხომ გესმის, რასაც გეუბნები? (დაფს ხმა შენელებდა და წყდება) ერთი რამ მინდა, ყოველთვის გახსოვდეს: ყველაზე ბედნიერი დღე მთელს ჩემ ცხოვრებაში, ჯვარი რომ დავიწერეთ, ის იყო და სანამ ცოცხალი ვარ. მთელს ქვეყანაზე ყველაზე თაყვანსაცემი ქალი ვიქნები. ხომ გესმის, რასაც გეუბნები? (უცებ მიხვდება, რომ მოცარტი მკვდარია. პირს მუნჯი, საშინელი კიკული დაუღებს, ხელებს ასწევს და „გაიყინება“ სასოწარკვეთის უნებურ პოზაში. ბრწყინვალე აკორდი „ავე“ ბოლომდე არ აედერდება, ისე ჰკილია პაფრში, დაძაბულად ახმინებული).

მარჯვნიდან შოსანი ვენის მოქალაქენი შემოვლენ. კონსტანცია მუხლს მოიდრეკს და ახლა მგლოვიარე პოზაში „გაიყინება“. მსახურნი მაგიდის ოთხივე კუთხე დადგებიან. შემოდის ვან სვიტენი.

სალიერი — (ცივად) გარდაცვალების ნიშნობაში ეწერა, რომ მოცარტი თირკმელების დაავადებით გარდაიცვალა, რასაც სხეულის მკვეთრმა გაცივებამაც შეუწყო ხელი. დარიბული დაკრძალვის სავანური ლორჯმა ფუგამ გაჯაიხადა. საერთო საფლავში, ოც მიცვალებულთან ერთად დაარხეს. საფლავის ქვაც კი არ დაადეს. ჩააგდეს საკირე ორმოში და მო-



რჩა! (ვან სვიტენი კონსტანციასთან მივა) ვან სვიტენი — თანხა, რომელიც შემძღვია შემოგწიროთ, უმჯობესია, თქვენ და ბავშვებმა მოიხმაროთ. ახირებული ამოებისათვის ფულის ხარჯვა არა ღირს. (მსახურები მაგიდას ასწევენ და სცენის სიღრმეში შეაქვთ. ვენის მოქალაქენი მოცარტის ცხელარს მიჰყვებიან).  
**სალიერი** — ალბათ, გაინტერესებთ, რას განვიცდიდი? რა თქმა უნდა — შვებას. ამოვიხუნთქე, ამაში გამოგიტყდებით! მაგრამ სიბრალულსაც ვგრძნობდი, თუმცა, კაცი მე თვითონ გავცამტკვერე! დიახ, შევძელი შებრალება! მარტო ღმერთმა არ იცის, რა არის შებრალება! მე მხოლოდ ჭადონსური ფლეიტის კედლები გავანაფრთხანე. და ნახრჩენი უფალმა ჩაიდინა: დიდებანსა და სახელს დახარბებულმა ისე გაუთავებლად უბერა საკრავს, რომ ფლეიტამ ვერ გაუძლო და ზედ ტუჩებზე შემოასკდა გაუმძლარ ზენარსს. (ვენის მოქალაქენი იჩქებენ. სრულ სიჩუმეში მსახურნი მოცარტის გვამს ორმოში ჩააგდებენ. სალიერისა და კონსტანციას გარდა, ყველანი გავლენ. ქალი გამოცოცხდება და საქმიანად იწყებს იატაკზე გაბნეული ნოტების კრეფას. სალიერი ისევ ბებრულად დაილაპარაკებს; ხმაში სევდა ერევა) კონსტანცია ისევ გათხოვდა. ვილაც ობიანი პურივით უგუნებო დანიელ დიპლომატს გაჰყვა. ისინი ზადცბურგს, მოცარტის მშობელ ქალაქში დასახლდნენ, კომპოზიტორის მთელ მემკვიდრეობას სრულად რომ დაპატრონებოდნენ. (კონსტანცია ადგება და თავშალთან ერთად პარტიტურებსაც მიიკრავს მკერდზე).  
**კონსტანცია** — (მოწიწებით) მოცარტისთან აღერისინი და ზრდილი კაცი ქვეყნად არავინ მეგულება. ჩვენი ათწლიანი უღრუბლო ბედნიერების მანძილზე მისგან არცერთი უბეში, ცუდი ან თავდაჭერებული სიტყვა არ გამიგონია. ვოლფგანგის ცხოვრებისეული სისუფთავე ცხადად ირეკლება მისივე მუსიკის

გასხივონებულ სიანკარეში. (უფრო სწრაფად) მოცარტის ხელნაწერების შეფასებისას, უწინარეს ყოვლისა, მელნჩხარჯს ვითვალისწინებ, ამდენი ნოტი ამდენი შილინგი ღირს. ასე უფრო მიილდება ორიგინალების გაყიდვა. (თავის სიმართლეში დარწმუნებული ამყად დასტოვებს სცენას).  
**სალიერი** — ერთი საკვირველი რამ გაიკვია შემდგომ. ნილბიანი კაცი, რომელმაც უბრძანა, ბატის ფრთას ხელი მოჰკიდე და რეკვიემის წერას შეუდევო — მოცარტს არ მოჩვენებია. საქმე ისაა, რომ იყო ერთი უცნაურობებით ცნობილი არისტოკრატი, გრაფი ვალგეზი. მთელი თავისი ცხოვრება ცდილობდა და ოცნებობდა კომპოზიტორობით გაეთქვა სახელი. სწორედ მას მიუგზავნია ნილბიანი ლქია მოცარტთან და საინდუმლოად უთხოვია, რეკვიემი დაეწერა, რომ შემდეგ თავის ნაწარმოებად გაესაღებინა. ასეც მოხდა! მოცარტის სიკვდილის შემდეგ ეს რეკვიემი შესრულდა როგორც ვალგეზის ქმნილება. აბა, თუ მიხვდებით, ვინ უღირიუორა რეკვიემს. (მაყურებელს უღიმის) დიახ, მე, თქვენმა მონა მორჩილმა უღირიუორა ამ შედეგს. მაშინ ვენაში უჩემოდ ვერცერთი მუსიკალური ღონისძიება ვერ ჩატარდებოდა. მე იმასაც ვდირიუორობდი... რა ჰქვია... სახელიც კი დამავიწყდა... ჰო, ბეთხოვენის საშინელ სამხედრო სიმფონიაში ზარბაზნების ბათქი რომ არის. კინალამ ავტორივით დავერუფედი. (ვენის მოქალაქენი სალიერის შემოუტრიალდებიან, თავს უკრავენ და უამრავ საპაერო კოცნას უგზავნიან) მე ძველებურად ვენაში, ამ მუსიკოსთა ქალაქში, ვცხოვრობდი და საყოველთაოდ პატივსაც მცემდნენ. ასე იყო კიდევ ოცდაათორმეტ წელს. მხოლოდ რამდენიმე წლის მერე მივხვდი, როგორც მოისურვა ღმერთმა ჩემი დას-სა. (მაყურებელს) გახსოვთ, ყმაწვილობისას, ეკლესიაში რა ვთხოვე? სახელი და დიდება! ახლა ორივე მქონდა. ევ-

როსაში ყველაზე გამოჩენილი მუსიკოსი გავხვდი! დიდების სხივებში ვნებივრობდი! და ყოველივეს მივაღწიე იმ ნაწარმოებების მეშვეობით, რომლებიც, ეს კარგად ვიცოდი, განხრეტილ შილინგადაც არ ღირდა. სწორედ ეს იყო ჩემი განაჩენი. ოცდაათ წელს მოთმინებით ვიტანდი, როგორ მიწოდებდნენ უდიდეს კომპოზიტორს ადამიანები, რომლებსაც არა გაეგებოდათ რა. (ამასობაში ვენის მოქალაქენი სალიერის გარს შემოეხვევიან და მუხლმოდრეკილი უხმო ოვაციებს უმართავენ. ისინი ხელებს თანდათან ზემოთ სწევენ და მალე სულ ფარავენ მანესტროს). როცა ჩემს მკვდარლშობილ მუსიკას ვქმნიდი, ალბათ, ლპობის აუროლებული სუნი ამდიოდა. მსმენელები კი ქების შეძახილებისაგან შუაზე იხლიჩებოდნენ და თვალში აღტაცების ცრემლი ედგათ... დაბოლოს, როცა დიდება ყელში ამომივიდა და მაღალი დონის მიღებებისაგან, ჭილღობებისაგან, საპატიო მედლებისა და ძვირადღირებული ძეწკვებისაგან გული მერეოდა, ღმერთმა საბოლოო, ოსტატური დარტყმა მაგემა: ჩემს ირგვლივ დუმილის კედელი აღმართა! (ვენის მოქალაქენი „იყინებთან“) ყველაფერი, უკლებლივ ყველაფერი წამართვა. (ვენის მოქალაქენი ზურგს შეაქცივენ და უმეტყველო სახეებით გავლენ კულისებში) მოცარტის მუსიკა სულ უფრო და უფრო ხმამაღლა უდერს, ჩემი კი ყველას დაავიწყდა! უჯანსკნელი ორდენის მისაღებად რომ მიმიწვიეს, ეტლში ვჯდებოდი: უეცრად ვილაცამ ხმამაღლა იკითხა: „ვინ არის ეს კაცი? ნუთუ ვატერლოოში მებრძოლი გენერლები ისევ ცოცხლები არიანო?“ (სიბოროტით აღტირალდება, ზეცისკენ მაქვერალი) ნემიკო დეი ნემიჩი დიო იმპლიკაბილე! მარადიულ მტერზე მეტი ხარ, შეუბრალებელი ღმერთო! (ფარდა ჩამოეშვება. ერთი მსახური შემოაგორებს საინვალიდო ეტლს. მეორე ხალათს და ჩაჩს მიაწოდებს. სალიერი პარისს მოიხდის და მოხუცად გა-

დაიქცევა. განათება იცვლება. საათი ექვსჯერ რეკს. მეცხრამეტე საუკუნის მოსახლებს ვბრუნდით).

#### 14. სალიერის აპარტამენტები მსახურები ვადიან.

სალიერი — გარიჟრაჟა. დროა, დავშორდეთ. კიდევ ერთი წუთი გამოძეული და ყველაფერი დამთავრდება. უნდა გამოგოთ, ასეთ განაჩენს ვერ დაეცაბულდები. უკვლოდ ვერ გავქრები. არ მინდა, ჩემი სახელი ყველამ დაივიწყოს! ქვეყნად იმიტომ კი არ გავჩნდი, ღმერთმა, როცა მოისურვებს, მაპამულოს! კიდევ შემარჩა ერთი კოზირი ხელში. ვნახოთ. ამ სვლაზე რით მიპასუხებს. (მაცურებელს, ნდობით) ბოლო კვირაა მოცარტის მკვლელობაზე ვლრიალებ. ხომ გახსოვთ: „მოცარტ, პიეტა!“ „შეიწყნარე შენი მკვლელი, მოცარტ!“ (ისევ გაისმის ჩურჩული, როგორც პიესის დასაწყისში, ჯერ ჩუმად, შემდეგ უფროდაუფრო ხმამაღლა. საოპერო კონტრაპუნქტის კანონის მიხედვით მატულობს ეს ხმა და თან სდევს სალიერის მონოლოგს).

ჩურჩული — (ჩუმად) სალიერი!  
სალიერი — (გამარჯვებულის აღტაცებით) ეს განგებ ჩავიდინე! ჩემმა მსახურებმა კი მთელ ქალაქს მოსდეს!  
ჩურჩული — (ხმამაღლა) სალიერი!  
სალიერი — ახალმა აშბავმა ქურები აავსო!

ჩურჩული — (უფრო ხმამაღლა) სალიერი! სალიერი!  
სალიერი — ეხლა ჩემი სახელი ყველას პირზე ეკერა. ავყაიათა ქალაქმა ვენამ, როგორც იქნა, ღირსეული კორი იშოვნა.

ჩურჩული — სალიერი! მკვლელი! სალიერი მკვლელია!



სალიერი — (წერილი ხმით, მხიარულად) „ნუთუ, ეს მართალია? ნუთუ, ეს შესაძლებელია? ნუთუ, ის მართლა დამნაშავეა?“

ჩურჩული — (ფორტისიმი) სალიერი!

სალიერი — ჩემო მეგობრებო, როცა ესენი ჩემი საშინელი სიკვდილის ამბავს შეიტყობენ, ამ კორს სამუდამოდ დაიჭერებენ. ამიერიდან ასე იქნება: სადაც მოცარტს სიყვარულით მოიგონებენ, იქვე სიძულვილით მახსენებენ მე, ანტონიო სალიერის; რაც უფრო გაბრწყინდება მოცარტის ღიღება, მით უფრო გამართლდება ჩემი გმობა! უკვდავებას მაინც ვეზიარები!!! ღმერთი ამას ხელს ვეღარ შეუშლის! (სიბოროტით გადაიხარხარებს) ასე, რომ სენიორებო, ვნახავთ, შეიძლება თუ არა ადამიანის გამახარავება! (ჯიბიდან სამართებელს ამოიღებს, გადახსნის. მაყურებელს, თბილად და სადალ) ამიჩიკარი! ძვირფასო მეგობრებო! დაბადებისას ორად ორი ყური მაჩუქა განგებამ! ღმერთის არსებობა მხოლოდ მაშინ ვირწმუნე, როცა მუსიკა მოვისმინე! ხოლო თაყვანი ვეც მხოლოდ მაშინ, როცა თავად შეეკმენი მანგი! ჩემს გარშემო ყველა ადამიანის უფლებებზე ოცნებობს. მე კი ყოველთვის მუსიკალურ თანხმობანებებზე ვოცნებობდი. ჩემს გარშემო ყველას კაცობრიობის განთავისუფლება სწყურია. მე კი მონობა მინდა. მინდა მთელი არსებით ვეკუთვნოდე, უსაზღვროდ ვემორჩილებოდე და თხემით ტერფამდე ვემონებოდე მხოლოდ ერთს — აბსოლუტურ მუსიკას! მაგრამ ამაზე ცივი უარი მეთქვა და მთელმა ჩემმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ეხლა კი მივდივარ... აჩრდილად უნდა ვიქცე. თქვენი სიცოცხლის დრო რომ მოვა, ისევ აქ ვიღებო, აქ, ჩრდილში თუ რაიმეში მწარე მარცხი განიცადეთ და თქვენი უარყოფელი ღმერთის გამქიარდავი, გესლიანი ხით-

ხითიც მოგესმათ, მაშინვე ყურში ჩააჩურჩულებთ და გაგახსენებთ ჩემს სახელს — მე გახლავართ სალიერი, საშუალო ნიჭით მორჭმულთა უწმინდესი მფარველი ნებასაც გაძლევთ, თქვენი დამწუხრებელი სულის სიღრმეში უჩუმრად პატივბაც მთხოვთ. მომიტყევიბა... მომიტყევიბა... ვი სალიუტო! მშვიდობით! (ყელს გამოიჭრის და სეარქელში ჩაესვენება. მზარეული, რომელსაც საუბზე მოაქვს, იღრიალებს. მეორე მხრიდან შემორბის ლაქია. ორივეს ერთად სცენის სიღრმეში მიაქვთ უსულო სხეული და ზუსტად შუაში დასტოვებენ. შემოვლენ 1823 წლის ტანსაცმელში გამოწყობილი — თავქარიანები)

პირველი — ბეთჰოვენის 1823 წლის ნოემბრის სასაუბრო რვეულიდან. მნახველები ყრუ კომპოზიტორს ქალაქის ახალ ამბებსაც უწერდნენ ამ რვეულში.

მეორე — (კითხულობს) „სალიერიმ უელი გამოიჭრა, მაგრამ ჭერ ისევ ცოცხალია“. (სალიერი შეინძრევა და გულურ მზერას მოავლებს ირგვლივ. მზარეული და ლაქია გავლენ. სალიერი განცვიფრებული უცქერს მაყურებელს).

პირველი — ბეთჰოვენის 1824 წლის რვეულიდან. მნახველებს ამ რვეულშიც ჩაუწერიათ ახალი ამბები ყრუ კომპოზიტორისათვის.

მეორე — (კითხულობს) „სალიერიმ სულ აურია. დაჩემა, მოცარტის სიკვდილში ჩემი ხელი ურევიაო, მე მოვწამლეო...“ (მკვეთრი სხივი ანათებს სალიერის)

პირველი — 1825 წელი. მაისი. გაზეთი „გერმანული მუსიკალური სიახლენი“.

მეორე — (კითხულობს) „ჩვენს ღირსეულ სალიერის სიკვდილი ვერ ერევა. ცნობამიხილობის უამს მოცარტის ნადრევ სიკვდილში იდანაშაულებს თავს.

ეტყობა, მოხუცი გაგუდა, თორემ აშას, თავად მაესტროს გარდა, ვინ დაიჭერებს?!“ (მუსიკა შეწყდება. დამარცხების აღიარების ნიშნად, სალიერი თავს ჩაჰკიდებს)

პირველი — არა მჯერა!

მეორე — არა მჯერა!

პირველი — არ მჯერა, არა!

მეორე — არ მჯერა, არა!

ორივე — ეს მთელ ქვეყანაზე არავის არა სჯერა!

(თავქარიანები გავლენ. სინათლე ოღნავ მიმქრალდება. სალიერი ისევ შეინძრევა. ადგება და მაცურებელთა დარბაზის სიბნელეს შეაკქერდება)

სალიერი — ყველა ღრმისა და ხალხის საშუალო ნიჭით მორტმულნი!!! საუკუნოდ შეშინდვია ცოდვანი თქვენნი ამინ!

(ხელებს ჯერ ზემოთ აღაპყრობს, მერე განზე გასწევს, თითქოს აქ თავმოყრილი საზოგადოება გულში უნდა ჩაიკრას და აყურთხოს. შემდეგ გულხელს დაიკრფს. სინათლე ქრება. სრულ სიბნელეში ხმაძალა ქლერს მოცარტის სამგლოვიარო მარშის ბოლო ოთხი ტაქტი).

დასასრული

თარგმნა თამაზ გოდერძიშვილიმა.

მხატვარი — სოფიო სალუქვაძე.

